# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 18 ნოემბერი, 2008 წელი.

№ 216 (6073)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge    ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika    ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## აშშ და ევროპა პერიოდულად ისყიდიან თავს საქართველოსგან და მას დუმილისათვის უხდიან!

დღეს საქართველოში ბევრი მტრულადაა განწყობილი რუსეთისადმი და ამაში ერთნაირადაა დამნაშავე როგორც საქართველოს ხელისუფლება, ისე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების, მათ შორის – ოპოზიციური პარტიების არაობიექტურობა



8

## ალექსანდრე რონდელი: ევროპა რუსულ ჩექმას საქართველოს კისერზე წმენდს



10

## რუსეთის საპატრიარქო პუტინ-მედვედევის ცოდვების გამოსყიდვას ცდილობს

7

## უმრავლესობის დეპუტატი „პოდპოლნიკებს" აჭერინებს

15



## რუსეთი მთლიანად იზიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ოღონდ... სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის გათვალისწინებით!

2

3



## „იმედის" დარბევის შემდეგ: კრიზისის აპოგეა...

სახალხო დამცველის სოზარ სუბარის ანგარიშის ძალიან „შავი" დეტალები...

4

## ზამთარს მშვიდობიანად გადავაგორებთ,



9

შეუზღუდავად გვექნება გაზიც, დენიც და იაფი პროდუქტებიც?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევრომისია აფხაზთა ქმედებას გმობს

**ევროკავშირის** მისია საქართველოში ქართველი პოლიციელის მკვლელობის ფაქტს გმობს, რომელიც გუშინ აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან, სოფელ ფახულანთან მოხდა.

როგორც მისიიდან იტყობინებიან, პოლიციელი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა, როდესაც იგი მოკლეს. ამასთანავე მისია აცხადებს, რომ ფაქტის გამოკვლევისას, შემთხვევის ადგილზე მყოფი ევროკავშირის მონიტორების სიცოცხლე საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა, რადგან დაუდგენელმა პირებმა ცეცხლი გახსნეს.

დამკვირვებლები დადასტურებით ვერ აცხადებენ, ცეცხლი მათი მისამართით გამიზნულად იყო გახსნილი თუ არა, მაგრამ ევროკავშირის მისია მიიჩნევს, რომ ასეთი ფაქტები მიუღებელია, რადგან მისია სამშვიდობოა.

ფახულანის ინციდენტს საქართველოს ხელისუფლება იძიებს. მისია აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას მოუწოდებს, თავის მხრივ გამოიძიოს ეს ინციდენტი, იმის გამო, რომ იგი ადმინისტრაციულ საზღვართან მოხდა და შედეგები როგორც ქართულ მხარეს, ასევე ევროკავშირის მისიას გაუზიაროს.

## ბარაკ ობამა უფრო პოპულარულია თუ „სუპერ სარკოზი“?

**ევროკავშირს** ზუსტად ისეთი გამოცდილი პრეზიდენტი სჭირდება, როგორიც საფრანგეთის ლიდერი ნიკოლა სარკოზია, — იუწყება სააგენტო „რია ნოვოსტი“ საგარეო საკითხებში ბელგიის სახელმწიფო მდივან ოლივიე შასტელის განცხადებაზე დაყრდნობით.

ხვალ საჭირო გახდება ისეთი გამოცდილი პრეზიდენტი, როგორიც სარკოზია, რათა ევროპა ეფექტური საერთო პოლიტიკისა და წარმომადგენლობის კალაპოტში ჩააყენოს. ევროკავშირის შიგნით სარკოზი კონსენსუსს აღწევს, ხოლო მის ფარგლებს გარეთ ძლიერ და ეფექტურ ევროპას განასახიერებს, — აცხადებს შასტელი.

როგორც სააგენტო წერს, ევროპელი პოლიტოლოგები, თავის მხრივ, აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის პრეზიდენტს, რომელსაც დასავლური მედია „სუპერ სარკოზის“ უწოდებს, აქვს ნიჭი, მიაღწიოს ევროკავშირის წევრებისგან კომპრომისულ გადაწყვეტილებებს, რაც ქართულ-სამხრეთ ოსურმა კონფლიქტმა და მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმაც დაადასტურა.

თუმცა, ანალიტიკოსების ვარაუდით, შესაძლოა, აშშ-ის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მომავალში სარკოზი საერთაშორისო არენაზე დაჩრდილოს.

## აფხაზები გალში თავს გავიდნენ

**გალის რაიონის** სოფელ პირველ გალში წუხელ, გვიან ღამით და გუშინ დილით აფხაზური ე.წ. სპეცრაზმის წარმომადგენლები შევიდნენ, რომლებსაც ვინმე ანუა ხელმძღვანელობს.

**ინფორმაცია**

აფხაზური სპეცრაზმის მოთხოვნა უცვლელია — ისინი მოსახლეობისგან ქართული პასპორტების ჩაბარებასა და მათ სანაცვლოდ რუსული და აფხაზური პასპორტების აღებას მოითხოვენ.

ასევე, აფხაზური შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები აგრძელებენ „მაგთისა“ და „ჯეოსელის“ აბონენტთა გამოვლენას და მათთვის ტელეფონების ჩამორთმევას.

აფხაზი სეპარატისტები ქართველებს აიძულებენ, აფხაზური და რუსული ფიჭური კავშირგაბმულობის მომხმარებლები გახდნენ.

როგორც გალის ქართული ადმინისტრაციის წარმომადგენლები აცხადებენ, გალის რაიონში ქართველთა მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. ამის შესახებ ცნობები უკვე მიეწოდა საერთაშორისო ორგანიზაციებს.



## პერევი რუსებმა და ოსებმა უნდა დატოვონ

**ევროკავშირის** მისია ადასტურებს, რომ საჩხერის რაიონის სოფელ პერევის საგუშაგო კვლავ რუსმა სამხედროებმა დაიკავეს.

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ნიცაში 14 ნოემბერს გამართულ რუსეთ-ევროკავშირის სამიტზე ევროკავშირმა დააფიქსირა პოზიცია, რომ პერევში შექმნილი ვითარება ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებას უკავშირდება.

მისიის განცხადებით, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ოსი სამხედროების მიერ პოზიციების დაკავებამ დაძაბულობა კიდევ უფრო გააღრმავა, რის გამოც მოსახლეობის დიდმა ნაწილმა სოფელი დატოვა.

ევროკავშირი კვლავაც აცხადებს, რომ პერევის საგუშაგო და თავად სოფელი პერევი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის გარეთ მდებარეობს და ტერიტორია უნდა დატოვონ, როგორც რუსულმა, ისე ოსურმა შენაერთებმა.

## ნათელაშვილი საქართველოს მთლიანობას აღადგენს?

**საქართველოს** ლეიბორისტული პარტია რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან ღია მოლაპარაკებებს იწყებს. ამის შესახებ გადაწყვეტილება პარტიის პოლიტსაბჭოს სხდომაზე მიიღეს. „ლეიბორისტთა“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ ამ მოლაპარაკებების მიზანს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ქვეყნის დაშლის პროცესის შეჩერება წარმოადგენს.

ჩვენ ვიწყებთ დიალოგს რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან და ვიწყებთ ინტენსიურ მუშაობას ქვეყნის გადასარჩენად. მოლაპარაკებებზე ტერიტორიულ საკითხებთან ერთად განხილული იქნება რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობებისა და თავისუფალი მიმოსვლის შესაძლებლობები.

— საქართველოს ხელისუფლება არის ქმედუუნარო საერთაშორისო ასპარეზზე. განსაკუთრებით კი რუსეთთან მიმართებაში, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

იგი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთადერთ საშუალებად სწორედ რუსეთთან დიალოგს მიიჩნევს და აცხადებს, რომ „ამ პრობლემის გასაღები და ფორმულა არის რუსეთში, საიდანაც იგი ჩვენ საქართველოში უნდა დავაბრუნოთ“.

ნათელაშვილი მიიჩნევს, რომ „საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს უკეთესი ბატონის ძებნა“, რადგან მისმა ასეთმა პოლიტიკამ ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა.

მისივე განცხადებით, ლეიბორისტული პარტია დიალოგს გამართავს როგორც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს, ასევე ფედერაციის საბჭოსა და სხვა პოლიტიკურ სუბიექტებთან.

## ლეიბორისტები — „რუსეთის ფილიალი“

**შალვა ნათელაშვილის** განცხადება, ლეიბორისტული პარტიის მიერ რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან მოლაპარაკებების დაწყების შესახებ, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელთათვის მოულოდნელ არ ყოფილა. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე აცხადებს, რომ ამით ნათელაშვილმა საკუთარი პოლიტიკური გუნდის ლუსტრირება მოახდინა.

— იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც პოლიტიკაში რაიმე გაეგებათ, შალვა ნათელაშვილი დიდი ხანია ლუსტრირებულია. კარგია, რომ, როგორც იქნა მან ეს ღიად და საკუთარი ინიციატივით გააკეთა.

მომხრე ვარ, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას. ფაქტია, ლეიბორისტული პარტია წლებია საქართველოში რუსეთის „ფილიალს“ წარმოადგენს, — განაცხადა გივი თარგამაძემ.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

**ხედვა**

# რუსეთი მთლიანად იზიარებს საქართველოს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის

**„მითხარი,** ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ“ — ეს ქართული ანდაზაა. ტეხასში კი ასეთი ანდაზა ყოფილა: „მომატყუებ თუნდაც ერთხელ — ეს შენი სირცხვილია, მომატყუებ მეორედ — ნიშნავს რომ ჩვენ ყველანი სულელები ვართ“.



ხელისუფლებამ იმდენჯერ მოგვატყუა, რომ ყველა სულელები აღმოვჩნდით. მით უმეტეს, რომ ტალეირანის აზრით, „დიდი პოლიტიკოსი ფიქრობს ერთს, ამბობს მეორეს და აკეთებს მესამეს“.

როგორ ვიპოვნოთ მეგობარი? ჩვენი ქვეყნის მეგობარი?

„ჩახედე მეგობარს თვალებში, დაგხვდება სითბო და ალერსი“... ასეა ერთ სიმღერაში.

პუტინის თვალებში სითბო და ალერსი რომ ვერ დავინახეთ, სხვა თვალების ძებნა დავიწყეთ და ბუშის თვალები მოგვეწონა. ერთადერთი იმედის ძაფით ამერიკას მივებით და... ომიც დავიწყეთ ჩვენსავე მიწაზე ჩვენივე ხალხის წინააღმდეგ შიდა ქართლში და განადგურებულებს თავი გამარჯვებულად მოგვაქვს. ცხადია რუსეთმაც დრო იხელთა და მათი აგრესია უმძიმესი დარტყმა აღმოჩნდა საქართველოს ისედაც გაჭირვებული მოსახლეობისთვის, მაგრამ სხვა რას ველოდით?

13 აგვისტოს კი რევოლუციური ლიდერი ფიდელ კასტრო აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლება 8 აგვისტოს გარიჟრაჟზე არავითარ შემთხვევაში არ შევიდოდა სამხრეთ ოსეთში კონსტიტუციური წესრიგის დასამყარებლად, ბუშთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე.

ისე, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ომი ჯერ აფხაზეთში დავიწყეთ რკინიგზის დაცვის მიზნით, მაგრამ ჭკუა ვერ ვისწავლეთ და წალკოტი აფხაზეთი დავკარგეთ. ახლა აფხაზეთს შიდა ქართლი მიემატა. ჯავახეთს სომხეთი ხომ არ წაგვართმევს? იქნებ აზერბაიჯანსაც სურს გაფართოება? ალბათ თურქეთის სურვილები უფრო საქართველოს მთლიანად შთანთქმას გულისხმობს...

მართალია, ძალზე გავიხარეთ რუსული სამხედრო ბაზის ჯავახეთიდან აყრით და ეს ჩვენი დიპლომატიური კორპუსის დიდ გამარჯვებად ჩავთვალეთ, მაგრამ, სამაგიეროდ, ახლა რუსეთის ორი ბაზა გვექნება აფხაზეთში და შიდა ქართლში, თანაც „დამოუკიდებელ სახელმწიფოებში“.

ჩვენი „მეგობრების“ გადამკიდე, აბა კარგს რას უნდა ველოდოთ?

ხელისუფლებისთვის კარგი თურმე ჰუმანიტარული „დახმარებები“ და არაჰუმანური სესხებია და ესაა მხოლოდ ჩვენი იმედი.

მართალია, ლტოლვილების ბედი ამ იმედსაც გვართმევს, მაგრამ როცა ჩვენც ყველანი ლტოლვილები გავხდებით, სანუგეშოდ მეგობარი სად ვიპოვნოთ?

უკეთესი მომავლის იმედმა თოვლიან ზამთარში იპოდრომზე 300 ათასი კაცი გამოიყვანა პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს. ოპოზიციამ კი ხალხს ხელი დაუქნია დასამშვიდებლად და დასამშვიდობებლად.

ჩვენ მეგობარ ამერიკაში კი (თუ ფილმის „ფარანგეიტი 9/11“ შემქმნელებს დავუჯერებთ), ჩვენი მეგობარი ბუშის პირველი ინაუგურაციის დღეს ათეულ ათასობით ამერიკელი გამოსულა ვაშინგტონის ქუჩებში, რათა უკანასკნელად ეცადათ დაებრუნებინათ ის, რაც მათ წაართვეს. მათ თურმე სწორედ სამართლიანი არჩევნები წაურთმევიათ და ამიტომაც პლაკატებზე წარწერები ჩანდა: „ბუში მატყუარაა“, „მე ვიცი შენი დამარცხების შესახებ“, „უბედური დღე“... თურმე ბუშის ლიმუზინისთვის კვერცხები დაუშენიათ და ის სამხედრო ალლუმიც შეუჩერებიათ, ინაუგურაციას რომ ეძღვნებოდა. ამიტომ თეთრი სახლისკენ დაგეგმილი ტრადიციული მსვლელობა აღარ შედგა და ბუშის ლიმუზინი სასწრაფოდ გაეცალა არემარეს, რათა ხალხის უფრო დიდი აღელვება თავიდან აეცილებინა. როგორც ამ ფილმშია ნათქვამი, ასეთი რამ ჯერ არც ერთ პრეზიდენტს არ შეხვედრია ინაუგურაციის დღეს.

რა ვუყოთ, ყველაფერს ამერიკელებივით ხომ არ გავაკეთებთ? ისინი სხვანი არიან, ჩვენ კი „გადადექიო“ ვთქვით და შვიდი ნოემბერი მივიღეთ გაზით, ხელკეტებით და გატეხილი თავებით.

თურმე, ამერიკის კონგრესის არც ერთ წევრს არ ჰქონია სურვილი თავისი შვილი გაეწირა ერაყის ომში და რა გასაკვირია, რომ ჩვენთან, ამ ორდღიანი ომის განმავლობაში ხელისუფლების წარმომადგენლები ოჯახის წევრებთან ერთად „წითელ ხიდთან“ იყვნენ ჩამწკრივებულები?

ახლა ჯორჯი მიდის და ბარაკა მოდის. ისევ იმედი, იქნებ ძველმა პრეზიდენტმა ჩვენიც თან გაიყოლოს (აბა რისი მეგობარია?), ახალმა კი ბარაქა მოგვცეს, აგვაყვავოს, დაგვაპუროს, გაგვამდიდროს, რუსეთმა რაც წაგვართვა, დაგვიბრუნოს... ჰოდა რაღა უნდა გაგვიჭირდეს, ვერც კი წარმომიდგენია.

მაშინ კი გადავარქმევთ ბუშის ქუჩას სახელს და ობამას გამზირს დავარქმევთ! არ იქნება ღირსი თუ რა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ რეაქცია

# როცა თარჯიმანს მიზანმიმართულად ამახინჯებენ



## ედუარდ შევარდნაძის განცხადება

**2008 წლის 14 ნოემბერს „EuroNews“-ის არხზე გავიდა ჩემი ქართულად მიცემული ინტერვიუს რუსული და ინგლისური ვერსიები.**

ინტერვიუს ინგლისური ვერსია გავიდა ზუსტად, ისე, როგორც მე მქონდა ნათქვამი. ინტერვიუს რუსულ ვერსიაში კი გადაცემაზე მომუშავე ადამიანებმა, ეტყობა, მიზანმიმართულად დაუშვეს უხეში შეცდომები, რამაც გამოიწვია ჩემი პასუხის სრული დამახინჯება არა მარტო „EuroNews“-ის რუსულენოვან არხზე, არამედ, რუსეთის მასმედიაში, რომელმაც გაავრცელა ეს ტექსტი „EuroNews“-ის რუსულ ვერსიაზე დაყრდნობით.

კერძოდ, ინტერვიუში მე ვთქვი „მე მთავრობასთან კონტაქტი არა მაქვს, მაგრამ როგორც ვიცი, რუსებმა შემოუგდეს ჩვენს მთავრობას ისეთი ინფორმაცია, რომ ცხინვალში და როკის გვირაბში რუსის ჯარი არ იდგა, ეს ის გვირაბია, რომელიც აერთებს საქართველოს (სამხრეთ ოსეთს) ჩრდილო კავკასიასთან“. ამის მაგივრად დაწერეს: „Я в общем-то отошел от дел, с властями не контактирую, но, насколько я знаю, ни в Цхинвали, ни в Рокском туннеле, соединяющем Грузию с Северным Кавказом, российских войск не было“.

ან ჩემი ასეთი მოსაზრება – შეიძლება საქართველოს ოკუპაცია მაინც მომხდარიყო, მაგრამ ჩვენ საბაბი მივეცით, – რუსულ ვერსიაში რატომღაც ასე თარგმნეს: „Быть может, окупации Грузии и не было бы, но мы дали России повод“.

ჩემი ინტერვიუს ასეთი სახით დამახინჯება, ალბათ მიზნად ისახავს რუსულენოვანი აუდიტორიის თვალში რუსეთის სახელმწიფოს აგრესიული პოლიტიკის გამართლებას.

სასურველია, რომ უცხოურმა მასმედიამ მეტი ყურადღება მიაქციოს „თარგმანის სიზუსტეს“.

**ედუარდ შევარდნაძე.**

**თბილისი, 15 ნოემბერი, 2008 წ.**

◎ SIC!

# პუტინის პრესსამსახური ფრანგული სტატიის „პროვოკაციულობაზე“ საუბრობს

რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი მართლაც მოიხსენიებდა მკაცრი ტონით პრეზიდენტ სააკაშვილის რეჟიმს, თუმცა ფრანგულ ჟურნალში გამოქვეყნებული ციტატები ინსინუაციებია, იტყობინება 14 ნოემბერს „რია ნოვოსტი“ რუსეთის მთავრობის პრესსამსახურის უფროს დიმიტრი პესკოვზე დაყრდნობით.

ფრანგული ყოველკვირეული ჟურნალი le Nouvel Observateur 12 ნოემბერს საგარეო პოლიტიკის საკითხებში საფრანგეთის პრეზიდენტის მრჩევლის ჟან-დევიდ ლევიტის სიტყვებზე დაყრდნობით, რომ 12 აგვისტოს მოსკოვში **პრეზიდენტ სარკოზისა და პრემიერ მინისტრ ვლადიმერ პუტინს შორის შემდეგი შინაარსის დიალოგი გაიმართა: „სააკაშვილს კვერცხებით ჩამოვკიდებ,“ უთხრა პუტინმა სარკოზის, რაზეც სარკოზიმ გაკვირვებულმა უპასუხა: „ჩამოკიდებ?“ „რატომაც არა“ – უპასუხა პუტინმა, „ამერიკელებმა სადამ ჰუსეინი ხომ ჩამოკიდეს“. „კი მაგრამ, შენც ხომ არ გინდა ბუშივით დაამთავრო?“ – ჰკითხა სარკოზიმ. პუტინმა ამაზე გარკვეული პაუზის შემდეგ უპასუხა: „ამაში მართალი ხარ“.**

„ვლადიმერ პუტინმა მართლაც გამოიყენა საკმაოდ მკაცრი რიტორიკა სააკაშვილის რეჟიმის მისამართით. ამასთან, ასეთი ტიპის „ციტატების“ გამოქვეყნება, და ისიც საფრანგეთის პრეზიდენტის მრჩეველზე დაყრდნობით სულ ცოტა აბსოლუტურ გაუგებრობას იწვევს,“ - აცხადებს პესკოვი და სტატიის „პროვოკაციულ“ ხასიათზე მიუთითებს.

le Nouvel Observateur ასევე წერდა, რომ **პუტინს აგვისტოში თბილისის აღება და სააკაშვილის ჩამოგდება სურდა, თუმცა სარკოზიმ ეს გეგმა გადააფიქრებინა.**

პუტინის პრესსამსახურის უფროსი განმარტავს, რომ საგარეო პოლიტიკის საკითხებში საბოლოო გადაწყვეტილებებს იღებს პრეზიდენტი მედვედევი, ხოლო „ქვეყნის პრემიერ-მინისტრი თავის ფუნქციებს ასრულებს“.

◎ ინფორმაცია

### მგალობლიშვილი რაჭას ესტუმრა



რაჭის რეგიონს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გრიგოლ მგალობლიშვილი ესტუმრა.

პრემიერ-მინისტრი ამბროლაურისა და ონის რაიონების არსებულ ვითარებას გაეცნობა.

მგალობლიშვილმა დაათვალიერა სოფელ ხვანჭკარას ახლად გახსნილი სკოლა, რომელიც 90-იანი წლების მიწისძვრის დროს დაზიანდა და ამ დრომდე სავალალო მდგომარეობაში იყო.

დაათვალიერა ამბროლაურში, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე ნაპირსამაგრი სამუშაოები, რის შემდეგაც სოფელ ბუგეულის ღვინის ქარხანაში ახალი ჩამოსასხმელი ხაზი გახსნა.

### ეროვნული ბანკი საკასო ცენტრს აშენებს

საქართველოს ეროვნული ბანკი თბილისში საკასო ცენტრს ააშენებს, – განუცხადა ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ამაღლობელმა.

მისივე თქმით, ცენტრის მშენებლობისთვის ადგილი უკვე შერჩეულია, მიმდინარეობს დაპროექტების სამუშაოები, სამშენებლო სამუშაოები კი, სავარაუდოდ, მომავალი წლიდან დაიწყება.



საკასო ცენტრის მეშვეობით მოხდება კომერციული ბანკების მომარაგება ნაღდი ფულით, აღჭურვილი იქნება თანამედროვე ტექნოლოგიებით და უსაფრთხოების განსაკუთრებული საშუალებებით.

ობიექტის მშენებლობის ღირებულება ჯერ დაზუსტებული არ არის, თუმცა ის რამდენიმე მილიონი ლარი იქნება.

### ენერგომომარაგება სტაბილური და საიმედო გახდა

რუსთავში მცხოვრები, დაახლოებით, 4 500 აბონენტის ენერგომომარაგება უფრო სტაბილური და საიმედო გახდა.

„ენერგო-პრო ჯორჯიას“ ქვემო ქართლის ფილიალის ტექნიკური პერსონალის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, ქვესადგურ „მარჯვენა სანაპიროს“ მეშვიდე ფიდერის მიმართულებით აშენდა საჰაერო ხაზი, რომლის სიგრძე 1500 მ-ს აღემატება. დამონტაჟებულია 34 ახალი რკინა-ბეტონის ბოძი.

კომპანიის ინფორმაციით, აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზის საშუალებით, ელექტროენერგიის მიწოდების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი განტვირთვა მოხერხდა. კერძოდ, თუ ადრე ერთდროულად 4500 აბონენტი დენს ქვესადგურ „პატარა რუსთავის“ მეშვიდე ფიდერიდან იღებდა, ახლა უკვე აბონენტთა რიცხვი გაიყო და ამჟამად ელექტროენერგიით უზრუნველყოფა ორი სხვადასხვა წყაროდან ხორციელდება.

ახლად აშენებულ ხაზს, განტვირთვის გარდა, სარეზერვო ფუნქციაც აქვს.

**ინტერპრესნიუსი**

◎ ხედვა

# ტერიტორიულ მთლიანობას, ოღონდ... დამოუკიდებლობის გათვალისწინებით!



რა მეგობრობა ვიცით ქართველებმა სადღეგრძელოების წარმოთქმისას, ბარაკამ რომ იცოდეს, მისი თვალები იმდენ სითბოსა და ალერსს დაგვანახებს, მტერსაც რომ არ დაესიზმრება.

მეგობრების ძებნა ევროპაში კარგა ხანია დავიწყეთ, „საქართველოს მეგობარი სახელმწიფოების“ ერთობაც შევქმენით და სამარცხვინოდ დამარცხებული ომის გამარჯვებულად გამოცხადების მრავალათასიან მიტინგზე „სარკო, სარკოს“ ძახილით ხუთჯვრიან დროშები ავაფრიალეთ. თურმე სარკოზი ჩვენი მეგობარი გამხდარა! მან კი, ამ რამდენიმე დღის წინათ ნიცაში გამართულ შეხვედრაზე (ჩვენთან სამიტს რომ უწოდებენ) განაცხადა, რომ „საქართველოს მეგობრების“ პოზიციამ მარცხი განიცადა და მედვედევის იდეას დაუჭირა მხარი ევროპის უსაფრთხოების შესახებ შეხვედრის მოწყობაზე. ნიცას შეხვედრაზე სხვა ჩვენი თავდადებული მეგობრებიც ბრძანდებოდნენ: ჰავიერ სოლანა, ჟოზე მანუელ ბაროზუ და პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ლიდერები, სხვა კეთილისმსურველებიც.

საკმაოდ უცნაურად, ცინიკურადაც კი გაისმა მედვედევის განცხადება: **„რუსეთი მთლიანად იზიარებს საქართველოს ტერიტორიალურ მთლიანობას, ოღონდ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის გათვალისწინებით“?!.**

იქნებ „საქართველოს მეგობრებმა“ მაინც აგვიხსნან, რას ნიშნავს ეს? ჩვენს მეგობარ ბუშს ამისთვის აღარ სცალია, ობამა ჯერ „მეგობრად“ არ ჩამოყალიბებულა და ჩვენ რომელი ქვა ვიხალოთ თავში, ჯერ ვერ გაგვირკვევია.

მთავარი კი ისაა, რომ ამ მრავალრიცხოვან „მეგობრებს“ შორის მოყვარე არავინ აღმოჩნდა!

ჩვენი ხელისუფლების გადამკიდე კი ვერც იმას გავარკვევთ, თუ საქართველოს კიდევ რომელი რეგიონი მოითხოვს დამოუკიდებლობას ისე, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ დაირღვეს!

ყოველ შემთხვევაში მეგობარმა სარკოზიმ ნათლად განაცხადა: **„ჩვენი სტრატეგია, ევროკავშირის სტრატეგია უფრო ეფექტიანი აღმოჩნდა, ვიდრე ეგრეთ წოდებული „საქართველოს მეგობრების“ სტრატეგიაა. მუქარის პოლიტიკა არაფერს მოუტანს არც რუსეთს, არც საქართველოს, არც ევროკავშირს და ეს არ არის ევროკავშირის კონცეფცია“.**

მაინც როგორ გვიყურებენ ქართველებს ჩვენი მეგობარი ევროპელები და ამერიკელები? მოყვრულად ხომ არა?

ეს კარგად ჩანს იმ რიგებით, რაც მათ საელჩოებთან დამდგარა და რამდენ დამცირებას ხვდება ქართველი ამერიკის ან საფრანგეთის თუ გერმანიის საელჩოში ვიზაზე უარის მიღების დროს.

ვინ ვართ ჩვენ მათთვის? ერთი პატარა განუვითარებელი (ბოდიში, განვითარებადი) ქვეყანა, სადაც ტურიზმის აღორძინება ერთადერთი გამოსავალი ყოფილა შიმშილისაგან თავის დასაღწევად, სადაც არ უნდა არსებობდეს მეცნიერება, ხელოვნება და განათლება, მხოლოდ წერა-კითხვის ცოდნით უნდა შემოიფარგლოს. აქ არაა საჭირო არც ინჟინერის, არც ექიმის ან მასწავლებლის აღზრდა. განათლების რეფორმაც ხომ მთლიანად მეგობარი ამერიკელების მითითებებით ჩატარდა. მთლიანად გამართლდა ამერიკის საელჩოს ატაშეს, ბატონ ჰაჩისონის სიტყვები, რომელიც 1992 წელს მითხრა: **„თქვენ განვითარებადი ქვეყანა ხართ და სახელმწიფომ მხოლოდ დაწყებითი განათლება უნდა დააფინანსოსო!“**

ამისი შნოც კი არ გვქონია და სასწრაფოდ გავანადგურეთ როგორც საშუალო, ისე უმაღლესი სკოლა. დღეს ჩვენს ატესტატებსა და დიპლომებს არც ერთი, „ჩვენი მეგობარი“ სახელმწიფო აღარ სცნობს ჩვენთან არსებული სასწავლო პროგრამების დონის გამო. თუ ადრე ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდებით მოგვქონდა თავი, მრავალი მათგანი ამერიკისა და ევროპის უნივერსიტეტის პროფესორიც გახდა, დღეს ქართველი კრიმინალებით და მეძავებით გავავსეთ ევროპაც და ამერიკაც. ამას ევროპული გაზეთებიც აღნიშნავენ და სწორედ ამიტომაც დგას რიგები ამ ქვეყნების საელჩოებთან...

ვიყვიროთ ახლა კიდევ „სარკო, მიშა, სარკო, მიშა!“, დაველოდოთ ახალ აგრესიებს სხვა მეზობლების მხრიდანაც და ვნახოთ, მტერ-მოყვარის ძიებაში კიდევ რამდენ დამოუკიდებელ „სახელმწიფოს“ შექმნის ეს ჩვენი ბედკრული ქვეყანა, რომელიც თვითონ ნამდვილ, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბებულა?

**მერაბ ჯიბლაძე**

**„ქართული აკადემია“**

### ხელისუფლება და მედია

ათიოდე წლის წინათ „თავისუფლების ინსტიტუტი“ პრესის თავისუფლების შესახებ თავის ანგარიშში წერდა: „აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტისა და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, საქართველოს ნაწილობრივ თავისუფალი ქვეყნის სტატუსი აქვს. ის ჯერ კიდევ იმ 58 ქვეყნის რიცხვშია, სადაც არ არსებობს სიტყვის თავისუფლების სამართლებრივი გარანტიები. სიტყვის თავისუფლების დარღვევის, პოლიტიკური პრესინგისა და შემზღუდველი კანონმდებლობის სფეროში საქართველო არათავისუფალთა, ხოლო რეპრესიული მეთოდების სფეროში ნაწილობრივ თავისუფალთა კატეგორიაში მოხვდა“.

სამწუხაროდ, ათწლეულის გასვლის შემდეგ, მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა და ამჯერად მე-100 ადგილიც კი სანატრელი გაგვიხდა. „თავისუფლების ინსტიტუტი“ მსგავს ანგარიშებს „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ უკვე აღარ აქვეყნებს, სამაგიეროდ, საკმაოდ შემაძრწუნებელი და მძიმეა სახალხო დამცველის **სოზარ სუბარის** ანგარიში პრესის დამოუკიდებლობისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ.

## სახალხო დამცველის სოზარ სუბარის ანგარიშის ძალიან „შავი“ დეტალები...

# „იმედის“ დარბევის შემდეგ: კრიზისის აპოგეა...

...როცა 2008 წელს ჟურნალისტი ნინო ცხვარაშვილი მედიის შეზღუდვებზე საუბრობს და ეს გაბედულ ნაბიჯად არის შეფასებული ომბუდსმენის მხრიდან, უკვე გასაგები უნდა იყოს, თავისუფლების როგორ ხარისხზე ლაპარაკობენ საქართველოში. აი, რას ამბობს ნინო ცხვარაშვილი: „იმის მიუხედავად, რომ ჯერ კიდევ რადიო „იმედის“ ჟურნალისტი ვარ, იმდენად აუტანელი გახდა უთქმელობა, უმოქმედო ჟურნალისტიკა, კონტროლირებადი ჟურნალისტიკა, რომ გადავწყვიტე, ფურცლებზე ვწერო და ქუჩაში ამ ფორმით ვესაუბრო მსმენელს. ეს ჩემი არჩევანია. რას ვიზამთ, თავისუფლებას მედიას არავინ აჩუქებს, მას მოპოვება უნდა. როცა ჩემი ხელმძღვანელი შთაგონებული სახით მეუბნება: რა დროს ეგ არის, როგორ, შენ პატრიოტი არა ხარ? დღეს მთავარია სახელმწიფო. არ გინდა დამოუკიდებლობა? მეც ვრჩები და ირევა ათასი აზრი: რომელი სახელმწიფო, რომელიც დღეს კვდება? სადაც არ არის დემოკრატია და ხალხს ეუბნებიან, რა დროს სამართალია, იქ რუსის ჯარი დგას? სადაც არეულია ღირებულებები და ერისკაცები სანთლით საძებარია?“...

### კრიზისი ელექტრონულ მედიაში

საქართველოში პრესის ფურცლებიდან უფრო ისმის ობიექტური, დამოუკიდებელი აზრი, ვიდრე ტელე-რადიო სივრციდან. სუბარის მოხსენებაშიც თითქმის არაფერია ნათქვამი ჟურნალ-გაზეთების თავისუფლების შეზღუდვაზე. სახელმწიფო მათ მიმართ შედარებით ლოიალურია. საფიქრებელია, ეს ხდება იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში დაბალია მყიდველობითი უნარის დონე. მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს არ ძალუძს, იყიდოს გაძვირებული პრესა. ამდენად, ის აბსოლუტურად დამოკიდებულია ელექტრონულ მედიაზე.

როცა ტელესივრცეში შექმნილ კრიზისზე საუბრობენ, ათვლის წერტილად „იმედის“ დარბევის ფაქტს მიიჩნევენ და სამართლიანადაც. 2007 წლის 7 ნოემბერს ტელეკომპანია „იმედი“ ხელისუფლებამ მიზანმიმართულად დაარბია. მას მერე მედია ნაკლებად პლურალისტური გახდა.



ამ პროცესების შემდეგ ქვეყანაში თითქმის ნახევარწლიანი საარჩევნო კომპანიის პერიოდი იწყება. ოპოზიციური პარტიების პოლიტიკური ბრძოლის საფუძველზე ფორმირებულმა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ თითქმის მოახერხა მაყურებლისთვის მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდება. ცალკეული ხარვეზების მიუხედავად, **ევროსაბჭოს დამკვირვებელთა სპეციალური კომიტეტი** მათიას იორშის თავმჯდომარეობით თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ არჩევნების პერიოდში, სხვა ელექტრონულ მედიასაშუალებებთან შედარებით, **საზოგადოებრივი მაუწყებელი ერთ-ერთი სრულყოფილი საშუალება იყო, რომლის მეშვეობითაც მოსახლეობას შესაძლებლობა ჰქონდა, არჩევანი გაეკეთებინა დეპუტატობის კანდიდატთა შორის.**

არჩევნების დასრულების შემდეგ საზოგადობრივ მაუწყებელზე პოლიტიკური დებატები შეწყდა. საინფორმაციო საშუალებებში დაუბალანსებელი ინფორმაცია კვლავ გაჩნდა, ხოლო რუსეთ-საქართველოს საომარი დაპირისპირების დროს საზოგადოებრივი მაუწყებელი, „რუსთავი-2-ის“ მსგავსად, პროპაგანდის საშუალებას წარმოადგენდა. სამწუხაროდ, გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, კვლავ საჭიროა საზოგადოებრივი მაუწყებლის ფორმირება, რომ მოხდეს ობიექტური, მიუკერძოებელი და მრავალფეროვნების ამსახველი სიუჟეტების ეთერში გაშვება.

### რას ამბობენ ჩვენზე?

საქართველოში გამოხატვის თავისუფლების სფეროში არსებული უკუსვლა შეუმჩნეველი არ დარჩენია არც ერთ ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციასა და სახელმწიფოს. 2008 წლის გლობალურ ანგარიშში, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაცია „Freedom House“-მა გამოაქვეყნა, საქართველო კვლავ რჩება „ნაწილობრივ თავისუფალ“ ქვეყნად (შვიდბალიან სისტემაში 4 ქულა აქვს), თუმცა, მედიის თავისუფლების კუთხით, წინა წლებთან შედარებით, მდგომარეობა გაუარესდა.

ამერიკულ ორგანიზაცია **„ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის“** განმარტებით, „სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა დემოკრატიული რეფორმების გატარების დაპირებით. პრესასთან ხანმოკლე „თაფლობის



თვის“ შემდეგ, ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამოამჟღავნეს კრიტიკის მიმართ შეუწყნარებელი დამოკიდებულება. **სააკაშვილის მთავრობამ დაწვრილებით გააანალიზა შექმნილი მდგომარეობა და გადაწყვიტა, ზეგავლენა მოეხდინა სატელევიზიო რეპორტაჟებზე, ქვეყანაში ყველაზე პოპულარულ გავლენიან ინფორმაციის წყაროზე. ამ კუთხით საქართველოს მთავრობამ საბოლოო წარმატებასაც მიაღწია“.**

**აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის 2007 წლის ანგარიშში კი ნათქვამია: „იმის მიუხედავად, რომ გასული წლის ზოგიერთ სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ მდგომაროება გაუმჯობესდა, ვითარება სიტყვის თავისუფლების, პრესის, შეკრებისა და პოლიტიკური მონაწილეობის კუთხით გაუარესებულია“.**

### ხელისუფლების „თაფლობის თვეები“ ელექტრონულ მედიაში

ომბუდსმენს თავის ანგარიშში ხაზგასმით აქვს მითითებული, რომ ხელისუფლების ახლო ურთიერთობა ტელეარხის მფლობელთან წარმოადგენს ელექტრონული მედიის მართვის საუკეთესო საშუალებას. სატელევიზიო სადგურები გადადის ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების ხელში, რომელთა მეშვეობითაც მმართველი პოლიტიკური ჯგუფები აკონტროლებენ არხის სარედაქციო პოლიტიკას. ზოგიერთი ტელეკომპანიის მფლობელი არის ოფშორული კომპანია, რომლის დამფუძნებლის ვინაობის გაგება სახალხო დამცველისთვისაც კი შეუძლებელი აღმოჩნდა.

2008 წლის გაზაფხულზე სოზარ სუბარმა კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან ინფორმაცია მოითხოვა სამი კერძო ლიცენზიის მქონე სატელევიზიო სადგურის – „რუსთავი-2-ის“, „იმედის“, და „მზის“ შესახებ. კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ ომბუდსმენს აცნობა, რომ ტელეკომპანია „იმედმა“ ინფორმაცია არასრულყოფილად მიაწოდა, ხოლო რაც შეეხება „რუსთავი-2-სა“ და „მზეს“, საერთოდ, ორი წლის განმავლობაში არიდებდნენ თავს მათი მფლობელის შესახებ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას. **მართალია, სანქციებით დამუქრების შემდეგ მარეგულირებელ კომისიას სამივე კომპანიამ წარუდგინა კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია, თუმცა, სუბარი მიიჩნევს, რომ კომისიას „რუსთავი-2-ისა“ და „მზის“ მესაკუთრეებზე მეტად აინტერესებდათ ის სქემა, რითაც ბადრი პატარკაციშვილი იყო დაკავშირებული „ტელეიმედთან“.**

### მედია ჰოლდინგ „ი-მედიას“ საქმე

2008 წლის იანვრის მონაცემებით „ტელეიმედისა“ და „რადიო იმედის“ საწესდებო კაპიტალის 100 პროცენტის მფლობელია სააქციო საზოგადოება „ი-მედია“. „ი-მედიას“ აქციათა 65 პროცენტს ფლობს შპს „ჯეი ემ ჯი კონსალტინგ გრუპი“, ხოლო 35 პროცენტს „შპს „უნივერსალი“. თავის მხრივ, შპს „ჯეი ემ ჯი კონსალტინგ გრუპის“ 70 პროცენტს ფლობდა ფიზიკური პირი გიორგი ჯაოშვილი, ხოლო 15-15 პროცენტს – შპს „მაუდი“ და ბადრი პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდი.

იხ. 6 გვ.

### ინფორმაცია

#### თუ გაზს უძვირებენ, პური აღარ გაძვირდება?

პურის ქარხნებს პირველი ნოემბრიდან გაზის ღირებულების გადახდა 78-თეთრიანი ტარიფით მოუწევთ. შესაბამისი შეტყობინება ქარხნებმა გასული კვირის ბოლოს მიიღეს.

ინფორმაცია მე-4 პურის ქარხნის დირექტორმა მალხაზ დოლიძემაც დაადასტურა.

მისივე თქმით, გაზის ტარიფი „ყაზტრანსგაზ-თბილისმა“ თავდაპირველად პირველ აგვისტოს, 61-დან 69 თეთრამდე გააძვირა, თუმცა სექტემბერ-ოქტომბერში ტარიფი პურის ქარხნებისთვის გამონაკლისის სახით ისევ შემცირდა.

„ყაზტრანსგაზ-თბილისში“ კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ, თუმცა გაძვირება, არსებული ინფორმაციით, დოლართან მიმართებაში ლარის კურსის დაცემას უკავშირდება.

ამასთან, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გრიგოლ მგალობლიშვილმა 15 ნოემბერს განაცხადა, რომ პურის გაძვირება მოსალოდნელი არ არის.

#### სად დაიკარგა პატიმრების დაზღვევაზე გამოყოფილი თანხა?

საპარლამენტო უმცირესობის წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე პატიმრების დაზღვევის საკითხით ინტერესდება.

როგორც ლორთქიფანიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, პატიმრების დაზღვევისთვის 3 მილიონი ლარია გამოყოფილი, რა თანხაც ათვისებულია, თუმცა რა გაკეთდა ამ კუთხით პატიმრებთან მიმართებაში, გაურკვეველია.

დეპუტატი ამ საკითხში დეტალურ გარკვევას გეგმავს.

რაც შეეხება პატიმრების დაზღვევას, მას სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბი-სი-აი“ ახორციელებს. თითო პატიმრის დაზღვევის თანხა კი თვეში 9 ლარს შეადგენს.

ინტერპრესნიუსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ყველამ უნდა წაიკითხოს!

ზურაბ ავალიშვილი

# საქართველოს შეერთება რუსეთთან

და აი, ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც რუსეთის ჯარები საქართველოში იყვნენ, მათი უკან გაწვევის შესახებ წერილის მიღების წინ, ერეკლე იმპერატრიცას უგზავნის წერილობითს წარდგინებას იმ პირობების შესახებ, რა პირობებითაც მოისურვებდა იგი რუსეთის მფარველობაში შესვლას. ამ მიზნით იგი ხელმწიფის კარზე გზავნის თავის ვაჟს ლევანს, და ძმას – კათოლიკოს ანტონს. ერეკლე სრულიად ნათლად გამოხატავს თავის სურვილს, ითხოვს, ღირს-ჰყონ ისეთი მფარველობით, რომ ყველა, მტერიც და მოყვარეც, დარწმუნდეს, რომ იგი რუსეთის სახელმწიფოს ნამდვილი ქვეშევრდომია, და მისი სამეფო შეემატება რუსეთის იმპერიას, ხოლო რა საფუძველზე უნდა მოხდეს „შემომატება", ეს დაწვრილებით არის ჩამოყალიბებული პირობების ერეკლესეულ პროექტში (Грамоты, №144. ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველოს ნომინალური ქვეშევრდომობა იწყება ჯერ კიდევ XVI საუკუნის ბოლოდან. თევდორე იოანეს ძის დროს მოსკოვის მეფეთა ტიტულს დაემატა: „ხელმწიფე ივერიის მიწა-წყლისა და ქართველი მეფეებისა").

მის მიერ შემოთავაზებული პირობები სრულად ადასტურებენ უკვე ზემოთ გამოთქმულ აზრს, რომ ქართველებს, გადაჰქონდათ mutatis mutandis მართლმადიდებელი სიუზერენისადმი თავიანთ დამოკიდებულებაზე ის ფორმები, რომლებშიც ვლინდებოდა ისტორიულად ჩამოყალიბებული საქართველოს დამოკიდებულება სპარსეთზე. თვით ერეკლემ, რომელიც ახალგაზრდობაში რამდენიმე წელიწადს იყო ნადირ-შაჰის ვასალი, გამოცდილებით იცოდა ეს ფორმები.

სხვაგვარად არც შეიძლებოდა, ყოფილიყო: რახან გაურკვეველი და ბუნდოვანი „მფარველობისა და მისი უკანასტარის – „ქვეშევრდომობისათვის" უნდა მიენიჭებინათ მკაფიო მოხაზულობა, სად აელოთ იგი, თუ არა ყველასათვის ნაცნობი სინამდვილიდან? იურიდიული შემოქმედება და საზრიანობა ვერ იქნებოდა იქ, სადაც ჭრილობა ქერის მარცვლებით იზომებოდა და მარცვალთა რიცხვით ნაზღაურდებოდა, და სადაც მეფეები უშუალოდ, პირადად მიუძღოდნენ მეომრებს იერიშზე.

თავის დამოკიდებულებას ნადირ-შაჰისადმი და დამოკიდებულებას რუსეთისადმი თვით ერეკლე აახლოვებს, როცა უხსნის რა მათ შორის მომხდარი გაუგებრობის არსს, გენერალ სუხოტინს სწერს: თუკი სპარსეთის ხელმწიფეს სამართლიანად და ერთგულად ვემსახურებოდი, მით უმეტეს, მართლმადიდებელი ხელმწიფისადმი უერთგულეს სამსახურს წინ რა დაუდგებაო. მფარველობისა და დახმარების სანაცვლოდ, ერეკლე კისრულობს, მიავლინოს იმპერატორის კარზე მძევლებად თავისი ერთ-ერთი ვაჟი, აგრეთვე რამდენიმე თავადი და აზნაური. მოსახლეობა იხდის იმპერიის ხაზინაში 70-70 კაპიკს კომლზე. უგზავნის ყოველწლიურად 14 საუკეთესო ბედაურს. გარკვეული რაოდენობის ტყვეებისა და საუკეთესო ხარისხის ღვინით სავსე საპალნეების ნაცვლად, რასაც ერთ დროს ხარკად იღებდნენ მაჰმადიანები, ერეკლე აღუთქვამს, რომ ყოველწლიურად ჩაუტანს 2,000 „ვედრა" ღვინოს, და, ბოლოს, როცა საქართველოში სიმშვიდე დაისადგურებს, ერეკლე ჯარისკაცებს გაუგზავნის იმ რაოდენობის კომლებიდან, რა რაოდენობის სულიდანაც აჰყავთ ჯარში გასაწვევნი იმპერიაში. მძევლები, ფულის, ღვინის ხარკი, მეომრების გამწესება – ყოველივე ეს, მცირეოდენი სახეცვლილებით აღებულია საქართველოს საპოლიტიკო გამოცდილებიდან. ნახსენებია აგრეთვე აბრეშუმის ხარკი – წინათ ჩვეულებრივი საგადასახადო საშუალება სპარსეთში.

მეორეს მხრივ, ერეკლეს სიტყვებში გამოსჭვივის იმედი სანუკველი ეროვნული იდეის ხორცშესხმისა. რეგულარული ჯარების გაგზავნა საქართველოს დასაცავად და ოსმალთა წინააღმდეგ საომარი მოქმედებების საწარმოებლად, ბოლოს და ბოლოს, მისცემს შესაძლებლობას, დაიბრუნოს ოსმალთა მიერ წართმეული ახალციხის ოლქი – ერეკლე ითხოვს, რომ უახლოეს გაზაფხულზევე გასცენ ბრძანება მისი დაბრუნებისათვის თადარიგის დასაჭერად: ეს ოდინდელი ქართული მიწა-წყალია, იქ ქართულს ლაპარაკობენ და ბევრი ქრისტიანია. რაც შეეხება სხვა, არაქართული მიწების ხვედრს, ერთად რომ დაიპყრეს რუსულმა და ქართულმა იარალმა, – ეს იმპერატრიცაზე იქნება დამოკიდებული.

ჩვენ ვხედავთ, რომ ერეკლეს „წარდგინების" თითოეული სიტყვა ეყრდნობა საქართველოს ბედკრულ ისტორიას და მის მისწრაფებებს, ჯერ საბოლოოდ რომ არ არის მიწასთან გასწორებული.

ამ „წარდგინების" შინაარსი უშუალო წყაროა 1783 წლის ხელშეკრულებისა.

## 2.

მაგრამ, როდესაც ერეკლე თავის პირობებს აყენებდა და რუსეთს ელჩებს აგზავნიდა, ამიერკავკასიიდან რუსეთის ჯარების უკან გაწვევის საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო: საბოლოოდ აიყარეს გული ქართულ ექსპედიციაზეც, და ქართველებზეც. ამიტომ ელჩები მთელ წელიწადს აყურყუტეს ასტრახანში, მერე კი უარყოფითი პასუხი გასცეს მათს „აბეზარ" თხოვნებს. 1773 წლის 8 თებერვალს პანინი ერეკლეს სწერდა, რომ ხელმწიფის კარზე გაგზავნილი წარდგინება რუსეთსა და საქართველოს შორის ფორმალური კავშირის დადების შესახებ არათანადროულად არის მიჩნეული, და რომ ლვოვს, საქართველოს საქმეთა რწმუნებულს, უკან იწვევენ. ხოლო მომდევნო 1774 წელს, ქუჩუქ-კაინარჯაში ტრაქტატის დადებამდე რამდენიმე თვით ადრე, ერეკლეს გამოეგზავნა იმპერატრიცა ეკატერინეს სიგელი, რომელსაც გასდევს აზრი, რომ ახლა სამხედრო დახმარება და, საერთოდ, ღია მფარველობა, საეჭვოა, საქართველოსთვის გამოსადეგი იყოს; და თვით ექსპედიციის გამოცდილებიდანაც ჩანს, რომ იქაურ უთანხმოებათა და გაუგებრობათა დროს, საქართველოში რუსეთის ჯარის ყოლას საერთოდ არავითარი სარგებლობა არ მოუტანია. მაგრამ, იმავე სიგელში გამოთქმულია სრული კეთილისმწადნელობა ქართველი ხალხისადმი, და განსაკუთრებით, მოწყალე დამოკიდებულება ერეკლესადმი. ამიტომაც, მიმართავს რა დახმარების გაწევის უფრო მიზანშეწონილ საშუალებებს, იმპერატრიცას მტკიცედ აქვს განზრახული, რომ მომავალში პორტასთან ზავის დადებისას ფორმალურად ჩამოვართვათ მას პირობა ქართველი ხალხის უსაფრთხოებისა და ვნებამიუყენებლობის შესახებ, ხოლო ჩვენ – ზუსტად ვადევნებთ თვალს ყოველივე ამის დაცვას.

ის, რომ პანინის წერილმა ერეკლეს ჯერ კიდევ მთლად არ გადაუწურა ელჩობის წარმატებით დასრულების იმედი, ჩანს იქიდან, რომ ერეკლესა და იმერეთის მეფეს სოლომონს შორის, 1773 წლის ზაფხულში დადებული ხელშეკრულების შესავალში, ნაწილობრივ, რუსეთის წარმომადგენლის შეგონებით, განცხადებულია მათი უდიდესი სურვილი, იყვნენ ყოვლად უბრწყინვალესი ხელმწიფის, იმპერატრიცა ეკატერინე II-ს ქვეშევრდომნი და ა.შ.

ამ ხელშეკრულების მეორე პუნქტით გადაწყდა, ერთად იმოქმედონ რუსეთისა და ქრისტიანობის ყველა მტრის წინააღმდეგ.

თავისთავად ცხადია, რომ ერეკლესათვის უარის მწარე აბს, როგორც ჯერ არს, ავლებდნენ ოქროში, მანუგეშებელი, მწყალობელი სიტყვების ოქროში. ცოტაოდნად მკაცრი, მკვახე უარი იქნებოდა ნამეტნავად უხეში შეცდომა, რასაც არ დაუშვებდნენ არათუ ეკატერინეს დიდებულები, არამედ არც მოსკოველი პოლიტიკოსები (საერთოდ კი, პეტერბურგის კანცელარიების ნაწერების ტონი მედიდურ-მწყალობელია, როგორც შეჰფერის დიდ იმპერიას, პატარა, მისი დახმარების მოსურნე ერს რომ ესაუბრება. ზოგჯერ ვხვდებით ფრაზებს, რომლებიც შეიძლებოდა, არც ეხმარათ, მაგრამ ჯერ ერთი, ქართველთა აზრებს ზოგჯერ მართლაც შეიძლებოდა გამოეწვიათ თავის შეწყენა და შებეზრება, მეორეც, არა მგონია, ეს კილო მაინც და მაინც საწყენად მიეღოთ ქართველებს, მათს მდგომარეობაში და იმპერიაზე მათი შეხედულებისას, როდესაც რუსეთს ყოველგვარი ჭეშმარიტების წყაროდ რაცხდნენ).




З. АВАЛОВЪ

ПРИСОЕДИНЕНІЕ ГРУЗІИ

КЪ

РОССІИ

С.-ПЕТЕРБУРГЪ

ТИПОГРАФІЯ А. С. СУВОРИНА ЭРТЕЛЕВЪ ПЕР., Д. 13

1901

## 3.

ასეთი გულგრილი დამოკიდებულება საქართველოს საკითხისადმი კიდევ ერთხანს გრძელდებოდა, და უკავშირდება, ზოგადად, რუსეთის საალმოსავლეთო საქმეებს. ორი ზღვისაკენ წინსვლითი მოძრაობის მარჯვენა ფლანგზე მთელი მისი ყურადღება მიპყრობილი იყო ყირიმის და ყუბანისადმი, ამიერკავკასიაში რუსეთისა და ოსმალეთის ინტერესები აღარ ეჯახებოდა ერთმანეთს ქუჩუქ-კაინარჯის ტრაქტატის შემდეგ, სპარსეთი კი მომლოდინე პოლიტიკას ადგა. სპარსეთში ჯერჯერობით სიმშვიდე იყო: ქერიმ-ხანს სცნობდნენ ქვეყნის მეტ ნაწილში; მაგრამ იგი ვერ იყო ისეთი ძლიერი, რომ მეზობელი შეეწუხებინა. სამაგიეროდ, შიშობდნენ, რომ დაღესტნისა და ამიერკავკასიის საქმეებში რუსეთის მეტისმეტ ჩარევას შეიძლებოდა, გამოეწვია სპარსეთის ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება და რუსეთისათვის სახიფათო დუღილი. ამრიგად, რომ არ დაერღვია მისთვის ესოდენ სასიამოვნო თვლემა სპარსეთისა, რუსის ჯარმა 1776 წელს გაწმინდა დერბენტი, სადაც გენ.მედემმა ერთი პირობა გარნიზონიც ჩაუყენა – ისე, რომ არ გააჩნდა საამისო რწმუნებები – დერბენტის ფათალი-ხანის მიწვევით. დერბენტის დაკავება ექსპრომტად მოჰყვა დაღესტანში დამსჯელი მიზნით მოწყობილ ექსპედიციას.

დერბენტის საკითხის ამდაგვარი გადაჭრის ერთდროულად, გადაწყდა, უმაღლესი ნების საფუძველზე, მეორე, ანაზდად წამოჭრილი საკითხიც.

საქმე ის არის, რომ ერეკლემ, როცა მედემის ლაშქრობის ამბავი შეიტყო, გამოგზავნა წერილი, ეთხოვათ გენერლისათვის, რომ იგი საქართველოს დერბენტის მხრიდან მოსდგომოდა, და დაეწყო მომიჯნავე ქვეყნების დაპყრობა. მაგრამ ეს გეგმა ოდნავადაც არ ესატყვისებოდა რუსეთის პოლიტიკურ გათვლებს, და მედემს რესკრიპტით ებრძანა, მტკიცე უარი ეთქვა ერეკლესათვის ამ თხოვნაზე.

იმისათვის, რომ საქართველო-რუსეთის დაახლოებას უფრო გამოკვეთილი, ხელშესახები ფორმა მიეღო, არ კმაროდა ერთი მხარის ისტორიული მიდრეკილება და მეორის პლატონური კეთილი ზრახვანი. ამისათვის აუცილებელი იყო, საქართველოს ძიებებისათვის, ქვეყნისა და დინასტიის უპირატესი საჭიროებებიდან რომ გამომდინარეობდა, რუსეთის მთავრობას დაეხვედრებინა არანაკლებ პრაქტიკული გეგმები და გათვლები. ყოველ ჯერზედ, როდესაც ორი მხრიდან მოემართებოდა საპრაქტიკო პოლიტიკის ხაზი, ორი ხაზის გადაკვეთის წერტილი იძლეოდა ხელშესახებ, პრაქტიკულ შედეგებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა არ გადადიოდა საქმიან ფაზისში. ამასთან, არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა იმას, რომ ერთი მხარის სურვილები და მეორის მისწრაფებანი არ ერწყმოდა ჰარმონიულად ერთმანეთს. მთავარი იყო, თითოეულ მათგანს ევლო გარკვეული პრაქტიკული მიზნისაკენ – ხოლო ერთობლივი მოქმედების შედეგს გადაწყვეტდა არა კეთილი ზრახვანი და მოლოდინი, არამედ შესაბამის გარემოებათა არსებობა და ძლიერების თანაფარდობა. ამას ნათლად ადასტურებს საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ზემოთ გადმოცემული ეპიზოდები და მოვლენების შემდგომი მიმდინარეობა.

## III.

## 1.

გავიდა ცოტა ხანი, და საქართველომ კვლავ მიიპყრო რუსეთის ყურადღება, კვლავ სრულად იჩინა თავი რუსეთისთვის იმ სიმპათიების გამოსადეგობამ, რომლითაც სარგებლობდა იგი კავკასიონის გადაღმა. ძალუმად ნაბარტყი შთანაფიქრი, ამჯერად უკვე სპარსეთთან დაკავშირებით, კვლავ მიუთითებდა საქართველოზე, როგორც რუსეთის სააზიო პოლიტიკის ერთ-ერთ ზამბარაზე.

ღრმადმოხუცებული ქერიმ-ხანის დიდი ხნის ნანატრი სიკვდილის შემდეგ (იგი შირაზში გარდაიცვალა 1779 წლის დამდეგს) სპარსეთს მოდებულმა ანარქიამ აპოვნინა რუსეთის მთავრობას საბაბი, განეახლებინა პეტრე დიდის მეცადინეობა – ესარგებლა სპარსეთში ჩამოვარდნილი შფოთიანობით, და მტკიცედ ჩაედგა ფეხი კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე. პეტრეს გეგმებმა, აღმოსავლეთთან ვაჭრობის, კასპიის ზღვაზე კომერციული ნავსადგურის გამართვის და სხვათა შესახებ გამაგრძელებელი ჰპოვეს თავად პოტიომკინის სახით, რომელსაც შეეძლო, ფანტასტიკურად გაებუქა პოლიტიკური იდეა, და ღონისძიება, არსებითად საქმიანი და პრაქტიკული, მოერთო ბრჭყვიალა ზიზილ-პიპილოებით. ჩვენ არ ვილაპარაკებთ მელისოპოლის (ანუ ფუტკართქალაქის) მშენებლობის პროექტზე, რომლის თაფლსაც ბუზივით დაეხვეოდნენ სოვდაგრები ტიბეტიდან, ქაშმირიდან, ინდოეთიდან, აგრეთვე უფრო მახლობელი ქვეყნებიდან: იგრძნობა, რომ ეს პროექტი გამოვიდა იმავე ლაბორატორიიდან, სადაც იჩეკებოდა სამხრეთ რუსეთის ტრამალებში გასაშენებელი ქალაქების პროექტები – აბრეშუმის ფაბრიკებით, კონსერვატორიებით, ბაზილიკებით, პროპილეუმებითა და ლამის აკროპოლისითურთ.

მაგრამ ასეთი გეგმების შემდგენელ ადამიანებს ძალაუფლებაც მოსდევდათ და, მათი შესრულების გულისათვის, შეეძლოთ, დაეძრათ ლეგიონები ხმელეთზე და ხომალდები ზღვაზე.

რუსეთის მთავრობამ, რომელიც წინასწარ სჭვრეტდა ქერიმ-ხანის სიკვდილის შემდეგ გარდაუვალ ანარქიას, ჯერ კიდევ იქამდე, მის სიცოცხლეშივე, გაფაციცებით დაიწყო საზღვაო ექსპედიციის მომზადება, ხოლო 1781 წლის ზაფხულში გრაფ ვოინოვიჩის ესკადრამ უკვე ღუზა ჩაუშვა ასტრაბადის ყურეში. მერმე, ნაპირს რომ მიმოიხილავდა, როგორც res nullius, და primi occupantis როლი რომ გაითავისა, ვოინოვიჩმა არც აცია, არც აცხელა, და დაიწყო „მელისოპოლის" დაარსება, მაგრამ ვაი, რომ ფუტკრები, რომლებსაც იქ დაეძებდა, თაფლის ნაცვლად ნესტრით გაუმასპინძლდნენ!

ასტრაბადის გამგებელმა, ალა-მაჰმად-ხან ყაჯარმა, დროთა განმავლობაში შაჰთა ახლანდელი დინასტიის დამაარსებელმა, მაშინ კი ერთ-ერთმა პრეტენდენტმა, ქერიმის გარდაცვალებისთანავე რომ დატოვა შირაზი, რათა თავისი საგვარეულო სამფლობელოდან დაეწყო „ძიებები" – ვერაგმა ალა-მაჰმად-ხანმა, მზაკვრულად შეიტყუა მახეში რუსული ესკადრის მთელი ამირბარობა, და ბრძანა, შეეპყროთ უიარაღო ოფიცრები იდილიური ქეიფის დროს, მერე კი ხუნდები დაადო ფეხებზე.

თარგმნა
**არჩილ მანჯგალაძემ**

(გაგრძელება იქნება)

იბეჭდება შემოკლებით

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ" № 203-215.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხელისუფლება და მედია

(მეოთხე გვერდიდან)

# „იმედის“ დარბევის შემდეგ: კრიზისის აპოგეა...

ბადრი პატარკაციშვილის მეუღლემ ინა გუდავაძემ სახალხო დამცველს წარუდგინა „ჯეი ემ ჯი გრუპის“ საწესდებო კაპიტალის 70 პროცენტის მფლობელის გიორგი ჯაოშვილის ჩვენება, რომელიც მან ნიუ-იორკის სასამართლოში გააგზავნა. ჩვენებაში ნათქვამია, რომ ჯაოშვილი შეხვდა ჯოზეფ ქეის, გადამხდელთა თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის გიორგი ისაკაძისა და ქეის ადვოკატის თანდასწრებით. შეხვედრაზე ჯოზეფ ქეიმ ჯაოშვილს წარუდგინა ინგლისურ ენაზე შესრულებული დოკუმენტი, რომელიც ქეის ადვოკატმა, სახელად დავითმა უთარგმნა ჯაოშვილს. აღნიშნული დოკუმენტის ძალით, ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი ქონების მმართველად დაინიშნებოდა ჯოზეფ ქეი.

ჯოზეფ ქეიმ ჯაოშვილს შესთავაზა „ჯეი ემ ჯი კონსალტინგ გრუპის“ 70 პროცენტის გამოსყიდვა, ასევე აღნიშნა, რომ გარიგების შესახებ პატარკაციშვილის ოჯახის ყველა წევრი საქმის კურსში იყო.

ჯაოშვილი დარწმუნებული იყო, რომ ჯოზეფ ქეი მოქმედებდა გარდაცვლილი ბადრი პატარკაციშვილის ინტერესების შესაბამისად. „ჯეი ემ ჯის“ წილები 420.000 ლარით განისაზღვრა და 70 პროცენტი გაიყიდა. ჯოზეფ ქეიმ „ჯეი ემ ჯი კონსალტინგ გრუპში“ დომინანტური მდგომარეობის დაკავებით „რადიო იმედისა“ და „ტელე იმედის“ მართვის უფლება მოიპოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ინა გუდავაძეს, მის ქალიშვილებს ია პატარკაციშვილსა და ლიანა ემოტოვას აეკრძალათ, განახორციელონ ნებისმიერი ფაქტობრივი ან იურიდიული მოქმედება სამკვიდროს ან მისი ნაწილის საკუთრების, მფლობელის ან სხვა უფლების მიღებასთან ან ნებისმიერი სხვა პირისთვის გადაცემასთან დაკავშირებით. იმავე განჩინებით, ჯოზეფ ქეი აღიჭურვა უფლებით, განეხორციელებინა ნებისმიერი ქმედება, რასაც აუცილებლად ჩათვლის ბადრი პატარკაციშვილის ქონების შეკრებისა და მოვლისთვის. ამ განჩინებამ გაამყარა ქეის პოზიციები. ამით გარკვეულწილად დამატებითი სამართლებრივი უსაფრთხოების გარანტია შეექმნა ჯოზეფ ქეის ტელე და რადიო კომპანია „იმედის“ მფლობელობის შენარჩუნებისთვის.

ალსანიშნავია ის გარემოება, რომ ჯოზეფ ქეის სასამართლოსთვის არასოდეს წარუდგენია იმ დოკუმენტის ორიგინალი, რომელიც მას უფლებას ანიჭებს, მართოს და განკარგოს პატარკაციშვილის ქონება.

**ინა გუდავაძეს სარწმუნოდ არ მიაჩნია ჯოზეფ ქეის ვერსია, თითქოს ბადრი პატარკაციშვილმა დოკუმენტს ხელი მოაწერა შუაღამით, ნიუ-იორკში, რესტორნიდან გამოსვლის შემდეგ, ქუჩის განათების შუქზე, მით უმეტეს, ინგლისურ ენაზე, რომელზედაც პატარკაციშვილი თავისუფლადაც კი ვერ ლაპარაკობდა.**

**ინა გუდავაძის ადვოკატებმა შეძლეს ამ დოკუმენტის ასლის მოპოვება და ექსპერტიზისთვის გადაუგზავნეს ცნობილ ნიუ-იორკელ ექსპერტს გუსტავ ლენევიჩს. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შესრულებული ხელმოწერა არ არის ბადრი პატარკაციშვილის ხელმოწერის იდენტური.**

სახალხო დამცველი პირდაპირ უთითებს ხელისუფლებასა და ჯოზეფ ქეის შორის შემდგარ გარიგებაზე, ვინაიდან ჯოზეფ ქეის ტელეიმედში მისვლის შემდეგ მთლიანად შეიცვალა ჰოლდინგში შემავალი მედიასაშუალებების სარედაქციო პოლიტიკა. მესაკუთრის შეცვლა შეეხო სამეთვალყურეო საბჭოსაც, რომელსაც სათავეში თავად ქეი ჩაუდგა. შეიცვალა ყველა საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი, ხოლო ახალი ამბების რედაქციები მკვეთრად ლოიალურნი გახდნენ ხელისუფლების მიმართ.

ჟურნალისტების მტკიცებით, „ი-მედიას“ მფლობელი კონკრეტულ მითითებებს იძლევა ხელისუფლების პოზიტიურ ჭრილში გაშუქების თაობაზე, მას **შემუშავებული აქვს „ობიექტურობის კრიტერიუმიც“: ობიექტურობა პლიუსით და ობიექტურობა მინუსით. მას მიაჩნია, რომ საინფორმაციო არხი უნდა გამოირჩეოდეს ხელისუფლების მიმართ „ობიექტურობა-პლიუს“ ნიშნით.** ვინც ამ ხაზს გადაუხვევს, ასეთი ჟურნალისტის ადგილი უბრალოდ მის მედიაში არ იქნება, ჟურნალისტი განწირულია სამსახურიდან დათხოვნისთვის და ასეთი უკვე ბევრია, თუნდაც რადიო „იმედის“ საინფორმაციო არხის ხელმძღვანელი ნონა ყანდიაშვილი, რომელმაც გაახმაურა რედაქციაში მიმდინარე ცვლილებები და მიმართულებები...

**თეა მოსია.**

(გაგრძელება იქნება)







## რეპლიკა

# პარლამენტი თუ ციხესიმაგრე? შიგნით არამც და არამც არ შეგიშვებენ, თუ შეკითხვებზე პასუხები არ აქვთ...

***... ჩვენი ხელისუფლების შემხედვარე, საზოგადოებაში დიდი ხანია, გაჩნდა კითხვა: რას ემსახურება № 1 გიმნაზიასა და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეს შორის მდგარ თაღებიან შენობაში დაბუდებული „დიდგვაროვანთა კასტა“, თავიანთ თავს პარლამენტარებს რომ უწოდებენ და ეს ქვეყანა საბურთაო მოედნად წარმოუდგენიათ? ან რა მომაჯადოვებელი ძალა სუფევს ამ „დალოცვილ“ შენობაში ისეთი, რომ ხალხი ქუჩის ოპოზიციონერის სტატუსით შედის და უცებ ხელისუფლების „მარჯვენა ხელის“ მაამებელ ფუნქციასაც ითავსებს? ამ საიდუმლოებას რომ ჩასწვდე, ან რომელიმე „მარჯვენა ხელის“ ნდობით აღჭურვილი პირი უნდა იყო, ან სულაც თავად უნდა გერქვას „მარჯვენა ხელი“. სხვა დანარჩენებისთვის ეს შენობა დახურულია და მიუვალ ციხესიმაგრეს წარმოადგენს. ამაში თავადაც ადვილად დარწმუნდებით, მაგრამ მე მაინც ერთ მეტ-ნაკლებად საინტერესო ფაქტზე გიამბობთ:***

მოგეხსენებათ, ამ დღეებში „პარლამენტში დაბინავებული“ ე.წ. ანტიკრიზისული საბჭოს „აქტიურობის წყალობით“ ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გამოიჩინა გულისხმიერება და ამნისტიის კანონპროექტი გამოაქვეყნა, მაგრამ საზოგადოება და, ბუნებრივია, ოპოზიცია (არასაპარლამენტო) იმდენად „უმადური“ აღმოჩნდა, რომ ამაში სასიკეთო ვერაფერი დაინახა, პირიქით, აქაოდა ხელისუფლებას კრიტიკა არ მოაკლდეს, სულ აძაგა და აძაგა ნაცმოძრაობა თავის „მარჯვენა ხელებიანად“. ეკა ბესელიამ საგანგებო ბრიფინგი გამართა და ჟურნალისტებს განუცხადა: კანონპროექტის მომზადებაში რეალურ ოპოზიციას მონაწილეობა არ მიაღებინეს, ხელისუფლებამ ყველაფერი საკუთარ ინტერესებს მოარგოო. შეიძლება და დარწმუნებული ვარ, ასეც იყოს, მაგრამ ნათქვამია: „ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობსო“ და ვიფიქრე, რომელიმე დეპუტატს, ვინც ამ კანონპროექტის მომზადებაში უშუალოდ იყო ჩართული, დაველაპარაკები და დასკვნებს მერე გამოვიტან-მეთქი. მაგრამ — ნურას უკაცრავად. ვინაიდან ხელისუფლების „მარჯვენა მაამებელი ხელის“ სტატუსით არ ვსარგებლობ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პარლამენტის კარები ჩემთვის დაკეტილი აღმოჩნდა. შეშვებაზე პირდაპირ უარი არ უთქვამთ, მაგრამ ისე მოხდა, რომ კარგა ხნის ლოდინის შემდეგ საშვი არ მომცეს და უკან გამობრუნება მომიხდა. არადა, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის ერთ-ერთ მდივანს ვინმე მარის (გვარი არ ვიცი) წინა დღეს დავურეკე და ასე მითხრა: ხვალ ორ საათზე თქვენს სახელზე საშვი დაშვებული იქნება და მობრძანდითო.

ცნობისთვის: იმ დღეს დეპუტატ მურთაზ ზოდელავას უნდა შევხვედროდი. სიმართლე გითხრათ, ამ რეპლიკის დაწერას მერჩია ინტერვიუ მომემზადებინა და წასვლამდე იქვე, პარლამენტის ფოიეში, კიდევ ერთხელ ვცადე პატივცემულ მარისთან დაკავშირება (ვიფიქრე, იქნებ რამე გაუგებრობაა-მეთქი), მაგრამ ზარს კვლავ არავინ პასუხობდა, მერე მითხრეს, ორიდან ოთხ საათამდე შესვენებაა და ტყუილა ნუ ცდილობ ვინმესთან დაკავშირებასო. სწორედ მაშინ აეხადა ფარდა „ძვირფასი“ მარის ცრუპენტელობასაც — თუ ორ საათზე შესვენება ცხადდება, რატომ მაინცა და მაინც ორზე დამიბარა, ან როგორ შეიძლება, ორსაათიანი შესვენება გამოაცხადო, როცა ქვემოთ ათასი პრობლემით შეწუხებული უამრავი ხალხი გიცდის?!. როგორც ჩანს, შეიძლება, მით უმეტეს მათთვის, ვინც ყველაფრით უზრუნველყოფილია და საერთოდ არ იცის, რა არის პრობლემა, ვინც რეალობას მოწყვეტილია და არ, ან ვერ ხედავს, რა დღეშია ხალხი... სწორედ ასეთების საბუდარია „ჩვენი“ პარლამენტი, ასეთია ჩვენი ხელისუფლება და „სახელისუფლებო“ ოპოზიცია, რომელიც ლამის სულში ჩაუძვრეს ამ უდღეურ მთავრობას.

... ერთი კია გასაკვირი: ე.წ. საპარლამენტო ოპოზიციის წევრებს, მას შემდეგ, რაც მათ იკადრეს (პარლამენტში შესვლასა და ხელისუფლების ლაქიაობას ვგულისხმობ), რატომ ჰგონიათ, რომ საზოგადოება მათ მიერ თვალში შეყრილ ნაცარს ოქროდ აღიქვამს? რატომ ჰგონიათ, რომ ის სამარცხვინო სპექტაკლი, რაც ყოველდღე იდგმება პარლამენტში, გარედან დიდი წარმოდგენის შთაბეჭდილებას ტოვებს? პასუხი ორგვარია: ან საზოგადოება ბრმად და ყრუდ მიუჩნევიათ, ან ყველაზე დიდი სისულელეც კი სიბრძნედ ეჩვენებათ...

რაც შეეხება პარლამენტში შეშვება-არშეშვებას — ადამიანი მაშინ არის თანახმა, მოისმინოს კითხვები, როცა მას ამ კითხვებზე პასუხები აქვს ამას ვერ ვიტყვით ჩვენს დეპუტატებზე და იქნებ ამიტომაც გამისტუმრა „დიპლომატიური უარით“ გაუჩინარებული მარის მეშვეობით „დიდგვაროვანმა“ ზოდელავამ?..

**ჯაბა ჟვანია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ვიზიტის შემდეგ



**აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რეგიონებში ბოლო დროს შექმნილი უკიდურესად მძიმე ვითარების გამო 4-10 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოს დელეგაციის მოსკოვში ვიზიტი პრესცენტრ „რია ნოვოსტიში“ გამართულ პრესკონფერენციაზე თავად დელეგაციის წევრებმა შეაჯამეს. ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა (რომელიც დელეგაციას არ წაჰყოლია) გორისა და ნიქოზის მიტროპოლიტმა ანდრიამ, დეკანოზმა გიორგი ხარაზიშვილმა და რუსეთში საქართველოს ყოფილმა საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, პოლიტიკურმა ექსპერტმა ზურაბ აბაშიძემ ამომწურავად ისაუბრეს ვიზიტის დეტალებზე და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ რუსულ და ქართულ ეკლესიებს შორის თანამშრომლობა ომის დროსაც არ შეწყვეტილა. — „ეკლესია და სარწმუნოება ყოველთვის იყო და არის ის ფაქტორი, რომელიც მჭიდროდ აკავშირებდა რუს და ქართველ ხალხებს. მოსკოვში გამართულ ვიზიტზე ხაზგასმით ითქვა, რომ სწორედ ეკლესიებმა შეიძლება ამ ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბულობა ეტაპობრივად განმუხტონ.**

# რუსეთის საპატრიარქო პუტინ-მედვედევის ცოდვების გამოსყიდვას ცდილობს

მართალია, ჩვენი პოზიციები ერთმანეთს, მთლიანად არ ემთხვევა — მათ აქვთ თავიანთი არგუმენტაცია და მოვლენებს სხვა კუთხიდან აფასებენ, მაგრამ მთავარია, ეს შეხვედრა შედგა. გარდა პატრიარქ ალექსი II-ისა, ჩვენ შევხვდით მიტროპოლიტ კირილესაც, რომელიც რუსეთის საპატრიარქოს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ხელმძღვანელობს და საკმაოდ გავლენიანი პირია. აღსანიშნავია, რომ თითოეულ შეხვედრაში მთავარი საკითხი იყო ის, თუ კონკრეტულად რა შეუძლია ჩვენს ეკლესიებს არსებული პრობლემების გადასაწყვეტად“, — დასძინა ზურაბ აბაშიძემ.

კონფერენციის შემდეგ მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

**— ბატონო ზურაბ, აგვისტოს მოვლენების დროს გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთის საპატრიარქო მხარს უჭერდა კრემლის აგრესიას საქართველოს მიმართ. რამდენად შეესაბამებოდა ეს სიმართლეს და დღესდღეობით როგორ აფასებს იგი მომხდარს?**

— ინფორმაციები, ომის დროსაც და დღესაც უხვად ვრცელდებოდა და ძნელია მათი სანდოობის გადამოწმება, მაგრამ ერთი რამ ფაქტია — რუსეთის საპატრიარქო ადასტურებს საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთსა და სამაჩაბლოს რეგიონებში. ეს არის მათი პრინციპული პოზიცია და რომ არა ეს პოზიცია, ჩვენი ვიზიტი მოსკოვში არ შედგებოდა.

**— უშუალოდ საომარ მოქმედებებს რა კომენტარს უკეთებენ?**

— ომზე და პოლიტიკოსების საქმიანობაზე — ვინ პირველმა ისროლა და ვინ არის მომხდარში დამნაშავე — ოფიციალური შეხვედრებისას საუბარი არ ყოფილა, ეს არ არის ის საკითხი, რომელიც საპატრიარქოში უნდა განიხილებოდეს. პირად საუბრებში შეიძლება ვინმემ რამე თქვა, მაგრამ ჩვენ მსგავსი კომენტარები არ მოგვისმენია.

**— კონკრეტულად რა ინიციატივებს სთავაზობდა რუსეთის საპატრიარქო ქართულ დელეგაციას?**

— უპირველეს ყოვლისა, მოისმინეს ჩვენი დელეგაციის ხედვა არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე და გვითხრეს, რომ ისინი განიხილავენ ამ შეხედულებებს. თავის მხრივ მათაც გამოთქვეს მოსაზრებები და გარკვეული ინიციატივებიც წარმოგვიდგინეს — კონკრეტულად, იმის თაობაზე, რომ ქართველი სასულიერო პირები ვერ ჩადიან კონფლიქტის ზონებში. თუ საქართველოს საპატრიარქო თანახმა იქნება, ისინი ჩავლენ ამ რეგიონებში და იქ გარკვეული დროებითი სამღვდელოების ფუნქციას შეასრულებენ, თუმცა ჩვენმა დელეგაციამ განაცხადა, რომ ეს ქართული საზოგადოებისთვის მიუღებელი იქნება...

**— რაც შეეხება ეკლესიის როლს პოლიტიკაში, როგორ ფიქრობთ, არის საპატრიარქო ის ძალა, რომელმაც შეიძლება რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობაში ოდნავ მაინც დათბობა გამოიწვიოს?**

— ძნელი სათქმელია, ეკლესიებს მხოლოდ ვითარების ნორმალიზაციის ხელშეწყობა შეუძლიათ, სხვა დანარჩენი პოლიტიკოსების საქმეა და სამღვდელოება ბევრს ვერაფერს შეცვლის.

**— რამდენად შედეგიანი იყო ვიზიტი?**

— მთავარი შედეგი და ამოცანა ის იყო, რომ დიალოგი შედგა და გრძელდება, რამე განსაკუთრებული მოლოდინი და ილუზიები არც გვქონია. რეალობა საკმაოდ რთულია და ძალიან ბევრი რამაა გასაკეთებელი იმისთვის, რომ ეს სირთულეები აღმოიფხვრას. ამ თვალსაზრისით ვიზიტი, მე მგონი, უშედეგო არ ყოფილა.

**— რუსული დელეგაცია ხომ არ აპირებს საქართველოში ჩამოსვლას?**

— დიახ, აპირებენ, დეკემბრის ბოლოს, თუ არ ვცდები ოცდახუთი დეკემბრისთვის ჩამოვლენ.

**— კონკრეტულად ვინ ჩამოვლენ ვიზიტის ფარგლებში, რუსეთის პატრიარქს ხომ არ უნდა ველოდეთ?**

— ვერ გეტყვით, ჯერჯერობით უცნობია.

**ჯაბა ჟვანია**

### კახეთის მხარე

# ილტოს ხეობა შველას ითხოვს

**„თუ ღმერთი გწამთ, დაგვეხმარეთ, სანამ საფლავებს მდინარე წალეკავს, ჩვენ კი მეწყერი ცოცხლად დაგვმარხავს...“**

**შემოდგომის დადგომისთანავე ახმეტისა და ლაგოდეხის რაიონებში მეწყერისა და წყალდიდობების საფრთხე მატულობს. რთული ვითარებაა ილტოს ხეობაშიც.** გასულ წლებში ხეობაში ჩამოსულმა გეოლოგიის ინსტიტუტის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ვითარება კატასტროფულია და მოსახლეობის ევაკუაცია სასწრაფო და აუცილებელია. ილტოს ხეობის სოფლებსა და მიცვალებულთა საფლავებს სტიქია მდინარეში ჩარეცხვით ემუქრება. ადგილობრივები აცხადებენ, რომ ხეობის სოფლებს სტიქია თითქმის ყოველწლიურად უტევს, ანგრევს სახლებს და ანადგურებს შინაურ ცხოველებს. როგორც შევიტყვეთ, სტიქიამ რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ახმეტასა და ლაგოდეხში საფრთხეს ქმნიან მდინარეები ალაზანი, კაბალი, შორიხევი, ილტო, არეში, ბაისუბნის და შრომის ხევები. ისინი ადიდების შემდეგ მთლიანად ანადგურებენ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. ახმეტის რაიონის სოფელ შახვეტილაში სტიქიური პროცესების შესაძლო განვითარებასა და ჩამოწოლილი მეწყრის გამო გადასახლების საფრთხის წინაშეა 40-მდე ოჯახი. როგორც გავარკვიეთ, შახვეტილას თემი 7 სოფელს: საბუეს, ნადუქნარს, ბულაანს, ჩაჩხრიალას, შახვეტილას, ვეძებსა და ჭართალას აერთიანებს.

„ყოველთვის ვამბობდით, რომ ილტოს ხეობის სოფლებს წყალი წაიღებს, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს. მდინარე ილტო შემოდგომაზე ძალზე დაუნდობელი ხდება. წაგვართვა ფერმები, ნაკვეთები, სახერხები... ხშირად გზასაც მდინარე წაიღებს ხოლმე და გარესამყაროს მოწყვეტილები უყურადღებოდ ვრჩებით. სოფლის გამგებლებმა რამდენჯერმე გვითხრეს, აქედან უნდა გადასახლდეთო, მაგრამ... მოგვხედეთ, სანამ საფლავები არ ამოუთხრია და დაგვეხმარეთ, ვიდრე მეწყერი ცოცხლად დაგვმარხავს. ნუთუ სანამ დიდი ტრაგედია არ დატრიალდება, მანამდე არავინ დაინტერესდება ჩვენი გასაჭირით?“ — შეშფოთებას ვერ მალავენ უძილაურების ოჯახში.

„ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ჩვენ საქართველოს არ ვეკუთვნოდეთ, ხომ შეიძლება ვინმეს ჩვენი მდგომარეობა აღელვებდეს. ასე ღვთის ანაბარა მიტოვება როგორ შეიძლება. თუ ღმერთი გწამთ, დაგვეხმარეთ!.. ილტოს ხეობას თუ მოინახულებთ, ვერც მიხვდებით, რომ უკვე XXI საუკუნეში ცხოვრობთ. სოფლების უმრავლესობაში არ არის აფთიაქი, ექიმი, მაღაზია და ელემენტარული საარსებო პირობებიც კი... მაღალი ძაბვის ანძებს სტიქია მუდმივად ანადგურებს და ხშირად თვეობით უშუქოდ ვრჩებით. ამას წინათ, არასამთავრობო ორგანიზაცია „ენერგოეფექტურობის ცენტრმა“ სოფელ ჭართალში მზის ენერგიის ბატარეები დაამონტაჟა, რომ გაუსაძლისი ყოფა ოდნავ მაინც შეგვემსუბუქებინა... ჩვენი ხეობაც სხვა სოფლების მსგავსად ახალგაზრდებისგან იცლება. პირველყოფილებივით ვცხოვრობთ, თავი ქვის ხანაში გვგონია... ასაკოვანი ხალხიც ზოგი უყურადღებობით იხოცება, ზოგიც სტიქიას ეწირება და მალე აქ ცოცხალი აღარავინ იქნება და ხეობა მთლიანად დაიცლება. ავადმყოფი მოხუცები თვეობით მიწას ვამუშავებთ და ვწვალობთ, რომ ლუკმა შევჭამოთ და შიმშილით არ დავიხოცოთ, მაგრამ მდინარეები ადიდდება ხოლმე და ჩვენი მუხლჩაუხრელი შრომა წყალს მიაქვს. სოფლები სულ ფეხით რომ მოიაროთ, ბავშვებსა და ახალგაზრდებს ძნელად თუ ნახავთ... — წუხს 76 წლის ილია ახალაური.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ, გეოლოგიური დეპარტამენტის ბუნების სტიქიური პროცესების დაცვისა და საინჟინრო კვლევის ცენტრ „სტიქიას“ დირექტორი ემილ წერეთელი აცხადებდა, რომ ნალექები ნორმალური ოდენობითაც რომ იყოს, ამ ხეობაში სტიქიური პროცესები მაინც განვითარდება. ამის მიზეზად ის ბუნებაში ადამიანის უხეშ და არასწორ ჩარევას ასახელებს. ადგილობრივები აცხადებენ, რომ ილტოს ხეობიდან ხით დატვირთული მანქანები თელავში, გურჯაანში, ყვარელში და კახეთის სხვა რაიონებში ყოველდღიურად გადიოდნენ...

2005 წელს პანკისის ხეობაში აშენდა ხადორჰესის 2,5-მეგავატიანი ჰესი, რომლის მშენებლობა ჩინური ინვესტიციით კოპორაცია „სიჩუანმა“ განახორციელა. პრეზიდენტმა სააკაშვილმა ჰესის გახსნაზე აღნიშნა, რომ მთელი კახეთი იმედს სწორედ ხადორჰესზე ამყარებს. მისი თქმით, ხადორჰესის ჩართვით ელექტროენერგიის პრობლემა კახეთში მთლიანად მოგვარდებოდა, თუმცა სულ მალე მდინარე ალაზნის ადიდების შედეგად მოვარდნილმა ღვარცოფმა ახალი ჰესი მთლიანად გაანადგურა. ალაზანმა ჰესთან დამაკავშირებელი გზა და „ბაწარას ხევის“ ხიდი გაიტაცა და ჰესი გარესამყაროს მოწყვიტა. სადგურში ჩარჩენილი სამი თანამშრომლის გადარჩენა დიდი ძალისხმევის შემდეგ მოხერხდა. ჰესი მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან, მიყენებულმა ზარალმა 4 მილიონ დოლარს მიაღწია.

ილტოს ხეობის მცხოვრებნი მიიჩნევენ, რომ თუ ვითარების გამოსასწორებლად დროული ნაბიჯები არ გადაიდგმება, მალე აქ ცხოვრება ჩაკვდება, რადგან ახალგაზრდობა ხეობას მასობრივად ტოვებს, დარჩენილი მოსახლეობა კი პერიოდულად სტიქიური უბედურების მსხვერპლი ხდება.

**ილია მარტყოფლიშვილი,**
**კახეთიდან.**

### ინფორმაცია



## ბაღაფში კვლავ იმუქრება

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში ქართული მხარის „შეიარაღებულ პროვოკაციებზე“ მკაცრი პასუხის გაცემით იმუქრება. ამის შესახებ სააგენტო „ინტერფაქსი“ იუწყება.

— გავეცი ბრძანება, მკაცრად აღკვეთონ და უპასუხონ ქართული მხარის ყველა შეიარაღებულ პროვოკაციას, — განაცხადა ბაღაფშმა.

მისი თქმით, ამჟამად შეთანხმება მზადდება რუსეთთან საქართველოს საზღვრის მოწყობაში აფხაზეთის დახმარების თაობაზე.

ბაღაფშმა აღნიშნული ბრძანება ორი დღის წინათ მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით გასცა. 16 ნოემბერს საქართველოს შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოს თანამშრომლებს წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანიდან ქარაღალის მიმართულებით პატრულირებისას აფხაზებმა ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც სამმართველოს თანამშრომელი ზურაბ ჯეჯელავა გარდაიცვალა.

აფხაზური მხარე მომხდარს „აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული შეიარაღებული ჯგუფის შეღწევის მცდელობას“ უწოდებს.

ინტერპრესნიუსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კერძო აზრი

***უნებლიეთ გახსენდება დიუმას მუშკეტერების დევიზი – „ერთი ყველასათვის! ყველა – ერთისათვის?“, თუ შეეცდები მოკლედ წარმოაჩინო საქმის დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში, მხოლოდ დღევანდელი რეალიების შესაბამისად უნდა დასვა თავის ადგილას სასვენი ნიშნები... ხუთდღიანი „ომი“ და მისი შედეგები, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვა, კონფლიქტი და დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა რუსეთთან (რასაკვირველია, თვითონ რუსეთის ხელისუფლების იმპერიული აგრესიულობის გამოც), კრიზისი ხელისუფლებისა და კრიზისი ეკონომიკური – აი იმ უბედურებათა მეტად არასრული ჩამონათვალი, საქართველოს რომ დაატყდა თავს, მაგრამ (ეს კი ყველაზე საშინელებაა!) ჩვენ ახლაც კი არ შეგვიძლია, სალად შევაფასოთ სიტუაცია და მივიღოთ შესაბამისი ზომები.***

საქართველო უკანასკნელ წლებში თავისი ხელისუფლების არაშორსმჭვრეტელი პოლიტიკის გამო სულ უფრო და უფრო გვაგონებს ქრონიკულ ალკოჰოლიკს (რის თქმაც ასევე წარმატებით რუსეთის ხელისუფლებაზეც უპრიანია!)– ყოველი „დალევისა“ და „ჩხუბის“ შემდეგ, იმის ნაცვლად, რომ „შეჩერდეს“ და „მოიშუშოს ჭრილობები“ – კვლავ მიდის „გამოსაფხიზლებლად“ (შინაურულად რომ ვთქვათ, „პახმელიაზე გამოსასვლელად“): დღესასწაულები და შოუები, „კორუფციასთან ბრძოლის მე-2 ეტაპი“, „დემოკრატიის მე-3 ეტაპი“, „რევოლუციის მე-4 ტალღა“, ხელისუფლებაში საკარუსელო გადაადგილებანი – გიგა, გიგი, გივი, გიორგი-1, გიორგი-2, გრიგოლი, ახლა კიდევ – გიგა (ბოკერია, წერეთელი, ბარამიძე, თარგამაძე-1, თარგამაძე-2, ვაშაძე და ახალი პრემიერი – მგალობლიშვილი)... შემდეგ ეს კვლავ გადადის „სმაში“ თანმდევი „ჩხუბებით“ (რა მნიშვნელობა აქვს – რუსთაველის პროსპექტზე იქნება ეს, სამხრეთ ოსეთში თუ კოდორში?!), სადაც ჩვენ აუცილებლად გვხვდება „ცხვირში“ და ჩვენ „ჭუჭყიანი ცრემლისა და სისხლიანი ცხვირის წმენდით“ გავრბივართ „ძია სემთან“ და „დეიდა ევროპასთან“, თანაც „მთელი ხმით ვღრიალებთ“ მანამ, სანამ არ „მოგვაკუმინებენ პირს“ მორიგი „ნასუფრალით“, რაზეც ჩვენ კვლავ ვიწყებთ ზეიმს, „გამოფხიზლებას ლოთობისაგან“ და ჩხუბს... ამ დროს სულ არ გვესმის, რომ ეს 4,5 მილიარდი მოგვცეს იმისათვის, რომ საქართველო გაჩუმდეს და არ აიძულოს ისინი ჩაებნენ კონფლიქტში რუსეთთან: ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპა პერიოდულად „ისყიდიან თავს“ საქართველოსგან და მას დუმილისათვის უხდიან!

ამრიგად: **„ერთი – ყველასათვის!“** – როგორც მოგეხსენებათ, **ეს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია:** ის, ერთი ყველას მაგივრად, მართავს საქართველოს უკვე მეხუთე წელია, ის, ერთი ყველას მაგივრად, ირჩევს მეგობრებსა და მომავალს, ახდენს მის ისტორიის გადაფასებას, რის შედეგადაც ვგებულობთ დღემდე უცნობ „ფაქტებს“ (მაგალითად – თამარ მეფის ოსური წარმომავლობის შესახებ), ახდენს ქართული ლიტერატურის კლასიკოსების თავისებურ ციტირებას, საავტორო ტექსტის (?!) კორექტირებას და ხელის ერთი მოქნევით „რეცხავს უნიტაზში“ „ვარდების რევოლუციის დროინდელამდე“ მთელ ქართველ შემოქმედებით ინტელიგენციას. თუმცა, რა აზრი აქვს სააკაშვილის განსჯას, ან მისგან გამსახურდიას პატრიოტიზმის მოთხოვნას, ან ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის „ბალანსირების“ შევარდნაძისეულ მაღალ პილოტაჟს – სააკაშვილმა გააკეთა ის, რაც შეეძლო, რაც მას ასწავლეს, თანაც ისე კარგად, რომ თავად ირწმუნა ეს! სააკაშვილი არასოდეს არ შეიცვლება იოტისოდენადაც კი – თანაც არა ბუნებრივი სიჯიუტის გამო, არამედ იმიტომ, რომ ამაში ვერ ხედავს აუცილებლობას! ის აბსოლუტურად გულწრფელია ყველა თავის ქცევაში და, შესაბამისად, თავის შეცდომებში, ხშირად – საშინელ შეცდომებში...

# აშშ და ევროპა პერიოდულად ისყიდიან თავს საქართველოსგან და მას დუმილისათვის უხდიან!



რაც შეეხება **„ყველას – ერთისათვის?“** – რა უნდა ითქვას **აქ საქართველოს მთელ ხალხზე, რომელიც თითქოსდა ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს თავის დღევანდელ პრეზიდენტს,** საქმე უფრო რთულადაა: ძირითადი მაჩვენებლები, რომელთა შესახებაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ ქართულ საზოგადოებაში ჭეშმარიტ გუნება-განწყობილებაზე, არაერთმნიშვნელოვანი, და ხშირად – ყალბია... არ შეიძლება არ დაეთანხმო გლობალიზაციის პრობლემების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის ალექსანდრე ჭაჭიას აზრს, რომელიც მან გამოთქვა ამას წინათ „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ რედაქციაში, სადაც გაიმართა „მრგვალი მაგიდა“ თემაზე. „ომი დამთავრდა, ომი გრძელდება“: **„ყველა პრობლემა ჩვენს ურთიერთობაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიცვლება პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში. საზოგადოებრივ აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მაშინ, როდესაც არსებობს ამ საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი პოლიტიკური სუბიექტები. საქართველოში არსებული პოლიტიკური ორგანიზაციების ქსელი ანგაჟირებულია – ეს არაეროვნულზე ორიენტირებული ქსელია. პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები შექმნილია და არსებობს ამერიკელი კურატორების ფხიზელი კონტროლის ქვეშ და მათგანვე ხდება მათი დაფინანსება. იმის შესახებ საუბარს კი, რომ ეს პოლიტიკური სტრუქტურები და ორგანიზაციები საზოგადოებრივი აზრის მატარებლები არიან, მე არ დავიწყებდი“.** აქ ვერაფერს ვერ დავუმატებ გარდა იმისა, რომ აუცილებელია გავიხსენოთ მთელი ეს წლები ყველასაგან ცალკე მდგარი „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, რომელიც არაა ანგაჟირებული და გული შესტკივა ხალხზე.

**ამრიგად, საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციების უდიდესი უმრავლესობა რეალურად არ გამოხატავს საზოგადოებრივ აზრს.**

მაშ, ვინღაა? **იქნებ, მასმედია? არც ის.** საკმარისია ითქვას, რომ დღეს საქართველოში არ არსებობს **არც ერთი ტელეარხი,** რომელიც გაბედავდა „დინების საპირისპირო მიმართულებით ცურვას“ და გამოავლენდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენის აზრს, ან დამოუკიდებელი ექსპერტები, რომლებიც წავიდოდნენ **საქართველოს ნატოში შესვლასთან დაკავშირებით და იმავდროულად – აგრესიისა და ოკუპანტის რუსეთისადმი ზიზღის კულტივაციის გენერალური კურსის წინააღმდეგ.** ხოლო მარტო სააკაშვილისა და მისი გარემოცვის მისამართით ხმამაღალი კრიტიკით ზოგიერთი გაზეთი და ტელეარხი „კავკასია“ კი არ უარყოფენ, არამედ მხოლოდ ადასტურებენ ზემოაღნიშნულს. უფრო მეტიც – **ისინი საქართველოს მოქმედ პრეზიდენტს სამ დიდ სამსახურს უწევენ: პირველი** – ბუნტარებისა და ოპოზიციონერებისათვის თავისუფალი ტრიბუნის მიცემით ისინი უნებლიეთ (ზოგიერთი კი, იქნებ, ნებსითაც...) ახდენენ დღევანდელი ხელისუფლებით ყველა უკმაყოფილოს „ლუსტრირებას“; **მეორე** – მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საჯაროობის ილუზიის შექმნით ასრულებენ მცველი სარქველის როლს ორთქლის ქვაბზე, საიდანაც უსარგებლო, მაგრამ ხმამაღალი სტვენით, გამოედინება სახალხო უკმაყოფილების „ზედმეტი ორთქლი“, კრიტიკულ ნიშნულამდე რომ დაგროვილა; **მესამე** – თავისი არსებობის თავად ფაქტით განასახიერებს მთელი მსოფლიოსათვის საქართველოში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებას.

რაღა რჩება? ხალხის ნების თავისუფალი გამოხატვა – **პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნები,** რომლებიც, მასობრივი გაყალბების გამო, საქართველოში უკვე დიდი ხანია „ყბადაღებულად“ იქცა?!

**დიახ, დღეს საქართველოში ბევრი მტრულადაა განწყობილი რუსეთისადმი და ამაში ერთნაირადაა დამნაშავე როგორც საქართველოს ხელისუფლება, ისე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების, მათ შორის – ოპოზიციური პარტიების არაობიექტურობა** (თვითონ რუსეთის ლომის წილ ბრალეულობაზე აღარაფერს ვამბობ, რადგან დღესავით ცხადი და ნათელია!). მაგრამ მათ მიერ გაბრუებული უამრავი ხალხის გარდა საქართველოში არის კიდევ ადამიანთა მრავალრიცხოვანი კატეგორია, რომლებიც მხარს უჭერენ დღევანდელ პოლიტიკურ კურსს შიშის გამო, აგრეთვე იმ ადამიანთა კატეგორია, რომელსაც საყოველთაო უმუშევრობის ამ მძიმე დროს, ასე თუ ისე, გააქვთ თავი... და, რასაკვირველია, ესაა – დაახლოებით ერთი მილიონი არაქართული ეროვნების მოქალაქეები (ე.წ. ეროვნული უმცირესობანი), რომლებიც ტრადიციულად მხარს უჭერენ საქართველოს ოფიციალურ ხელისუფლებას. ამას დაუმატეთ დასავლეთის მასობრივი კულტურისა და „კოკა-კოლას“ „ღირებულებებზე“ აღზრდილი ახალგაზრდა თაობა, აბსოლუტურად რომ არ ფლობს რუსულ ენას და, რასაკვირველია, „მაგიდასთან მიშვებულნი“ და „მაგიდისკენ მსწრაფნი“ (ფაზილ ისკანდერის მიხედვით): სახელისუფლო სტრუქტურების (ცენტრალური, რეგიონული, რაიონული), სასამართლო ხელისუფლებისა და ყველა „ძალოვანი“ სტრუქტურების სტაბილურად და სოლიდურად ანაზღაურებული წარმომადგენლები: **ესეც თქვენი ისინი, ვინც „ყველა – ერთისათვისაა“, ესე იგი პრეზიდენტ სააკაშვილისთვის...**

რასაკვირველია, საქართველოში მათ გარდა არის კიდევ საკმაოდ ბევრი ხალხი – დღეს გალატაკებული და შეურაცხყოფილი, ოდესღაც კი – სავსებით უზრუნველყოფილი, კეთილსინდისიერი მუშები და სოფლის მეურნეობის მუშაკები, მოსამსახურეები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და ჭეშმარიტად (სინდისგარეცხილი) სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები – ისინი, ვინც პატივს სცემს თავიანთ ეროვნულ ტრადიციებს, ახსოვს ორი მართლმადიდებელი (რუსი და ქართველი) ხალხის ყოფილი მეგობრობა და ვინც ოდესღაც „აიძულა“ რუსეთი მხურვალედ ჰყვარებოდა საქართველო და ქართველი ხალხი... მაგრამ დღეს მათი ხმა, ყველა ზემოჩამოთვლილი მიზეზის გამო, არ ისმის, და კიდევ იმიტომ, რომ **დღეს საქართველოში არ არის სახალხო დიპლომატიის, სხვადასხვა კომისიისა და ჰუმანიტარული მისიების დრო.** როგორც სამართლიანად შენიშნა ალექსანდრე ჭაჭიამ იმავე „მრგვალ მაგიდასთან“: **„ჰუმანიტარული პრობლემები თავის საფუძველში პოლიტიკურს ემყარება... უნდა ვიფიქროთ ურთიერთობათა ახალ პროექტზე. მაგრამ ამისათვის უნდა შეიცვალოს საქართველოს ხელმძღვანელობის საგარეოპოლიტიკური კურსი.**

აი, ასე... ჯერჯერობით კი ბატონი კობა სუბელიანი – საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი – დაქრის გზებზე ძვირადღირებული „ჯიპით“, რომლის 7000 დოლარის ღირებულების ნომერზე ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკის პრეზიდენტობის ექს-კანდიდატის – მისტერ მაკქეინის პატივსაცემად ინგლისურად აწერია: „MC KAIN“!.. მე კი ქართველი, როგორც „ჭეშმარიტი ევროპელი“, ვკითხულობ ამას ლათინურად და გამოდის... **კაენი!** ალბათ, ეს ნომრები უნდა დაეხმაროს მას დაუბრკოლებლად ჩავიდეს აფხაზებთან და ოსებთან, რათა გადასცეს მათ საერთაშორისო დახმარება იმ 4,5 მილიარდი დოლარიდან, რომელიც გამოყოფილია მათთვისაც...

**არნო ხიდირბეგიშვილი.**
**ბაქო, „ნოვოსტი აზერბაიჯანა“**

## ინფორმაცია

### დარეგულირდება კი გარევაჭრობა?

ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი პაატა ჯიბლაძე აცხადებს, რომ გარევაჭრობისთვის ნებართვის გაცემა გარე ვაჭრობის პროცესს გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას და საკითხის დარეგულირებას შეუწყობს ხელს.

როგორც პაატა ჯიბლაძემ განაცხადა, აქამდე გარევაჭრობისათვის ოფიციალური გადასახადი არ არსებობდა, თუმცა მოსაკრებელს გარემოვაჭრეებისაგან მაინც კრებდნენ და თანხები კერძო პირების ჯიბეებში მიდიოდა.

შეგახსენებთ, რომ პარლამენტი განიხილავს კანონპროექტს გარევაჭრობისთვის და გარერეკლამის განთავსებისთვის შესაბამისი ნებართვის გაცემის შესახებ.

კანონპროექტის თანახმად, გარევაჭრობისთვის და გარერეკლამის განთავსებისათვის საჭირო ნებართვის საფასური ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში ჩაირიცხება.

ჯი-ეიჩ-ენი

### თუ ტოვებდნენ, დახლებს რაღას უმტვრევდნენ?

გუშინ დილით ფოთის ბაზრის ტერიტორიაზე, კერძოდ სავალ ნაწილზე მოვაჭრეებს დახლები დარბეული და დამტვრეული დახვდათ.

რიონის მარცხენა სანაპიროზე, სადაც მოვაჭრეები პროდუქციას ყიდიან, სავალი გზის მოპირკეთება იგეგმება. ამ მიზეზით, მიღებულია გადაწყვეტილება ტერიტორიის გათავისუფლების შესახებ, რასაც მოვაჭრეთა მხრიდან პროტესტი მოჰყვა.

მოვაჭრეები აცხადებენ, რომ ფართის დატოვების შესახებ შესაბამისი სამსახურებისგან გაფრთხილება არ მიუღიათ.

მოვაჭრეები ფოთის მერს ვანო საღინაძეს და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსს ირაკლი ნაჭყებიას შეხვდნენ.

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მოვაჭრეები კიდევ სამი თვით დარჩებიან, შემდეგ კი ალტერნატიულ სავაჭრო ობიექტებში გადანაწილდებიან.

ინტერპრესნიუსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ⊙ ენერგოომი

**დღეს ძნელია საქართველოს ხელისუფლება გადაარწმუნო (ნეტარ არიან მორწმუნენი!), რომ რუსეთ-საქართველოს წაგებული ომიდან გამარჯვებული არ გამოსულა, მაგრამ რუსეთმა საქართველო ამავდროულად ენერგეტიკულ ომშიც რომ ჩაითრია, ამას კი ალბათ, ძალიანაც რომ ეცადოს, ველარ უარყოფს. ზოგს შეიძლება ეჭვი შეეპაროს, ისეთ ენერგეტიკულ გიგანტს, როგორიც რუსეთია, საქართველოსთან ენერგოკონფრონტაცია რაში სჭირდებაო. სჭირდება და ძალიანაც სჭირდება, მას ერთი სული აქვს, საქართველო ტრანსკასპიური ენერგოდერეფნიდან როგორმე გამოაძევოს.**

ამის მცდელობას რუსეთი ომამდეც არ აკლებდა ხელს, მაგრამ ეს უკვე ლიად მაშინ განაცხადა, როცა აგვისტოში მარტო ტერიტორიების მიტაცებას არ დასჯერდა და საქართველოზე გამავალ მისლადენებს ბომბები დაუშინა. ამით გარდა იმისა, რომ საქართველოს ენერგოსისტემას საშიშროება შეუქმნა, რესეთმა ევროპას აგრძნობინა, რომ მილსადენების ენერგოუსაფრთხოება მის ნებასურვილზეა დამოკიდებული და, აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ევროპას არც ულირდეს რუსეთთან დაპირისპირება.

ევროპას რუსეთის გალიზიანება ხელს რომ არ აძლევს, ეს ამ დღეებში ნიცაში გამართულმა ევროსამიტმაც დაადასტურა. **ევროპა რუსეთს კი აკრიტიკებს მისი აგრესიული პოლიტიკის გამო, მაგრამ ამავე დროს მის გულის მოგებასაც ცდილობს. რუსეთი ევროპის კეთილგანწყობას, ბუნებრივია, თავის სასარგებლოდ იყენებს და ყველა ღონეს ხმარობს კონკურენტული ენერგომარშრუტების დასაბლოკად, რათა იქაურ ბაზარზე მონოპოლისტობა ოფიციალურად დაიმკვიდროს.** ამის საბაბიც გამოუჩნდა — რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ კავკასიაში ვითარება შეიცვალა, საქართველო ენერგორესურსების ტრანზიტისთვის უსაფრთხო ქვეყნად აღარ აღიქმება.

რა ვუყოთ, რომ ეს საბაბი საკუთარი თავის სასარგებლოდ თავად რუსეთმა შეიქმნა და ახლა მას საქართველოს საზიანოდ იყენებს. ამის თვალსაჩინო მაგალითია „ნაბუკოს" გაზსადენი, რომლის მიხედვითაც თურქეთიდან და ყაზახეთიდან წამოსულმა გაზმა აზერბაიჯანის და საბერძნეთის გავლით ავსტრიამდე უნდა მიაღწიოს. რუსეთმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ეს პროექტი ჩაშლის პირამდე მიეყვანა. საამისოდ გამოიყენა ყაზახეთის, თურქმენეთისა და აზერბაიჯანის განწყობა, რომლებსაც ამერიკის „თამაშებში" მონაწილეობით რუსეთთან დაპირისპირება ხელს სრულებითაც არ აძლევთ. ამას დაემატა **მოიწყო, ახალი მოთამაშე გამოეყვანა. ეს სომხეთია. ყველას ახსოვს მოსკოვში მედვედევთან აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტების ამასწინანდელი სტუმრობა, რომელიც, როგორც ამბობენ, ამ ორ ქვეყანას შორის რუსეთისთვის შუამავლის ფუნქციის აღჭურვითა და ალტერნატიული ენერგოხაზის კავკასიაზე გამავალი გზის მოჭრის მცდელობით დასრულდა.** ჰოდა რა გასაკვირია, რომ ოფიცია-

ამ ფონზე, როცა რუსეთი ცხადლივ თუ მიპარვით ცდილობს, საქართველოს ტერიტორიებთან ერთად სატრანზიტო ფუნქციაც წაართვას და ამ გზით ის ეკონომიკურად მოახრჩოს, ჩვენთვის ერთგვარად მოულოდნელი და სენსაციურიც კი აღმოჩნდა შედეგი, რომლითაც ამ დღეებში ბაქოში გამართული ენერგოსამიტი დასრულდა. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც ამ სამიტის მო- — რადგან გაზი არ გაძვირდება, ეს იმას ნიშნავს, რომ პროდუქტებზეც ფასები ძველებური დარჩებაო.

მაგრამ როგორ დარჩება ძველი ფასები იმპორტულ პროდუქციაზე (ასეთი კი საქართველოში პროდუქციის უდიდესი ნაწილია), რომლის ფასმა ლარის კურსის მოულოდნელ რყევასთან დაკავშირებით უკვე 18-20 პროცენტით გაიზარდა, ამის თაობაზე პრემიერს რატომღაც

# ზამთარს მშვიდობიანად გადავაგორებთ,
## შეუზღუდავად გვექნება გაზიც, დენიც და იაფი პროდუქტებიც?



აგვისტოს მოვლენები, რამაც „ნაბუკოზე" საქართველოზე გამავალი გაზსადენის მიერთება კიდევ უფრო საეჭვო გახდა.

ამ საქმის მოკვარახჭინებაში დიდი როლი შეასრულა პუტინისეულმა დიპლომატიამ, რომელმაც თავის დროზე შუა აზიის ქვეყნებთან გაზის შესყიდვაზე გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმებით რუსეთისთვის კონკურენტული გაზსადენის მშენებლობის ალტერნატივას შანსი წაართვა და ევროპის ქვეყნებისთვის გაზის მონოპოლიური მიმწოდებლის ფუნქცია კვლავინდებურად შეინარჩუნა.

ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება, დასავლეთის მცდელობა, რომ ცენტრალური აზიის ენერგობაზარზე რუსეთი შეევიწროებინა, მარცხით დასრულდა. ევროპამ და ამერიკამ რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით გამავალი გაზისა და ნავთობის ალტერნატიული დერეფანი ჯერჯერობით ვერ შექმნეს. **ამასობაში კი რუსეთმა ისიც მოახერხა, რომ ენერგოომში, რომელიც მან კავკასიაში საოკუპაციო ქმედებების პარალელურად წა-**ლური პირების შეხვედრას ჯერ სომხეთიდან თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტი მოჰყვა, ახლა კი უკვე გაზსადენების მარშრუტში ამ ქვეყნების ჩართვაზეც ალაპარაკდნენ. პროექტი, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ იდეაში არსებობს, შუააზიური გაზის სომხეთის გავლით თურქეთში და შემდეგ ევროპაში ტრანსპორტირებას ითვალისწინებს.



ნაწილე გახლდათ, ბაქოდანვე ახარა ქვეყანას, რომ ამ ზამთარსაც და მომავალშიც, მთელი ხუთი წლის მანძილზე, საქართველოს მოსახლეობას შეუზღუდავად მიეწოდება აზერბაიჯანული გაზი, თანაც ისე, რომ საერთაშორისო ბაზარზე რყევების მიუხედავად, გაზის ამჟამინდელი ტარიფი არ შეიცვლება.

**ამას რა სჯობს, ბატონებო. მართლაც გასახარია, თუ ამ საბედისწერო მსოფლიო კრიზისის პირობებში საქართველოში გაზის ტარიფი უცვლელი დარჩება, მაგრამ ცუდი ის არის, რომ ამ „დიდ ისტორიულ მიღწევას" (თავად ხელისუფლებას ასე მიაჩნია), როგორც სჩვევია ხოლმე, მთავრობამ ასევე „ისტორიული პიარიც" ზედ მიაყოლა.** ეს მარტო იაფი გაზი არ გახლავთ, გააგრძელა პრეზიდენტის სათქმელი პრემიერმა გრიგოლ მგალობლიშვილმა და იქვე დასძინა

არაფერი უთქვამს. არც იმაზე დასცდენია რამე, რომ **აზერბაიჯანთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, გაზის ტარიფი უცვლელი რჩება მხოლოდ მოსახლეობისთვის (ყოველ შემთხვევაში პრეზიდენტმა ასე განმარტა) და არა მეწარმეებისთვის, რომელთაც „ყაზტრანსგაზმა" ჯერ აგვისტოში გაზის ტარიფი 51 თეთრიდან 69 თეთრამდე, ხოლო ამ ორი კვირის წინათ 78 თეთრამდე გაუზარდა(!) ხელისუფლებამ თუ მეტი არა, იმდენი ხომ მაინც უნდა იცოდეს, რომ გაზის, დენის, წყლის და სხვათა სატარიფო განაკვეთები წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაში აისახება და ეს ფასების ზრდაზე უცილობელ გავლენას ახდენს?**

და თუ ეს ყველაფერი იცის და მაინც ატყუებს საზოგადოებას — დედას გეფიცებით, ფასებს უახლოეს მომავალში კაპიკიც არ მოემატებაო, როგორ ფიქრობთ, რას იმსახურებს ასეთი ხელისუფლება? პანღურს, ბატონებო, პანღურს და მეტს არაფერს.

**ოთარ ხუციშვილი**

## ⊙ მრგვალი მაგიდა

# ხელოვნური მონოპოლიები და კონკურენციის პრობლემები საქართველოში

**ეს თემა განიხილეს საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში გამართულ „მრგვალი მაგიდის" მონაწილეებმა. დისკუსიის ორგანიზატორებად მოგვევლინნენ ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა" და საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილი".**

— თემის აქტუალობა განაპირობა ქვეყანაში არსებულმა მძიმე სიტუაციამ, რაც დაკავშირებულია ბიზნესის ლობირების უკანონო და კომპანიებს შორის არსებული არაეთიკური კონკურენციის ფაქტებზე, — აცხადებენ ისინი.



რამ გამოიწვია ზემოთ აღნიშნული პრობლემით დაინტერესება? ეკონომიკის მართვის ცენტრალიზებული სისტემიდან, სადაც მესაკუთრის როლში გამოდიოდა სახელმწიფო, საბაზრო ეკონომიკის პრინციპზე გადასვლამ დღის წესრიგში დააყენა ბიზნეს-სუბიექტებს შორის ჯანსაღი კონკურენციის აუცილებლობა. ცხადია, ამის მიღწევა სახელმწიფოს მტკიცე ნებისა და სათანადო კანონმდებლობის არსებობის გარეშე შეუძლებელია. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ფორმულა: „ბაზარი არეგულირებს ყველაფერს" — ფიქციაა. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა ახლანდელმა მსოფლიო საფინანსო კრიზისმა, რომელმაც შესაძლოა ღრმა ეკონომიკური კრიზისის სახე მიიღოს.

ქართული ეკონომიკის „მამების" დაჟინებული მოთხოვნით გაუქმდა ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც ფორმალურად მაინც არეგულირებდა ურთიერთობას ბიზნეს-სუბიექტებს შორის და ხელს უშლიდა ხელოვნური მონოპოლიების დამკვიდრებას ბაზარზე. შესაბამისად, გაუქმდა კანონი ანტიმონოპოლიური საქმიანობის შესახებ.

ამით თვით სახელმწიფო გამოვიდა ხელოვნური მონოპოლიების სტიმულატორის როლში, რაც თავის მხრივ ხელს უშლის ბიზნეს-სტრუქტურებს შორის ჯანსალი კონკურენციის არსებობას.

ასეთ მდგომარეობაში ზარალდება არა მარტო ბიზნესი, იგი ასევე დიდ ზიანს აყენებს მომხმარებელს.

მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა ბიზნეს-ეთიკის დეფიციტი. ქვეყანას, რომელსაც აქვს პრეტენზია, განავითაროს საბაზრო ეკონომიკა და დაამკვიდროს დემოკრატიის პრინციპები, ვალდებულია ხელი შეუწყოს ხელოვნური მონოპოლიებისგან თავისუფალი (ჯანსალი) კონკურენციის არსებობას ბიზნესში.

„მრგვალი მაგიდის" მიზანი იყო ამ თვალსაზრისით არა მარტო არსებული პრობლემის განხილვა, არამედ რეკომენდაციების მიცემა ხელისუფლებისა და ბიზნეს-სტრუქტურებისთვის. პრობლემის განხილვაში მონაწილეობდნენ გამოჩენილი ექსპერტები და სპეციალისტები, პოლიტოლოგები და ეკონომისტები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი.

შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ სახალხო დამცველის ოფისის, კომუნიკაციების მარეგულებელი კომისიის, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტის, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, გაერთიანებული პროფკავშირების, კომუნიკაციების სფეროს ბიზნეს-სტრუქტურების წარმომადგენლები, ასევე, ეკონომიკისა და მედია-კომუნიკაციის დამოუკიდებელი ექსპერტები, ფსიქოლოგები და ჟურნალისტები.

**მურად ალაშვილი.**

ავტორის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ალექსანდრე რონდელი: ევროპა რუსულ ჩექმას საქართველოს კისერზე წმენდს



### ინტერვიუ საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო გამოკვლევების ფონდის პრეზიდენტთან

**— როგორ აფასებთ ამჟერად საქართველო-რუსეთის კონფლიქტის შედეგებს სამი თვის შემდეგ, მიგაჩნიათ, რომ რუსეთმა მიაღწია დასახულ მიზნებს?**

— ძირითადად, ვფიქრობ, კი. მთავარი მიზანი იყო ზეწოლა დასავლეთზე, ეჩვენებინათ მისთვის „წითელი ხაზი", რომლის გადაკვეთის ნებასაც რუსეთი არავის მისცემს. საქართველო იყო ის სუსტი რგოლი, სადაც შეიძლებოდა ამის განხორციელება, ვინაიდან ხელჩასაჭიდი იყო რუსეთის მიერ ანექსირებული ორი დე ფაქტო ხელისუფლება. კონტრაქტით საქართველოს პროვოცირებით კრემლს სურდა საბოლოოდ მიეთვისებინა ეს ტერიტორიები — აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, აგრეთვე დაესაჯა დასავლეთი კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებით. მთავარი კი რუსეთისთვის იყო მიელო პლაცდარმი საქართველოს ცენტრში და დამატებითი საზღვაო ხაზი შავ ზღვაზე.

ამას გარდა აფხაზეთში არის ყოფილი საბჭოთა კავშირის საუკეთესო კურორტები, რაც აგრეთვე ხელსაყრელი იყო რუსეთის ხელისუფლებისთვის.

ყოველივე ამას რუსეთმა მიაღწია ომის შედეგად: მიიღო შესანიშნავი პლაცდარმი საქართველოს ცენტრში თბილისთან უშუალო სიახლოვეს, რაც საშუალებას მისცემს მოსკოვს უახლოეს მომავალში ემუქრებოდეს საქართველოს დედაქალაქს.

მეორეც, კრემლმა შეაშინა თავისი სამხედრო მოქმედებებით უახლოესი მეზობლები, ევროპა, მეტად გააოცა ამერიკის შეერთებული შტატები. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ დასავლეთი არ ელოდა რუსეთის ასეთ რეაქციას.

მესამეც, დააშინა ნავთობის კომპანიები, რომლებიც სამხრეთ კავკასიაში მოქმედებენ.

უფრო მეტიც, კრემლმა ძალიან მოხერხებულად აირჩია დრო საქართველოსთან ომისთვის: ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩევნების წინაპერიოდში, როდესაც მოქმედი პრეზიდენტი უკვე მიდის, მისი შემცვლელი კი ჯერ არჩეული არაა, ვინაიდან ომის დაწყება ახლადარჩეული პრეზიდენტის დროს ნიშნავდა მასთან ურთიერთობის გაფუჭებას ხელისუფლებაში მთელი მისი ყოფნის პერიოდში. აქ კი გამოვიდა ისე, რომ საქართველო განადგურდა ბუშის დროს.

მეორეც, აგვისტო იყო ყველაზე ხელსაყრელი ბოლო თვე კლიმატური თვალსაზრისით ომის დასაწყებად, ვინაიდან შემდეგ უკვე მთის უღელტეხილები იკეტებოდა თოვლით და ძნელად მისაღწევი ხდებოდა ხალხისთვისაც და ტრანსპორტისთვისაც. და შეიარაღებული ძალების ხანგრძლივად ყოფნა დაძაბულობაში უკვე სამხედრო სწავლების ჩატარების შემდეგ სისულელე იქნებოდა.

ამავე დროს მიმაჩნია, რომ კრემლში ელოდებოდნენ მაკქეინის და არა ობამას გამარჯვებას და ამიტომ ცდილობდნენ მოესწროთ საქართველოს განადგურება მის მოსვლამდე.

თუ ნათქვამს შევაჯამებდით, შემიძლია აღვნიშნო ერთი რამ: რუსეთმა ყველაფერი კარგად გათვალა და ახლა აქვს სრული უფლება იზეიმოს გამარჯვება.

ამასთან ერთად, პრეზიდენტ სააკაშვილის იმიჯისთვის ძლიერი დარტყმის შემდეგ რუსებმა მაინც ვერ შეძლეს მისთვის და მისი მთავრობისთვის ხელისუფლების ჩამორთმევა.

ამიტომ კრემლი მომავალშიც შეეცდება მის ჩამოგდებას.

უფრო მეტიც, თუ პირველ ხანებში ომის შემდეგ დასავლეთის ცნობები იყო უფრო დამარწმუნებელი, რომ ყველაფერში დამნაშავეა რუსეთი, საქართველო კი დაზარალებული მხარეა, ახლა უკვე დასავლეთის პრესაში სულ უფრო ხშირად იბეჭდება სტატიები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ ყოფილ ვერსიას და ბრალს სდებენ საქართველოს ომის გაჩაღებაში.

აქ, როგორც ეტყობა, ძლიერად იმუშავა კრემლის პროპაგანდისტულმა მანქანამ, რომელიც იყენებს სხვადასხვა მეთოდებს ჟურნალისტების, ეუთოს მოსყიდვას კაპიტან კრისტის მაგალითისამებრ და ა.შ.

**— ყველაზე აბსურდული მთელ ამ ხუთდღიან ომში 7 აგვისტოა. რა ხდებოდა რეალურად ამ დღეს?**

— ჯერ კიდევ ივლისიდან, ოსები მიდიოდნენ კონფრონტაციის გამწვავებაზე საქართველოს მხარესთან, ყოველდღიურად აძლიერებდნენ სროლებს ქართული პოსტებისა და სოფლების მიმართულებით. საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის სანდრო კვიტაშვილის სიტყვებით, ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ყოველდღე კონფლიქტის ზონიდან მოჰყავდათ 5-6 დაჭრილი. მაგრამ ყველა მათგანს ჰქონდა ნამსხვრევებით მიყენებული ჭრილობები და ტრავმები შენობებისა და ნაგებობების დანგრევის შედეგად. მაგრამ არა ტყვიით დაჭრილები.

რაც შეეხება 7 აგვისტოს, იმ დღეს სროლები ყველაზე მძლავრი იყო და როდესაც რეინტეგრაციის მინისტრი იაკობაშვილი ცდილობდა სიტუაციის მოწესრიგებას მოლაპარაკების გზით, ოსურმა მხარემ უარი თქვა მისულიყო შეხვედრაზე, ხოლო სამშვიდობო ძალების სარდალი გენერალი კულახმეტოვი აცხადებდა, რომ არ შეუძლია გავლენა მოახდინოს ოსების რაზმებზე, ვინაიდან ისინი მათ არ ემორჩილებიან.

მაშინ იაკობაშვილმა დაურეკა რუსეთის სპეცწარმომადგენელს პოპოვს და სთხოვა ჩამოსულიყო, დახმარებოდა ცეცხლის შეწყვეტაში. მან უპასუხა, რომ არ შეუძლია ჩამოსვლა, ვინაიდან მისი მანქანის საბურავმა დაუშვა. შეკითხვაზე კი სათადარიგო საბურავის შესახებ პოპოვმა უპასუხა, რომ იმანაც დაუშვა. აი ასეთი კომედია წარმოგვიდგინა იმ დღეს რუსეთმა.

მოგვიანებით, უკვე საღამოს, როდესაც ცნობილი გახდა პირველი რუსი სამხედრო ნაწილების შემოჭრის შესახებ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, საქართველოს პრეზიდენტმა გასცა ბრძანება ცეცხლის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ და გამოვიდა ტელევიზიით, სადაც კვლავ შესთავაზა ოსებს ვრცელი ავტონომია საქართველოს შემადგენლობაში რუსეთის გარანტიებით.

მაგრამ ამ ფაქტზე რუსეთის მხარე დუმს, ვინაიდან მას ამჟერად სჭირდება თავი იმართლოს მთელი მსოფლიოს წინაშე შეჭრის გამო.

**— რატომ არის რომ ევროპელები, რომლებმაც ადრე დაიკავეს საკმაოდ მყარი პოზიცია, რითაც რუსეთს გმობდნენ, ახლა უკან იხევენ?**

— მაგრამ დასაწყისშიც კი, როდესაც მკაცრი პოზიცია დაიკავა, სარკოზიმ ევროკავშირის სახელით მედვედევთან ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომელიც შეიცავდა ჩვენთვის არახელსაყრელ პუნქტებს და რომელთა თანახმადაც რუსეთი ღებულობდა უფლებას გაეკეთებინა ყველაფერი, რასაც მოისურვებდა.

კერძოდ, ჩვენ არ გვაქვს უფლება ვუპასუხოთ სროლის დროსაც კი. ამ დროს რუსეთს აქვს უფლება გამოიყენოს უშიშროების დამატებითი ზომები. მაგალითად, ამჟამად ოსებმა დაიკავეს ქართული სოფელი პერევი და ჩვენ არ შეგვიძლია მათი იქიდან გამოდევნა რუსების ჯარების ყოფნის გამო.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით არასასიამოვნოა ევროპის სამარცხვინო ქცევა, რომელიც რუსულ ჩექმას ჩვენს კისერზე წმენდს.

**— შეუძლია რუსეთის ხელმძღვანელობას ევროკავშირთან მოლაპარაკების მსვლელობაში მიაღწიოს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რეჟიმების ლეგიტიმაციას?**

— ეს კი გამოიყურება უკვე ისეთ თავხედობად რუსეთის მხრიდან, რომ მორცხვი ევროპელებიც კი ამაზე არ წავლენ. მოსკოვი შეეცდება აიძულოს ისეთი ქვეყნები, როგორიც არის ნიკარაგუა და ლიბანი, აღიარონ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა, რათა ამ რეჟიმებს მიანიჭოს თუნდაც რაიმე ლეგიტიმაცია. აქ მეტად მნიშვნელოვანია, თუ როგორ მოიქცევა ამერიკის შეერთებული შტატები. საქართველოსთვის დარტყმის მიყენება ეს იყო დარტყმა ამერიკის შეერთებული შტატების ავტორიტეტისადმი. ამერიკელები არ იყვნენ ვალდებული დავეცავით ჩვენ, ვინაიდან საქართველოს არ გააჩნია არავითარი ხელშეკრულება ამ თვალსაზრისით ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ამიტომაც ასე თავისუფლად დაგვეხსნენ რუსები თავს.

მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობის გათვალისწინებით, მორალური პასუხისმგებლობა ამერიკელებისა საქართველოსთვის, და რუსეთის დარტყმა ჩვენს ქვეყანაზე მთელმა მსოფლიომ აღიქვა, როგორც ძლიერი სილის გაწნა სწორედ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის. შედეგად მთელ მსოფლიოში ჩაიფუშა ამერიკის შეერთებული შტატების ნდობა, რომელსაც არ შეუძლია დაიცვას თავისი ინტერესები.

საქმე ის არის, რომ რუსეთს სურს ამერიკის შეერთებული შტატებიდან, მისი ახალი პრეზიდენტისგან დაიკანონოს თავისი ინტერესები პოსტსაბჭოთა სივრცეში, გარდაქმნას მსოფლიო გავლენის სფეროებად. მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ამერიკელები ამ შემთხვევაში დაუთმობენ რუსებს.

**— ეს კონფლიქტი დააჩქარებს საქართველოს ინტეგრაციას ნატოში?**

— რასაკვირველია, არა. კონფლიქტის ერთ-ერთი მიზეზი იყო სწორედ რუსეთის წინააღმდეგობა საქართველოს ნატოში შესვლასთან დაკავშირებით.

მეორე მხრივ, თავად ალიანსში შექმნილი მდგომარეობა, როგორც გედის, კიბოსა და ქარიყლაპიას შესახებ ცნობილ არაკშია, აიძულებს გამოხატონ თავიანთი შეშფოთება ნატოს ისეთმა ქვეყნებმა, როგორიცაა ლიტვა, ლატვია და ესტონეთი.

სავსებით სავარაუდოა, რომ საქართველომ უნდა იფიქროს საკუთარი დაცვის სხვა საშუალებებზე, ექებოს რაიმე ორმხრივი შეთანხმება ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

**— როგორ აისახა საქართველოსთვის მიყენებული დარტყმა კავკასიაში შექმნილ სიტუაციაზე?**

— ამ დარტყმით რუსეთმა ყველას აცნობა, რომ კავკასიიდან წასვლას არ აპირებს და მხოლოდ ამტკიცებს იქ თავის პოზიციებს. მაგალითად, საქართველოზე გამარჯვებით მან უფრო თავისუფლად და თვითდაჯერებულად იგრძნო თავი, განზრახული აქვს დაიწყოს მეორე სამხედრო ბაზის მშენებლობა სომხეთში, იჯევანში.

ამას გარდა, კრემლს სურს აჩვენოს მთელ მსოფლიოს, რომ ის არა მხოლოდ აგრესორია, არამედ მშვიდობისმყოფელიც, ამიტომ აკეთებს რალაც დემონსტრაციულ მცდელობებს მოაწესრიგოს კონფლიქტი დნესტრისპირეთსა და მთიან ყარაბაღში.

მაგრამ ყარაბაღის პრობლემის რეალურად გადაწყვეტა ამჟამად ჯერჯერობით არ არის ხელსაყრელი. ის ამაზე წავა მხოლოდ, თუ მტკიცედ იგრძნობს თავს სამხრეთ კავკასიაში, ჯერ კი რუსეთი მოქმედებს კლასიკური პრინციპით — დაჰყავი და იბატონე.

რუსეთს აქვს ანექსიებისა და დაპყრობების უზარმაზარი გამოცდილება, აგრეთვე დიპლომატიისაც. საკმარისია მოუსმინო რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრს ლავროვს, რომელსაც შეუძლია გაამართლოს ყველაფერი, რაც გინდა, გაათეთროს ვინც გინდა, გააშავოს ვისაც მოისურვებს, და ყოველივე ამას აკეთებს სერიოზული სახით. ვფიქრობ, ამ ტირადებს რომ უსმენდეს, რიბენტროპი საფლავში გადატრიალდებოდა.

**რომან ტემნიკოვი**

Day.Az

# იური მუხინი - რუსეთი დღეს

## წიგნიდან — „სტალინის მკვლელები"

**„ჩვენ გვეშინია პარტიის უზომოდ გაფართოებისა, რადგანაც სამთავრობო სავარძლებისკენ მიისწრაფიან კარიერისტები და სალახანები, რომლებიც მხოლოდ დახვრეტას იმსახურებენ"**
**(ლენინი)**

### ეპილოგი

ეპილოგი ლიტერატურული ნაწარმოების ისეთი ნაწილია, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ ცხოვრობენ გმირები მრავალი წლის შემდეგ. ვნახოთ, რა დაემართა საბჭოთა კავშირში ხელისუფლებასა და დემოკრატიას სტალინისა და ბერიას მკვლელობების შემდეგ.

ვისაუბროთ თემებზე, რომლებიც ნაკლებად აღელვებს პრესას. მაგალითად, პრეზიდენტობის ინსტიტუტზე.

დიახ, რუსეთს მართავს პრეზიდენტი!

თეორიულად კი, მაგრამ პრაქტიკულად? რუსეთის ყველა პრეზიდენტი ჩვენ წინაშეა — განა ისინი მართავდნენ რუსეთს?

მართვა, როგორც ყოველგვარი შრომითი პროცესი, ეს არის საქმე, რომელიც უნდა იცოდე და შეგეძლოს.

როგორც ყოველგვარ საქმეში, თავიდან მდგომარეობა უნდა შეაფასო საკუთარ გადაწყვეტილებათა გამომუშავებისთვის. ხოლო მდგომარეობის შეფასება რუსეთში, თუნდაც ზედაპირულად, დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს. შემდეგ მოდის გადაწყვეტილების ვარიანტის შერჩევა, ამისთვის კი საჭიროა, გქონდეთ ეს ვარიანტები თავში ან მოიძიოთ ისინი, რასაც ასევე დიდი შრომა სჭირდება. ამის შემდეგ უნდა ჩამოაყალიბო შენი გადაწყვეტილება იმათთვის, ვინც იგი უნდა განახორციელოს. ჩამოაყალიბო ისე, რომ ხალხმა ადვილად გაიგოს, რაშია საქმე და შექმნას შესაბამის სამოქმედო ბრძანებულებათა დოკუმენტები. ამ დოკუმენტების პროექტირებაც დიდ დროს წაიღებს. ბოლოს ეს დოკუმენტები ხელმოწერამდე უნდა გადაიკითხო.

და როგორ ფიქრობთ — არსებობს რუსეთში ადამიანი, რომელიც ამ საქმეს აკეთებს? ელცინი ГКЧП-ს ლიკვიდაციის შემდეგ შვებულებაში გაუშვეს, მერე მთელი ცხოვრება ან ისვენებდა, ან ლოთობდა, ან ავადმყოფობდა. დრო და დრო აცხადებდნენ — ელცინი „დოკუმენტებზე მუშაობსო", რაშიც იგულისხმებოდა მხოლოდ თვალდახუჭულად ხელის მოწერა. ელცინი პრემიერებსაც კი თვეში ერთხელ თუ ხვდებოდა და, საერთოდ, რომელიმე მინისტრთან პრეზიდენტის შეხვედრას პრესა აშუქებდა, როგორც საოცარ მოვლენას.

იმის მტკიცება, რომ ელცინი რუსეთს მართავდა — შეუძლია მხოლოდ იმ ადამიანს, ვისაც მართვასთან არასოდეს ჰქონია საქმე.

თვალსაჩინო მაგალითი: წარმოვიდგინოთ, რომ რუსეთი — ეს თვითმფრინავია და ჩვენ მისი მგზავრები. სტიუარდესამ გამოგვიცხადა, რომ თვითმფრინავს მართავს ელცინი. და მაშინვე ელცინი სალონში გამოდის — იწყებს რაიმე თამაშს, ჩქმეტს სტიუარდესებს უკანალზე, ამთქნარებს სავარძელში, დირიჟორობს ორკესტრს, ლოთობს მგზავრებთან ერთად და მერე იატაკზე გორაობს. — და ეს ყველაფერი ჩვენ თვალწინ ხდება. შიგადაშიგ გამოფხიზლებული შედის პილოტების სალონში, რათა ხუთ წუთში ისევ გამოვიდეს და ისევ დალიოს. ჩვენ კი უნდა ჩავთვალოთ, რომ ელცინი თვითმფრინავს მართავს?

ზუსტად ასე „მართავს" რუსეთს პუტინი. იგი ხან ესპანეთშია, ხან ჰოკეიში ჩემპიონატს ხსნის, ხან კორეაშია, ხან ძიუდოს ჩემპიონატს ესწრება, ხან კუბაშია და ხან თხილამურებზე დგას, ზოგჯერ დაგომისში ისვენებს და ინგლისურს სწავლობს.

ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ თვითმფრინავი მიფრინავს უპილოტოდ და მიფრინავს კურსის ხშირი ცვლილებით, უავტოპილოტოდ.

### დემოკრატები?

თქვენ გეუბნებიან, რომ რუსეთს მართავენ ვილაც დემოკრატები. მაგრამ სად არიან ისინი? სად არიან გაიდარები, შუმეიკოები, შუხრაები, სტანკევიჩები, პოპოვები? სად არიან ელცინის საბჭოში შემავალი აკადემიკოსები, 21 კაცი?

გახსოვდეთ, ეს ადამიანები ეკონომიკის სპეციალისტებად ითვლებოდნენ. გავიდა ათი წელი, რაც გაიდარის ვარსკვლავმა გაიბრწყინა, რომელსაც 1999 წელს, დუმის არჩევნების წინ, როგორც „მემარჯვენე ძალების კავშირის" ლიდერს, კავშირის პროგრამა ამერიკიდან გამოუგზავნეს ინგლისურ ენაზე, რომელშიც ეკონომიკური ტერმინებიც ხაკამადა-ნემცოვების „ბრწყინვალებამ" ვერ თარგმნა სწორედ.

როცა უმაღლესმა საბჭომ მიიღო იავლინსკის ეკონომიკის განვითარების ხუთასდღიანი პროგრამა, თავად იყო რუსეთის ვიცე-პრემიერი და თავადვე, შიშისგან გაიპარა პოსტიდან და დღემდე ჭირივით ეშინია მართვასთან დაკავშირებული ყოველგვარი პოსტის, რაც, სხვათა შორის, მის გონიერებაზეც მეტყველებს.

ამ კრეტინებს როგორ შეეძლოთ ემართათ რუსეთი, როცა მას ათასჯერ უფრო გამოცდილი ელცინი ვერ მართავდა!

**მოამზადა**
**ომარ ჩიტაიამ.**

**(დასასრული იქნება)**

# პრობლემა

## ყოფა



# კითხვები, რომლებიც პასუხს ითხოვენ,

## ანუ რა შესწორებები შევა 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში?

**ხალხში რომ უამრავი კითხვაა დაგროვილი, ფაქტია. საზოგადოებაში, კერძოდ, ხშირად საუბრობენ განათლების სფეროში არსებულ ვითარებაზე, დარღვევებსა თუ ნაკლოვანებებზე. ამ წერილში მხოლოდ რამდენიმე პრობლემაზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას.**

...პერიფერიებზე რომ არაფერი ვთქვათ, თბილისში არც თუ ცოტა იქნება ისეთი სკოლა, წლების განმავლობაში რომ არ გარემონტებულა.

– მართალია, თითქმის ყველა სკოლის ფასადი გარედან კი არის გადალებილი, მაგრამ საკლასო ოთახები ისეთი ულიმლამო და ჭუჭყიანია, შიგ შესვლა არ მოგინდებათ. კი, ჰოლიც, ანუ გზა – სკოლაში შესასვლელი კარიდან დირექტორის კაბინეტამდე – შეთეთრებულია, მაგრამ ამან არ უნდა შეგაცდინოთ, შეიხედეთ სასკოლო ოთახებში, სასაუზმეებსა და საჭირო ოთახებშიც, სადაც აუტანელი ანტისანიტარიაა.

... სასწავლო წიგნები, რომელთა უმეტესობას 4-ლარიანი მოსწავლის რვეულიც ახლავს, 15-20 ლარზე ნაკლები არ ღირს. რა ქნას ჩემმა მეზობელმა, ახალგაზრდა დედამ – ნელიმ, მომავალ წელს 4-ვე შვილი სკოლის მოსწავლე რომ ეყოლება? როგორ გადაიხადოს ზოგიერთ წიგნში 20-25 ლარი?

კი, კარგია, რომ ლამაზი, ფერადი წიგნები გამოდის ბავშვებისთვის, მაგრამ მისი შეძენის საშუალება რომ ძალიან ცოტას აქვს? განა ეს სამართლიანია?

ადრე ოჯახში ბავშვები ერთმანეთის ნახმარ წიგნებს მოიხმარდნენ, დღეს ესეც შეუძლებელია, რადგან ყოველწლიურად ახალ-ახალი ტიპის სახელმძღვანელოები იბეჭდება და მასწავლებელი ირჩევს, რომელია მათგან უკეთესი სახელმძღვანელო!

... – არც თუ დიდი ხნის წინათ სკოლებში მოსწავლეთა ფორმები შემოიღეს, რომელიც ბევრ პირველკლასელს თავად პრეზიდენტმაც გადასცა უფასოდ. მართალია, ფორმის დიზაინი არც თავად მოსწავლეებს მოსწონდათ და არც მათს მშობლებს, მაგრამ ის კი იყო, რომ ყოველ დილით არ იყო კამათი მოსწავლეთა ოჯახებში – ეს არ ჩაიცვა, ის არ ჩაიცვაო. დღეს ეს სასკოლო ფორმა ისტორიას ჩაბარდა, აღარავინ იცვამს.

არადა, თავის დროზე ამ პროექტზე საკმაო თანხაც დაიხარჯა. ისმის კითხვა – რისთვის, მხოლოდ და მხოლოდ პიარისთვის? სხვას რომ თავი დავანებოთ, ამით ხომ ჩვენს შვილებს კანონის უპატივცემულობას ვასწავლით?

...ეს კიდევ არაფერი. **ყველაზე უფრო იცით, რამ გამაკვირვა? იმან, რომ განათლების მინისტრმა სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის მაის-ივნისის თვეში, არც მეტი, არც ნაკლები, თავის თავს პრემიის სახით, 4248 ლარი გამოუწერა.**

ვინ შეაფასა მისი მუშაობა ასე კარგად?

თვითონ მან!

აი, თავმდაბლობაც ამას ჰქვია!

მაგრამ ბატონ მინისტრს სხვა მინისტრებმაც რომ მიბაძონ, მერე კიდევ მათმა მოადგილეებმა და მერე კიდევ სხვათა მოადგილეებმა და მოადგილეების მოადგილეებმაც, განათლების სფეროსთვის გამოყოფილი თანხა გაუძლებს ამას? ამიტომ ნუღარ გაგვიკვირდება, ზოგიერთი სკოლა ულიმლამოდ რომ გამოიყურება.

ნეტავ, რომელიმე საუკეთესო პედაგოგმა ხელფასის ნახევარი მაინც მიიღო ჯილდოდ?

ეს საკითხები, ერთი შეხედვით, თავისი შინაარსით არც გლობალურია და არც მართლმსაჯულების სფეროს მიეკუთვნება, რომ ვინმეს სასჯელი გამოუტანონ, მაგრამ ვიმეორებ, ეს ერთი შეხედვით ჩანს ასე, ხოლო თუ ღრმად დავუკვირდებით, მივხვდებით, რომ ამით უდიდეს ზიანს ვაყენებთ ჩვენს შვილებს, მათს ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ფსიქიკას.

ეს სულ სხვა თემაა, მაგრამ ამაზეც უნდა დავფიქრდეთ.

პარლამენტის ბიუჯეტი ავიღოთ, არავისთვის დასამალი არ არის, რომ საქართველო ღარიბი, განვითარებადი ქვეყანაა, ამიტომაც გვეხმარებიან დიდი და მდიდარი ქვეყნები (მერე რა, რომ თბილისის ქუჩებში დღედაღამ უამრავი უცხოური მანქანა დაგრიალებს, მერე რა, რომ რესტორნებში, თუ ადრევე არ ჩაეწერე, დასაჯდომ ადგილს ვერ იშოვი, მერე რა, რომ დედაქალაქში წიგნის მაღაზიები თითქმის ყველგან დახურეს და მათ ადგილზე სათამაშო ავტომატებისა და ტოტალიზატორის ანბანს ეუფლებიან ჩვენი ახალგაზრდები, წიგნებს კი მხოლოდ ქუჩებში ყიდიან), ბევრ ოჯახს კვლავ ძალიან უჭირს, უპირველესი პრობლემა კი, რა თქმა უნდა, ლტოლვილთა პრობლემების მოგვარების შემდეგ, სამუშაო ადგილების შექმნა და ხალხის რეალური დასაქმებაა.

სწორედ ამ და აგრეთვე სხვა საკითხების გათვალისწინებითაც გადაწყდა, რომ შემცირებულიყო პარლამენტის დეპუტატთა რაოდენობა და, რა თქმა უნდა, ხარჯებიც. გამონთავისუფლებული თანხა კი სხვა მიმართულებით გამოგვეყენებინა.

**რა გამოდის? დეპუტატთა რაოდენობა შემცირდა 235-დან 150-მდე, მაგრამ თუ 1995 წლის საპარლამენტო ბიუჯეტი 5 მილიონი ლარი იყო, მერე 9 მილიონი გახდა, შემდეგ 36 მილიონი, 2009 წლის ბიუჯეტში 42 მილიონამდე ლარია განსაზღვრული.**

იკითხავთ, ალბათ, როგორ? რა და, ჯერ აილეს და სპიკერატის რაოდენობა გაზარდეს ხელფასებთან ერთად (ხელფასები ისედაც ხომ გაუდიდდათ), მერე მანქანები გამოცვალეს, რემონტი ჩაატარეს, მივლინებები გაახშირეს (ხომ გამოქვეყნდა პრესაში, წინა პარლამენტმა რამდენი გაუთვალისწინებელი და არაფრის შემცვლელი ხარჯები გასწია სხვადასხვა მიმართულებით) და ხარჯებიც თავისთავად გაიზარდა. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს კი თურმე გამოყოფილი 85 მილიონიდან 35 მილიონამდე უნდა შეუმცირდეს დაფინანსება. 2009 წლის ბიუჯეტში კი 7 მილიარდ ლარს ვარაუდობენ. ვნახოთ ეს, ჯერ მხოლოდ კანონპროექტია, მაგრამ ისეთი „კარგი", რომ პარლამენტმა მთავრობას უკანვე დაუბრუნა შესასწორებლად. საინტერესოა, რა კუთხით მოხდება შესწორება? ვნახოთ!

**ნაზი იმნაიშვილი**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს" (ს.კ. 204421991) მიმდინარე წლის ნოემბრის პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით ხორციელდება საზოგადოების რეორგანიზაცია (ნატურით გამოყოფა) და საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შემცირება.

შპს „საქართველოს" ადმინისტრაცია.

თბილისი, მელიქიშვილის ქ. №12. ტელეფონი 22-14-77.

## ინფორმაცია

### რას ერჩოდა პეტრე პირველს ზურაბ წერეთელი?

ზურაბ წერეთლის ავტორობით შექმნილმა პეტრე პირველის ძეგლმა მსოფლიოს ყველაზე შეუხედავ ნაგებობათა ათეულში ბოლო ადგილი დაიკავა, – იუწყება რადიო „ეხო.მოსკვი".

რეიტინგი შედგენილია – ვირტუალური ტურისტის" ვებგვერდის აქტივისტებისა და ექსპერტების ხმის მიცემის შედეგებით.

ათეულის პირველ ადგილზე ქალაქ ბოსტონის საბჭოს შენობა გავიდა; მეორეზე – პარიზის მონპარნასის კოშკი, მესამეზე – ფინეთის ქალაქ ტუურის „ოქროს ნალი".

### წყალტუბოში სამოქალაქო რეესტრის სააგენტო გახსნეს

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა გუშინ წყალტუბოში სამოქალაქო რეესტრის სააგენტო გახსნა.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს წყალტუბოს ტერიტორიული სამსახურის სარემონტო სამუშაოები სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ოფისი თანამედროვე ტექნიკითა და ავეჯით აღიჭურვა. წყალტუბოს სამსახური რაიონულ ცენტრსა და 50 სოფელს ემსახურება.

განახლებული ოფისი ერთი სარკმლის პრინციპით იმუშავებს. შედეგად, მოქალაქეებს რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტს გამარტივებული წესით მიაწვდიან.

**ინტერპრესნიუსი**

№2/11127-06

# განჩინება

## საქართველოს სახელით

### (პუბლიკაციის მეშვეობით საჯარო შეტყობინების შესახებ)

**1 ოქტომბერი, 2008 წელი** **ქ. თბილისი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე **სოფიო მაჭავარიანმა** განიხილა სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის სარჩელზე საჯარო პუბლიკაციის გამოყენების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია №2/11127-06 საქმე სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის სარჩელისა გამო მოპასუხეების: თამაზ რუხაძის, გია თავართქილაძის, ავთანდილ ყულჯანიშვილისა და ზურაბ ზურაბიშვილის მიმართ დანაშაულის შედეგად სახელმწიფოზე მიყენებული ზიანის – 1 781 700 ლარის ანაზღაურების შესახებ.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან მიუხედავად მოსარჩელე მხარისა და სასამართლოს არაერთი მცდელობისა, ვერ მოხერხდა სასამართლო უწყებისა და გზავნილის მოპასუხე ზურაბ ზურაბიშვილისათვის ჩაბარება კანონით დადგენილი წესით, გამოიკვეთა მისთვის საჯარო პუბლიკაციის მეშვეობით შეტყობინების აუცილებლობა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-ე და 285-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ეცნობოს **ზურაბ ზურაბიშვილს** (მის. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 47/ა, ბინა 23), **თამაზ რუხაძეს** (მის. ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, მე-7 კვ. I კორპ, ბინა 111), **გია თავართქილაძეს** (მის. ქ. თბილისი, თემქის დასახლება, 3 მ/რ, 23 კორპუსი, ბინა №53), **ავთანდილ ყულჯანიშვილს** (ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქუჩა №11ა), რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია საქმე 2/11127-06 საქმე სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის სარჩელისა გამო მოპასუხეების: თამაზ რუხაძის, გია თავართქილაძის, ავთანდილ ყულჯანიშვილისა და ზურაბ ზურაბიშვილის მიმართ დანაშაულის შედეგად სახელმწიფოზე მიყენებული ზიანის – 1 781 700 ლარის ანაზღაურების შესახებ;
2. ხსენებულ განჩინებასთან ერთად გამოქვეყნდეს სარჩელი და თანდართული მასალები, ასევე მოპასუხისათვის განკუთვნილი გზავნილის ფორმა და დამატებით მოპასუხეს განემარტოს, რომ მას დამატებითი ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა აქვს სასამართლოში;
3. **ზურაბ ზურაბიშვილს, თამაზ რუხაძეს, გია თავართქილაძეს, ავთანდილ ყულჯანიშვილს ეცნობოს, რომ საქმეზე მთავარი სხდომა დანიშნულია 2008 წლის 2 დეკემბერს, 14 საათზე, რომელიც ჩატარდება თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6-ში მდებარე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, სასამართლო სხდომის დარბაზი №28;**
4. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში";
5. განჩინება ქვეყნდება მოსარჩელის ხარჯით;
6. სასამართლო უწყება სხდომის დღის შესახებ, სარჩელი, თანდართული მასალები და გზავნილი მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;
7. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

მოსამართლე **ს. მაჭავარიანი**

## განცხადება

**2008 წლის 8 დეკემბერს დღის 11 საათზე ჩატარდება სააქციო საზოგადოება „განახლებული მექანიზაციის" აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. ორგანიზაციის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმის განსაზღვრა;
2. დირექტორის დანიშვნა;
3. დამფუძნებელთა სიის განსაზღვრა;
4. კაპიტალის განსაზღვრა;
5. სახელწოდების შეცვლა;
6. იურიდიული მისამართის განსაზღვრა.

აქციონერთა დასწრება სავალდებულოა.

**მისამართი:** ქ. თელავი, აჩინებული №1.

# ვისაც წიგნი ჯერაც გექვირფასებათ

**ინტერნეტისა და მობილური ტელეფონის საუკუნეში დარჩა კი ვინმე (ძირითადად უფროსი თაობის გარდა), წიგნი რომ აინტერესებდეს? სამწუხაროდ, ცოტა დარჩა, ძალიან ცოტა, რომელთაც კარგი წიგნის ანდამატი, ყველა ტექნოლოგიურ მიღწევას ურჩევნია... ნეტავი მათ... როდესაც აქა-იქ იტყვიან ხოლმე, წიგნს ვერავითარი ვიდეო და მაგნიტოფირები ვერ შეცვლისო, წიგნს ხალხი ისევ მიუბრუნდებაო, მე პირადად იმედი მესახება, იმედი იმისა, რომ, ბრწყინვალე (ქართულ თუ უცხოურ) ლიტერატურულ ძეგლებს წიგნით და არა კინო და ტელეპროდუქციით გაეცნობა საქართველოს მომავალი თაობა... ღმერთმა ინებოს... ჩვენი დღევანდელი საავტორო გვერდიც მთლიანად, შეიძლება ითქვას, წიგნის ერთგვარ რეკლამასაც კი ემსახურება, ეს არის ახლახან გამოსული ქართული პოეზიისა და პროზის საყურადღებო, გულდაგულ წასაკითხი ნიმუშები...**

**წაიკითხავთ და კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, რომ კარგ წიგნს თავისი განუმეორებელი ხიბლი აქვს.**

## ტარიელი — უჩვეულო ამბების მთხრობელი

ტარიელ ხავთასს, ძირითადად, საბავშვო ლექსებით იცნობს მკითხველი და ახლახან თბილისის საკრებულოს მიერ დაარსებული ლიტერატურული კონკურსის ნომინაციაში – „საბავშვო წიგნი“, რომ გაიმარჯვა, გვეგონა მორიგი კარგი ლექსების კრებულისთვის მიიღო პრემია. არაფერი მსგავსი! ჩვენი ტარიელი დაუჯილდოებიათ სრულიად ორიგინალური წიგნისთვის (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა) **„ნამდვილი ამბები ცხოველებზე ცირკსა და ზოოპარკში“**. წიგნში ისეთ ამბებს ჰყვება ავტორი, აუცილებლად გაგიჩნდებათ კითხვა -- **სად ნახა, ვისგან გაიგო ცხოველთა ეს ნაირ-ნაირი თავგადასავლები ტარიელმა?..**

– საერთოდ, ცხოველები ძალიან მიყვარს, – მეუბნება იგი, – მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირის დედაქალაქები მოვლილი მაქვს და, როდესაც სადმე ჩავიდოდი, აუცილებლად მოვინახულებდი ხოლმე ზოოპარკს. უმრავლესობა ამ ნა-




ამბობისა, სწორედ ზოოპარკებში მაქვს ნანახი, ზოგიც თანამშრომელთა მონაყოლია... მოგვიანებით გავიგე, რომ ცირკში უფრო დაუჯერებელი ამბები ხდება და, თანდათან, მათაც გავეცანი.

ასე რომ, ბავშვებს უჩვეულო სამყაროში მოგზაურობა ელოდებათ, სადაც მეგზურია ბაბუა ტარიელი – ჩვენი მეგობარი და შესანიშნავი პოეტი. იგი ბევრ საინტერესო ამბებს უამბობს ცხოველებზე ჩვენს პატარებს!

## რეკვიემი — პოეტის სულის ამოძახილი

გენო კალანდია – ჩვენი უფროსი მეგობარი და გამორჩეული პოეტი შინაგანად ისეთი ვეღარ არის, თავისი ახალი ლექსების კრებულის – **„ისევ რეკვიემი“**, ყდაზე რომ ჩანს პორტრეტიდან – გაბადრული, ბედნიერი კაცის ღიმილით...




მერე რა, იყოს – „მტრის ჯინაზე“ – ლამაზი კოლხი – სულით, სხეულით...

თუმცა, შინაგანად სულ სხვა განწყობილება აქვს „დევნილ პოეტს“ და ეს უმალ ირეკლება მის ბოლოდროინდელ ორ კრებულში – **„რეკვიემი“** და **„ისევ რეკვიემი“**.

სამწუხაროდ, თითქმის ოცი წელია, ასე აეწყო ჩვენი ძვირფასი გენოს ცხოვრება – უკან დარჩა (დაატოვებინეს) სოხუმის სილაჟვარდე, სილაღე, სულში სევდა-ნაღველმა დაისადგურა, რაც, ცხადია, მისი „თბილისური“ პოეზიის თანმხლებიც გახდა. შესანიშნავი წინასიტყვაობა ახლავს კრებულს ქალბატონ მაკა ჯოხაძისა. უფრო სწორად ეს არის ადრე გამოცემული „რეკვიემის“ გამო ნათქვამი, რომელიც წინამდებარე კრებულსაც ზედმიწევნით ესადაგება: **„ამ წიგნმა ისეთივე დაღი დამასვა, როგორც დღესაც ასვამს ომი ადამიანს. იგი იმდენად ღრმა და მართალი მწუხარებიდან გამოღწეული წიგნია, რომ მის „შემოტევას“ გაძლება უნდა... მიუხედავად ამ მძიმე კოშმარული ხილვებისა, გასაოცარია, გენო კალანდიას პოეტური სიტყვის წვნიანობა, ტენიანობა, სინოტივე, ფერადოვნება, უფრო ზუსტად, სიცინცხლე სამყაროს შეგრძნებისა“.**

შორს დარჩენილი აფხაზეთი თუ მეგობრის საფლავი, შემოდგომის მოტივები თუ ფერადოვანი კომპოზიციები, კოლხეთი – მისი ფესვი და საძვალე პოეტის ფიქრის საგანია – ნატიფ სტრიქონებში მოქცეული...

**სამეგრელოს წარსულო,**<br>
**სამეგრელოს წარსულო, –**<br>
**გაზაფხულის თოვლივით**<br>
**ცაში კვამლად წასულო!**

* * *

**მიწავ, მარად ფხვიერო,**<br>
**მიწავ, დასადაფნავო,**<br>
**მიწავ, სამი პოეტის**<br>
**მომავალო საფლავო!“**

მე მეძვირფასება ამ „სამი პოეტის“, სამი ძმის – ერთიმეორეზე უკეთესი კალმოსნების – ბატონი გენოს, ბატონი რენეს, ბატონი ზაურის, ამ რამდენიმე წლის წინათ გენოსგან ნასახსოვრები ტომეულები... ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ხელწერა და სათქმელი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული თემები და წარმოსახვები... სამი ძმა კალანდია ძალუმად შერთვია უახლესი ქართული მწერლობის მრავალხმიანობას... თუმცა, მომიტევეთ რენე და ზაურ: გენო, ხომ მაინც განსაკუთრებულია?.. გენო ხომ „სხვა კაცია“ სევდითაც და სიხარულითაც, ჭირშიც და ლხინშიც?

ამას მისი „რეკვიემებიც“ ადასტურებენ.

## ტომეულებით გაცხადებული არდავიწყება

თავისი ახალგამოცემული ლექსების კრებული რომ დაგვირიგა საჩუქრად, **გენო კალანდიამ** ორი სქელტანიანი წიგნიც გვიჩვენა, აი, ამათი გამოსვლა უფრო მიხარიაო... ვათვალიერებთ. პირველ ტომს ჰქვია **„აფხაზეთი ქართულ პოეზიაში“**, მეორეს **„აფხაზეთი ქართულ პროზაში“**. პროექტის ავტორი და რედაქტორი თავად გენოა, შემდგენლები კი **ემზარ კვიტაიშვილი** და **ვაჟა ოთარაშვილი**, მხატვარი **გოგი წერეთელი**. ტომეულები **„ეროვნულ მწერლობას“** გამოუცია. რა გასაკვირია, რომ სწორედ გენო კალანდიას იდეითა და ინიციატივით გაკეთდა ეს კარგი საქმე... ამ ტომეულებში შესული ბევრი ლექსი თუ მოთხრობა კარგა ხანია ცნობილია ქართველი მკითხველისთვის. ის კი არა, სასკოლო სახელმძღვანელოებში შედიოდა ზოგიერთი. აბა, რამ დაგვავიწყოს აკაკი წერეთლის „გამზრდელი“, გალაკტიონ ტაბიძის „გამარჯობა, აფხაზეთო შენი!“, სიმონ ჩიქოვანის „დიოსკურია“, გიორგი ლეონიძის „აფხიარცა“, ირაკლი აბაშიძის „ცა აფხაზური“... ხოლო პროზის მარგალიტებიდან – კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“ (კრებულში რომანის ნაწყვეტია შეტანილი), ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა“, ნოდარ დუმბაძის „ჰელადოსი“ და სხვ.

ამ სახელებს პოეზიაშიც და პროზაშიც ბევრი სხვაც ავსებდა – იქმნებოდა შესანიშნავი ანთოლოგია საქართველოს ამ, ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხის, დღეს უკვე „დამოუკიდებელი სახელმწიფოს“ წარსულსა და აწმყოზე, წეს-ჩვეულებებზე, ულამაზეს ადამიანებზე... დღეს?! საინტერესოა, ბატონო გენო, ამ ორ ძვირფასად გამოცემულ, ერთიმეორეზე უკეთესი ლექსებითა და მოთხრობებით სავსე ტომებს აიღებს ხელში ვინმე „იქაური“, ერთ დროს




ჩვენი მოძმე და სისხლი ოდნავ მაინც აუჩქროლდება?! მეტი არაა ჩვენი მტერი!.. ისე კი, რა თქმა უნდა, უპირველესად, ჩვენ უნდა გვახსოვდეს „ცა აფხაზური“, ერთიანი საქართველოს განუყოფელი ნაწილი, რომელსაც არასდროს დათმობს ქართველი კაცი. ამ იმედის სატარებლად, მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გამოცემას, რისთვისაც მადლობა თქვენ და თქვენი სახით ყველას, ვინც მისთვის გაისარჯა.

## „მოდის და ჩუმად მაძინებს ვიღაც“

სტრიქონი, რომელიც სათაურად შევარჩიე, მისი ლექსების კრებულში შეტანილი ბოლო ლექსიდანაა... ანდა, ერთ-ერთი ბოლო ლექსია – ავადმყოფობით სასომიხდილ ჩვენს მეგობარს უკვე აღარა აქვს ლექსის წერის თავი – შთამომავლობას – ნიას, ანის, ცოტნეს, დაჩის ემშვიდობება:

**მოდის და ჩუმად**<br>
**მაძინებს ვიღაც,**<br>
**მერე გამიყვანს**<br>
**მდინარის მიღმაც.**<br>
**ახლაც თან მდგას –**<br>
**ჩამოძერწილი.**<br>
**მორჩა.**<br>
**გათავდა.**<br>
**დავსვათ წერტილი.**

2006 წ.

რობერტი... ჩვენი რობერტი ძერია... შემოგვხვდებოდა (ბოლო წლებზე ვამბობ) და ისე გაიბადრებოდა, თვალები ისე აუციმციმდებოდა, როგორ იფიქრებდი თუ სერიოზული ავადმყოფობით იყო შეპყრობილი... მე, პირადად, შევიცხადე, ერთ დღეს, ბიჭებმა რომ თქვეს, გერმანიაში მიჰყავთ საოპერაციოდო... რა მოუვიდა ასეთი-მეთქი... მერე მომიყვნენ დაწვრილებით მისი, თითქმის, გამოუვალი მდგომარეობის შესახებ...




არ ვიცოდი... არც არასდროს გაუმხელია სატკივარი...

შემოივლიდა რედაქციაში, მოჰქონდა შესანიშნავი, თავისთავადი ხელწერით შესრულებული პუბლიცისტიკა... წავისაუბრებდით დერეფანში, მოვიგონებდით უამრავ გარდაცვლილ მეგობარს „ახკომიდან“, „კომუნისტიდან“...

თურმე, თვითონაც მალე უნდა დაგვემშვიდობებოდა...

მისი ნააზრევი, მისი ნაკალმარი, როგორც გავიგე, მალე წიგნად აიკინძება და ეს იქნება ჭეშმარიტი შენაძენი ჩვენი ჟურნალისტიკისა, მაგალითი ახალგაზრდა კოლეგებისათვის, თუ როგორ უნდა ვემსახურებოდეთ მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეს... მანამდე კი სასიამოვნო, თუმცა სევდისმომგვრელი მოულოდნელობა, მოულოდნელობა მისი მეგობრებისთვის, კოლეგებისთვის – რობერტ ძერია, თურმე, პოეტურ მუზასთანაც ყოფილა წილნაყარი, არადა, სიცოცხლეში ლექსისმაგვარი არაფერი დაუბეჭდავს... და აი, გადაუწყვეტია ოჯახს, ლექსები გადაუციათ მისი თანაკურსელისთვის, ჩვენი ძვირფასი დილარ ივარდავასთვის, მასაც გემოვნებით შეურჩევია ყოველივე და „ინტელექტსაც“ გემოვნებით გამოუცია რობერტის ლექსად ნათქვამი ფიქრი, ოცნება, იმედი...

...სტილი – ქართული, კლასიკური ლექსისა – სადა, ჩამოქნილი...

უფრო ხშირად უიმედო სტრიქონი:

**მორჩა. ჩაქრა სანთელი,**<br>
**არც ვჭირდები არავის.**<br>
**კალთაჩამოშლილია**<br>
**დედისერთა კარავიც.**

თუმცა შთამომავალს მაინც იმედიანად ეუბნება:

**მე ისევ მოვალ შენთან**<br>
**წყაროდ – ანკარად, წმინდად**<br>
**და შენს უდარდელ სიცილს**<br>
**მე ვუდარაჯებ ციდან.**

ჭეშმარიტად, ჩვენო რობერტ! შენს ჯალაბას, შენს შთამომავლობას დიდხანს გაჰყვება მოსიყვარულე, გულთბილი მეუღლის, მამის, ბაბუის ხატება, რაც მთავარია, მათ საამაყოდ ექნებათ შენი ნიჭით აღბეჭდილი შემოქმედება.

**ვილენ მარდალეიშვილის საავტორო გვერდი**



დღეს ბატონი ჯაგუა ამირეჯიბი 87 წლის გახდა! განა, ოდესმე, მრავალ განსაცდელში მყოფი მომავალი დიდი მწერალი წარმოიდგენდა, რომ ბიბლიურ ასაკს მიაღწევდა და ბუმბერაზი მწერლებით „სავსე“ საქართველოში ყველაზე თვალსაჩინო, „კითხვადი“ მწერალი გახდებოდა?!

დაილოცოს ღმერთო, შენი ნება!.. იცოცხლეთ, ბატონო ჭაბუა, გონების სიცინცხალე არ მოგკლებოდეთ და თქვენს საყვარელ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ კვლავაც „ამარაგებდეთ“ ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე მოუბარი წერილებით!

№ 216. სამშაბათი, 18 ნოემბერი, 2008 წელი.





ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ ფეხბურთი

# აქეთური-იქითური



**XX ეროვნული ჩემპიონატი. XI ტური.** „დინამო" – „ბორჯომი" 5:0, „ვიტ ჯორჯია" – „მგლები" 3:0, „ოლიმპი" – „სიონი" 0:0, „ზესტაფონი" – „ლოკომოტივი" 3:1, „მესხეთი" – „ცხინვალი" 1:0. ისვენებდა „გაგრა".

**სატურნირო მდგომარეობა პირველი წრის შემდეგ:**

„ვიტ ჯორჯია" – 21, „ზესტაფონი" – 20, „დინამო" – 19, „ლოკომოტივი" – 18, „სიონი" – 14, „ოლიმპი", „მგლები", „მესხეთი" – 12-12, „გაგრა" – 11, „ბორჯომი" – 10, „ცხინვალი" – 3 ქულა.

**შემდეგი ტური (21-22 ნოემბერი):** „ვიტ ჯორჯია" – „ბორჯომი", „მესხეთი" – „ლოკომოტივი", „დინამო" – „გაგრა", „ზესტაფონი" – „ოლიმპი", „სიონი" – „მგლები". ისვენებს „ცხინვალი".

* * *

**იტალია. XII ტური.** „პალერმო" – „ინტერი" 0:2, „მილანი" – „კიევო" 1:0, „იუვენტუსი" – „ჯენოა" 4:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ინტერი" – 27, „მილანი" – 26, „იუვენტუსი" – 24 ქულა.

**ბომბარდირი:** მილიტო („ჯენოა") – 10 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ინტერი" – „იუვენტუსი", „ტორინო" – „მილანი".

**ესპანეთი. XI ტური.** „უელვა" – „ბარსელონა" 0:2, „მალაგა" – „ვილიარეალი" 2:2, „ვალენსია" – „ხიხონი" 2:3, „ვალიადოლიდი" – „რეალი" 1:0, „ხეტაფე" – „სევილია" 0:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა" – 28, „ვილიარეალი" – 25, „ვალენსია", „რეალი", „სევილია" – 23-23 ქულა.

**ბომბარდირი:** ეტოო („ბარსელონა") – 13 გოლი.

**შემდეგი ტური:** ბარსელონა" – „ხეტაფე", „ვილიარეალი" – „ვალიადოლიდი", „რეალი" – „უელვა", „სევილია" – „ვალენსია".



**ინგლისი. XIII ტური.** „ვესტბრომვიჩი" – „ჩელსი" 0:3, „ბოლტონი" – „ლივერპული" 0:2, „მანჩესტერი" – „სტოკი" 5:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ ჩელსი", „ლივერპული" – 32-32, „მანჩესტერი" – 24 ქულა.

**ბომბარდირი:** ანელკა („ჩელსი") –12 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ჩელსი" – „ნიუკასლი", „ლივერპული" – „ფულჰემი", „ასტონ ვილა" – „მანჩესტერი".

**გერმანია. XIII ტური.** „ლევერკუზენი" – „შალკე" 2:1, „ჰოფენჰაიმი" – „ვოლფსბურგი" 3:2, „გლადბახი" – „ბაიერნი" 2:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლევერკუზენი", „ჰოფენჰაიმი" – 28-28, „ბაიერნი" – 25 ქულა.

**ბომბარდირი:** იბიშევიჩი („ჰოფენჰაიმი") – 14 ქულა.

**შემდეგი ტური:** „ბილეფელდი" – „ლევერკუზენი", „კიოლნი" – „ჰოფენჰაიმი",„ბაიერნი" – „კოტბუსი".

◎ ჭადრაკი

# სამი გუნდი – უდანაკარგოდ

**დრეზდენში** გრძელდება მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა. გასულ უქმეებზე ორი ტური გათამაშდა. ჩვენმა დიდოსტატმა ქალებმა ოთხქულიან მონაგარს კიდევ სამი შეჰმატეს. მესამე ტურში საქართველოს ნაკრებმა ისრაელის გუნდს 3:1 სძლია (მაია ჩიბურდანიძე და ნანა ძაგნიძე მეტოქეებს დაუზავდნენ, ხოლო მაია ლომინეიშვილმა და სოფიკო ხუხაშვილმა წარმატებას მიაღწიეს), ხოლო მეოთხეში უნგრეთთან ქულა გაიყო. ახლა 7 ქულით ქართველები რუსებთან, უნგრელებთან და ინდოელებთან ერთად მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფენ. 8 ქულით ერთპიროვნულად ჩინელები ლიდერობენ.



საქართველოს ვაჟთა ნაკრები მესამე ტურში უკრაინის ძლიერ გუნდს დაუპირისპირდა. პირველ დაფაზე ბაადურ ჯობავამ ვასილი ივანჩუკს დააყრევინა ფარ-ხმალი. სამწუხაროდ, თანაგუნდელებმა მას მხარი ვერ აუბეს და ჩვენები დამარცხდნენ საერთო ანგარიშით 1,5:2,5. სამაგიეროდ, მეოთხე ტურში პორტუგალიელებს მოუგეს 3,5:0,5 და 6 ქულა მოაგროვეს. 8-8 ქულით გათამაშების ცხრილს სათავეში გერმანელები და რუსები უდგანან.

გუშინ გვიან ღამით მეხუთე ტურის პარტიები გაიმართა.

◎ ბატუტზე ხტომა

# გულუხვი პრეზიდენტი და კმაყოფილი პრიზიორები

**ტანვარჯიშულ** სახეობათა სპორტულ დარბაზში ბატუტზე მხტომელთა საქართველოს თასი გათამაშდა. შეჯიბრებაში თბილისისა და ქუთაისის 70 წარმომადგენელი მონაწილეობდა. სპორტის ოსტატთა პროგრამით გოგონათა შორის ყველას აჯობა პეკინის ოლიმპიადის მონაწილემ ლუბა გოლოვინამ. მეორე ადგილზე ნანა გოგაშვილი გავიდა. ერთნაირი ქულებით მესამე ადგილი ნანა ლუჭაშვილმა და თამარ კაკაშვილმა გაიყვეს. ვაჟებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. თენგიზ კოშკაძე, 2. გიორგი ფუტკარაძე, 3. თემურ სონღულაშვილი (საგულისხმოა, რომ გამარჯვებულებს ფედერაციის ახალი პრეზიდენტის მიერ დაწესებული 500-500 ლარიც გადაეცათ).



სპორტის ოსტატობის კანდიდატთა და პირველთანრიგოსანთა პროგრამით მთავარი პრიზები, შესაბამისად, ანა ოდიშვილმა და ნატა ჩადუნელმა, ზვიად ნოზაძემ და ლაშა გაბაშვილმა მოიპოვეს.

გამარჯვებულები და პრიზიორები დიპლომებით, თასებითა და ფასიანი საჩუქრებით ტანვარჯიშულ სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტმა კობა სვინტრაძემ, ვიცე-პრეზიდენტმა რუსუდან ხოფერიამ და გენერალურმა მდივანმა თომზა ცომაიამ დააჯილდოვეს.

◎ ჭიდაობა

# მიხეილ სალაძის სახელობისა



**საქართველოს** ოლიმპიური რეზერვის მზადების ეროვნულმა ცენტრმა სახელოვანი ფალავნის, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონის – მიხეილ სალაძის სახელობის ტურნირს უმასპინძლა. ხალიჩაზე სხვადასხვა რეგიონის 200-მდე ჭაბუკი (1992-1993 წ.წ. დაბადებულნი) ცდიდა ძალებს. ორდღიანი დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ბაკურ გოგოლი (სენაკი), ნიკა მამარდაშვილი (ნორიო), ამირან შავაძე (ხულო), დემეტრე ხურცია (სენაკი), სულხან ნიკოლიშვილი (ნორიო), თორნიკე თურქიშვილი (ნორიო), თორნიკე ძამაშვილი (მარტყოფი),რობერტ რასოიანი (თბილისი), შალვა გოგენაშვილი (თბილისი), ლუკა ჩირგაძე (წყალტუბო) და ლევან არაბული (თბილისი).

**გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ.**

◎ ინტერნეტიდან

## ჯოკოვიჩის ზესვლა

**საათი** და ორმოცდაორი წუთი დასჭირდა სერბ ნოვაკ ჯოკოვიჩს, რათა შანხაიში ვაჟ ჩოგბურთელთა სეზონის დასკვნით ტურნირზე, რომელშიც მსოფლიოს რვა საუკეთესო მოთამაშე მონაწილეობდა, ფინალში ამოსუნთქვის საშუალება არ მიეცა რუსეთელ ნიკოლაი დავიდენკოსთვის და დამაჯერებლად დაემარცხებინა – 6:1 და 7:5.





როგორც ამბობენ, ფინალის მონაწილენი მოკრივეებივით გამოწყობილნი წარუდგნენ ტრიბუნებზე შეკრებილ გულშემატკივრებს, თუმცა შემდეგ კორტზე, განსაკუთრებით პირველ სეტში, ცალ კარში თამაშის მსგავსი რამ გამოვიდა.

ჯოკოვიჩმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ წლევანდელი სეზონი მისი ტრიუმფის ხანა იყო. ეს შანხაიში მისმა ასპარეზობამაც ნათლად ცხადჰყო, რისთვისაც საპრიზო 4 მილიონ 450 ათასი დოლარიდან სამართლიანად დაიმსახურა მილიონ ოცდახუთი ათასი დოლარი.

## ორმაგი იუბილე

**ინგლისის** საფეხბურთო ჩემპიონატზე მე-13 ტურში „მანჩესტერ იუნაიტედმა" დიდი ანგარიშით – 5:0 „სტოკ სიტის" დამარცხებით აღნიშნა ორმაგი იუბილე.



ჯერ ერთი, თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთმა ვარსკვლავმა, პორტუგალიელმა კრიშტიანუ რონალდუმ ოსტატურად შესრულებული ორი საჯარიმოთი მე-4 წუთზე დაიწყო და 89-ე წუთზე დაასრულა მეტოქის ნგრევა. რაც მთავარია, პირველი გოლი იყო საიუბილეო მეასე ბურთი „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში.

მეორეც, ეს გამარჯვება ნამდვილად დიდებული საჩუქარი იყო „წითელი ეშმაკების" მთავარი მწვრთნელის ალექსი ფერგიუსონისთვის. შოტლანდიელის დებიუტი ხომ 1958 წლის 15 ნოემბერს შედგა. 16 წლის ბიჭმა თამაში დაიწყო „კუინს პარკის" შემადგენლობაში.

ამ მატჩზე კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო გუნდში ახალგაზრდა ფორვარდის უელბეკის დებიუტი. მან ის 84-ე წუთზე მეტოქის კარში გატანილი მეოთხე ბურთით აღნიშნა.

## მაშინ „ტორინო" არ აჰყვა

**იტალიაში** რომ თითქმის ყველაა „დაავადებული" ფეხბურთით, ეს ცხადზე უცხადესია. გამონაკლისი არც აქ გადმოსახლებული უნგრელი პორნომსახიობი და მოდელი ევა ხენგერია. მან ძალზე შეიყვარა სპორტის ეს სახეობა და „ტორინოს" თავგამოდებული გულშემატკივარი გახდა. როგორც თავად ევა აცხადებს, თითქმის არც ერთ მატჩს არ აცდენს.

90 წლებში უნგრეთის პირველმა ლამაზმანმა დაიწყო მოზრდილი ხალხისთვის განკუთვნილი იტალიურ ფილმებში გადაღება და ძალზე სწრაფად მოიპოვა პოპულარობა მამაკაცებში. ამ ორიოდე წლის წინათ კი ის გულშემატკივრებს დაჰპირდა, რომ თუ „ტორინო" A სერიის საგზურს მოიპოვებდა, მაშინ სახალხოდ გაიხდიდა სტადიონის ტრიბუნებზე. მაგრამ „ტორინო" არ აჰყვა და დანაპირებიც ვერ შესრულდა. სამაგიეროდ, ევამ ნამდვილად გაიხადა თავისი სასპონსორო ქალთა ფრენბურთის კლუბ „პალერმოს" მატჩებზე მაყურებელთა მისაზიდად. თუმცა ამან პოლიციელთა უკმაყოფილება გამოიწვია.



ახლაც ევას ხანდახან უღებენ პორნოფილმებში, თუმცა ძირითადად ქმართან ერთად. თავის მთავარ გატაცებად კი მაინც ფეხბურთი მიაჩნია. იმედს არ კარგავს, რომ ახლა მაინც „ტორინო" გაუმართლებს იმედებს.

⊙ ადამიანი დროში

# ღვაწლმოსილი მკვლევარი და აღმზრდელი

მსოფლიო სახელის ჩეხი მეცნიერი, „ევროპის ორიენტალისტების დუაიენი, აკადემიკოსი იან რიპკა დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ირანული ფილოლოგიის დარგში ქართველი მეცნიერების საქმიანობას. ჟურნალ „ორიენტალისტიშე ლიტერატურცაიტუნგში" (1965, №1-2, გვ. 70) იგი აღტაცებით აღნიშნავდა: „ქართული ირანისტიკა მართლაც საუკეთესოა".

პროფესორი თეო ჩხეიძე ერთი იმ სპეციალისტთაგანია, ვინც ნაყოფიერი და მიზანსწრაფული კვლევითი, პედაგოგიური და ორგანიზატორული მიღწევებით უზრუნველყოფს ქართული ორიენტალისტიკის ამ მნიშვნელოვანი დარგის მაღალ მეცნიერულ დონეს.

ქალბატონმა თეომ 1952 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ირანული ფილოლოგიის განყოფილება, მიიღო საფუძვლიანი მომზადება ზოგადფილოლოგიურ და ირანისტიკულ დისციპლინებში. 1952-1955 წლებში უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრაზე აკადემიკოს გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით გაიარა ასპირანტურის კურსი, მან შეითვისა დიდი მეცნიერის მაღალი გაკვეთილები ზოგადი ენათმეცნიერების ისლამამდელი ირანის ენებისა და კულტურის საკვანძო საკითხებში. ბეჯით ასპირანტს აგრეთვე მიეცა საშუალება, მონაწილეობა მიეღო ცნობილი ირანისტის ვასილ აბაევის სემინარებში, რომლებიც ზოროასტრიელთა წმინდა წიგნის ავესტას ისტორიისა და ტექსტოლოგიურ საკითხებს ეძღვნებოდა.

ფართოა პროფესორ თ. ჩხეიძის მეცნიერული ინტერესები, მაგრამ იგი, უწინარესად, ერუდირებული ენათმეცნიერია, რომელიც ღრმად და კომპლექსურად იკვლევს ირანული ენების გრამატიკული წყობის, სიტყვაწარმოების, შუასაუკუნეების სამეცნიერო ტერმინოლოგიის, ლექსიკოლოგიის, ქართულ-სპარსული ენობრივი და კულტურული ურთიერთობების აქტუალურ საკითხებს. ამ ასპექტით აღსანიშნავია მისი მონოგრაფიები — „სახელადი სიტყვაწარმოება სპარსულში" (1969), „ნარკვევები ირანული ონომასტიკიდან" (1984), 2001 წლის ნიუ-იორკში „ენციკლოპედია ირანიკის" მე-10 ტომში გამოქვეყნებული ვრცელი სტატია — „ირანულ-ქართული ენობრივი კონტაქტები".

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს პროფესორ თ. ჩხეიძის წვლილი ისლამამდელი პერიოდის სპარსული ტექსტებისა და მათი თარგმანის მეცნიერული გამოცემის საქმეში. მის მიერ შესრულებული თითქმის ყველა თარგმანს ახლავს დედნის ტექსტი, ვრცელი გამოკვლევა, კომენტარი, საშუალო სპარსულ-ქართული ლექსიკონი. თარგმანებია: „არდაშირ პაპაკის ძის საქმეთა წიგნი" (1975), „არდა ვირაფ ნამაკი" (1977); „ზარირის იადიგარი" (1977); „ხოსრო კავადის ძე და ყრმა" (კრებ. არმაღანი", №4); „მანიქეური პოეზიის ნიმუშები" (კრებ. „არმაღანი" №4); „ასურული ხე და თხა" (1991). ეს თარგმანები და მათზე დართული გამოკვლევები, ორიგინალის ტექსტი საშუალო სპარსულ-ქართული ლექსიკონითურთ ფაქტობრივად წარმოადგენენ მეტად საჭირო დამხმარე სასწავლო ლიტერატურას საშუალო სპარსული ენისა და ლიტერატურის შემსწავლელთათვის.



მეტად საინტერესოა მეცნიერის გამოკვლევა „აღზრდის ინსტიტუტი სასანურ ირანში", რომელიც წიგნად გამოიცა 1975 წელს. საფუძვლიანად არის შესწავლილი მოზარდი თაობის ინტელექტუალური, ზნეობრივი და ფიზიკური აღზრდის წესები და რეგლამენტი ისლამამდელ ირანში. ირანული ადათ-წესები შედარებულია შუასაუკუნეების საქართველოსა და კავკასიის სხვა რეგიონებში არსებულ წესებს.

პროფესორი თ. ჩხეიძე აქტიურად მონაწილეობს რეგიონალური და საერთაშორისო ფორუმების მუშაობაში, მის კალამს ეკუთვნის არაერთი სტატია ქართულ ენციკლოპედიაში, იგი ამჟამად, როგორც მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, ენერგიულად მუშაობს „სპარსულ-ქართული ლექსიკონის" საბოლოო რედაქტირებაზე. ამ ლექსიკონს ამზადებს აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ირანისტების ჯგუფი. ლექსიკონი მოიცავს 60 000-ზე მეტ სიტყვა-სტატიას.

ქალბატონი თეო წლების მანძილოზე წარმატებით უძღვებოდა აკადემიკოს გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ინდურ-ირანული ენების განყოფილებას, მისი ხელმძღვანელობით მომზადდა და დაცულ იქნა რამდენიმე საკანდიდატო დისერტაცია, ამჟამად იგი მუშაობს აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში მოვლენილ უცხოელ დოქტორანტებთან. პროფესორ თ. ჩხეიძეს მიუძღვის დიდი დამსახურება ჩვენში ირანული ფილოლოგიის სამეცნიერო დარგის განვითარებისა და მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეში.

ქალბატონი თეო ჩვენი ინტელიგენციის გამორჩეული წარმომადგენელია. კოლეგებთან და მოწაფეებთან სიკეთით სავსე და თბილი, უკომპრომისო და შეურიგებელია პრინციპულ საკითხებში. იგი მოძულეა ყოველგვარი სიყალბისა და ზედაპირულობისა, შეურიგებელია მეშჩანეობის, პროვინციალიზმისა და ცრუპატრიოტიზმის ყოველგვარი გამოვლინებისადმი.

ქალბატონი თეო ბედნიერი მანდილოსანია: თურქეთის ისტორიის ცნობილმა სპეციალისტმა პროფესორმა მიხეილ სვანიძემ და მან შექმნეს შესანიშნავი ოჯახი, აღზარდეს სულითა და ხორცით ჯანმრთელი ორი ვაჟკაცი, ჰყავთ შვილიშვილები.

უნდა აღინიშნოს, რომ პროფესორ თეო ჩხეიძეს, როგორც ღრმად ერუდირებულ ირანისტს, იცნობენ და აფასებენ ავტორიტეტულ სამეცნიერო ცენტრებში, მისი შრომების შესახებ არაერთი რეცენზია თუ გამოძახილი გამოქვეყნებულია საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო პერიოდიკაში. მაგრამ, ვფიქრობ, ქალბატონ თეოსათვის მისი მოღვაწეობის ყველაზე დიდი აღიარება და დაფასება ეს მაჯის საათია, რომელიც აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა გარდაცვალების წინ სახსოვრად დაუტოვა მას.

**ჯემშიდ გიუნაშვილი,**
**პროფესორი.**

## შეტყობინება

### რიგგარეშე საერთო კრების მოწვევაზე

პატივცემულო ბატონებო!

ამ შეტყობინებით გაცნობებთ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მტკვარი ენერგეტიკა" (შემდგომში - „საზოგადოება") ჩაატარებს „საზოგადოების" რიგგარეშე საერთო პარტნიორთა კრებას, პარტნიორთა ერთობლივი დასწრების ფორმით.

კრების ჩატარების თარიღი და დრო: 9 დეკემბერი, 2008 წ, 15 საათი.

კრების ჩატარების ადგილი: საქართველო, ქ. თბილისი, საგარეჯოს ქ. №7/6.

დღის წესრიგი:

1. შპს „მტკვარი ენერგეტიკის" წესდების მიღება ახალი რედაქციით.
2. შპს „მტკვარი ენერგეტიკის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების რიგგარეშე შეწყვეტა.
3. შპს „მტკვარი ენერგეტიკის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევა.

## განცხადება

### სააქციო საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ

სს „თელასის" გენერალური დირექტორი იწვევს სს „თელასის" აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებას, რომელიც შედგება 2008 წლის 10 დეკემბერს 14 საათსა და 00 წუთზე სააქციო საზოგადოების ოფისში შემდეგ მისამართზე: ვანის ქ. №3.

დღის წესრიგი:

1. სს „თელასის" წესდების ახალი რედაქციით მიღების შესახებ;
2. სს „თელასის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილებათა ვადამდელი შეწყვეტის შესახებ;
3. სს „თელასის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის შესახებ;
4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის 2007 წლის ანაზღაურების გადახდის შესახებ;
5. სს „თელასის" მიერ 2008 წლის I ნახევარში მიღებული სუფთა მოგების ნაწილის გამოყენების შესახებ.

დირექტორატში აქციონერებს შეუძლიათ მიიღონ დაწვრილებითი ინფორმაცია დღის წესრიგის საკითხების შესახებ.

დღის წესრიგის თითოეული საკითხის თაობაზე აქციონერებს შეუძლიათ მოითხოვონ განმარტება დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოსგან — როგორც კრებაზე, ასევე წერილობით. ასეთი მოთხოვნის დირექტორატის ან სამეთვალყურეო საბჭოსათვის 2008 წლის 10 დეკემბრამდე წარდგენის შემთხვევაში მასზე გაიცემა პასუხი ან შეტანილი იქნება დღის წესრიგში დამატებითი პუნქტის სახით.

**კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები (ან მათი წარმომადგენლები), თუ ისინი დარეგისტრირებული არიან დამოუკიდებელი რეგისტრატორის — შპს „საქართველოს რეგისტრატორის" მიერ წარმოებულ აქციათა რეესტრში. მსურველებს შეუძლიათ მოცემული ფაქტი შეამოწმონ 18 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით — 10 სთ-დან 14 სთ-მდე და 15 სთ-დან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 74-ა, VII სართული, ოთახი №714.**

⊙ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

## რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: ვარ 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებული პირი. სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს მიერ ცნობილი არა ვარ ინვალიდად. გთხოვთ, განმიმარტოთ, გავრცელდება თუ არა ჩემზე კანონი 9 აპრილს დაინვალიდებულ პირთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ და როდიდან?**

**ვლადიმერ ლომაძე**

**პასუხი:** შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, თქვენ პენსია, როგორც 9 აპრილს დაზარალებულს, რომელიც არც ერთი ჯგუფის ინვალიდად არა ხართ ცნობილი, დაგენიშნებათ საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ.

* * *



**კითხვა: დამსაქმებელი, ვისთანაც ვმუშაობდი, დროულად არ მიხდიდა ხელფასს, ახლა მთლად გამანთავისუფლა სამუშაოდან. ვალდებულია თუ არა, გამისწოროს ანგარიში და დამატებით მომცეს თანხა?**

**გია კვაჭანტირაძე**

**პასუხი:** კანონის თანახმად, სამუშაოდან გათავისუფლების შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია, გაგისწოროთ საბოლოო ანგარიში და თუ გასულ პერიოდში მუშაობისათვის კუთვნილი თანხები მიუღებელი გაქვთ, აგინაზღაუროთ სრულად და დამატებით გადაგიხადოთ დროულად გაუცემელი თანხის საერთო რაოდენობის 0,07 პროცენტი.

* * *

**კითხვა: დამსაქმებელმა დროებით გვითხრა უარი, შეგვესრულებინა დაკისრებული მოვალეობა (მოგვიწყო ლოკაუტი) და არ გადაგვიხადა ხელფასი. ჩვენ გავასაჩივრეთ მისი გადაწყვეტილება და სასამართლომ გაგვამართლა. არის თუ არა ვალდებული დაწესებულება, აგვინაზღაუროს ამ პერიოდში მიუღებელი ხელფასი?**

**ტარიელ ვასაძე**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, თუ სასამართლომ ლოკაუტი უკანონოდ სცნო, დამსაქმებელი ვალდებულია აღადგინოს შრომითი ურთიერთობა დასაქმებულთან და აუნაზღაუროს გაცდენილი სამუშაო საათები.

* * *

**კითხვა: გარდამეცვალა მამა, 3 მცირეწლოვანი შვილი დავრჩით ავადმყოფი დედის ამარა. მე მეთერთმეტე კლასში ვსწავლობ, ჩემი და-ძმა უფრო პატარები არიან. გთხოვთ, განგვიმარტოთ, რა ოდენობის პენსია მოგვეცემა სამივეს?**

**ჟანა ფუტკარაძე**

**პასუხი:** თქვენი პენსიის ოდენობა იქნება თითოეულზე 55-55 ლარი. ე. ი. სამივე შვილი ერთად 165 ლარს მიიღებთ.

* * *

**კითხვა: ვარ ბავშვობიდან მეორე ჯგუფის ინვალიდი, ვცხოვრობ თბილისში, მაქვს 16 წლის შრომის სტაჟი. 2007 წლის 1 დეკემბრიდან პენსია გამიხდა 55 ლარი, მაგრამ მასზე დანამატის დარიცხვაზე უარი მითხრეს. სწორია ასეთი გადაწყვეტილება?**

**ლელა კუტალაძე**

**პასუხი:** ინვალიდობის პენსიაზე დანამატის დარიცხვა სტაჟის ხანგრძლივობის მიხედვით, მოქმედი კანონით, სამწუხაროდ, არ არის გათვალისწინებული.

* * *

**კითხვა: ჩვენს დაწესებულებაში მიმდინარეობს შტატების შემცირება, რომელიც გამორიცხული არ არის, მეც შემეხოს. გთხოვთ, მაცნობოთ, მომეცემა ერთი თვის ხელფასი საბოლოო ანგარიშის გასწორების დროს?**

**დავით გრიგალაშვილი**

**პასუხი:** შტატების შემცირების დროს შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინიციატორად დამსაქმებელი ითვლება. ასეთ შემთხვევაში კი დასაქმებულს, კანონის თანახმად, ერთი თვის ხელფასი უნდა მიეცეს.

მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამბობენ, მართალია?

მართალია ნუგზარ აბულაშვილი სიღნაღის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარული არჩევნებიდან გახდა საქართველოს პარლამენტის წევრი, მაგრამ იგი სრულებითაც არ ინარჩუნებს დამოუკიდებლობას და საკანონმდებლო ორგანოში მოღვაწეობის დაწყებიდან „ნაცმოძრაობის", ანუ უმრავლესობის აქტიური მხარდამჭერი გახდა. თუმცა, ვერც აქ გამოირჩევა დიდი მჭევრმეტყველებითა და ორატორული ნიჭით, – მისი ძირითადი მოვალეობაა „ნაციონალების" მიერ შემოტანილი ნებისმიერი კანონპროექტისა თუ წინადადების განხილვაზე უსიტყვოდ დააჭიროს ხელი ღილაკს – „მომხრე". როგორც კახეთის ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციის მოძიებული მასალებით ირკვევა, თავის სამფლობელოში, სიღნაღში იგი სულაც არ არის მოკრძალებული და თავშეკავებული.

# უმრავლესობის დეპუტატი „პოდდელნიკებს" აჭერინებს

### „ზეწოლა კუდიანებზე"

როგორც კახეთის არასამთავრობო ორგანიზაციები ამტკიცებენ, აბულაშვილი სიღნაღის რაიონში განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობს. მას გამგებელზე მეტი გავლენაც აქვს. მაჟორიტარი აიძულებს ადგილობრივი თვითმმართველობის მისთვის არასასურველ წევრებს დააწერინონ განცხადებები სამსახურიდან წასვლის თაობაზე. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში პარლამენტარი მათ პროკურატურით, პოლიციით ემუქრება და დაპატიმრებით აშინებს, ათვალისწინებულებმა კარგად იცის მისი გავლენა და წინააღმდეგობის გაწევას ვერ ბედავენ.

ის, რომ აბულაშვილი ყოვლისშემძლეა ადგილობრივი არასამთავრობოები იმითაც ამტკიცებენ, რომ სწორედ დეპუტატის სამართლადამცავ სტრუქტურებზე ზეწოლის შედეგად მოხდა სოფელ ულიანოვკის გამგებლის 69 წლის მატვეი რემიზოვის დაკავება. პატიმრობაში ხანმოკლე ყოფნის პერიოდში ასაკოვანი კაცი დასნეულდა მისი მკურნალობა ოჯახს საკმაოდ ძვირი უჯდება. ყოფილ მსჯავრდებულს ქრთამის აღების ბრალდება მოუხსნეს და გაათავისუფლეს. არასამთავრობოებმა ამ საქმესთან დაკავშირებით საჩივარი კახეთის საოლქო პროკურატურაში შეიტანეს, მაგრამ უშედეგოდ.

### ყოვლისშემძლე მაჟორიტარმა მკვლელი ძმა შსს-ში დაანიშნინა

ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობოების მიერ ირკვევა, რომ 2006 წლის 15 ივნისს, სიღნაღის საპროტესტო აქციაზე მიმავალი ხალხი აბულაშვილის (ის მაშინაც ხალხის რჩეული იყო), მითითებითა და ორგანიზატორობით დაარბიეს. განსაკუთრებით უმოწყალოდ მოექცნენ ჟურნალისტებს. ჯერ სასტიკად სცემეს მათ, შემდეგ კი წაართვეს ვიდეოტექნიკა. ამ ორომტრიალში რამდენიმე ჟურნალისტმა და ოპერატორმა სხეულის სერიოზული სახის დაზიანება მიიღო.

დაზარალებულების ჩვენებების მიუხედავად, სასამართლო არ იხილავს ამ საქმეს. გამოძიებამ აბულაშვილი არ სცნო დამნაშავედ, მაშინ, როდესაც ჩვენებების თანახმად, დარბევის მომენტში აბულაშვილი შემთხვევის ადგილზე იყო და მასმედიის წარმომადგენელთა ცემატყეპას ის ხელმძღვანელობდა.

იხ. 16 გვ.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია ღრმა მწუხარებითა და გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა მხცოვანი ქართველი მწერალი, ჩვენი გაზეთის ძველი ავტორი და ერთგული მეგობარი

**აკაკი გეწაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა დღეს, 18 XI, 14 სთ. ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

---

საქართველოს ონკოლოგთა, ონკოგინეკოლოგთა ასოციაცია და სამეცნიერო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცენტრის გინეკოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელის, პროფესორ თენგიზ ჩარკვიანის დედა, უმშვენიერესი ქალბატონი

**მემნუნე უსტიაშვილი-ჩარკვიანი.**

---

რეზო და რუსუდან გაგუები ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ ოჯახის ახლო მეგობარს, პროფესორ თენგიზ ჩარკვიანს დედის, უმშვენიერესი ქალბატონის

**მემნუნე უსტიაშვილი-ჩარკვიანის**

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის უმაღლესი პროფესიული განათლების კოლეჯის ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებენ სპორტის დამსახურებულ ოსტატს მალხაზ მერმანიშვილს და მის მეუღლეს მაყვალა ბერიანიძეს ძმისა და მაზლის

**თენგიზ კონსტანტინეს ძე მერმანიშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

სკოლის მეგობრები მეგი შენგელაია, როზეტა ცხადაია, ლია ჭანტურია, ნუნუ კვირტია, დინარა როგავა, დოდო ნიჟარაძე, ნანა ბალათურია, გოგი თოდუა, ანზორ ჭითანავა, ანზორ შონია, თენგიზ მეუნარგია, არსენა ლოლუა, ვაჟა კეიდია, ოთარ ბულია, ფელიქს იზორია, კარლო ვეკუა, გენო კობახიძე, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დოდო ხარებავა-გიორგაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

კომპანია „მარტინ ბაუერის" და „გეოპლანტის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ცუცხვათის ჩაის ფაბრიკის დირექტორის

**ლექსო გოძაძის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ლია და ქეთინო კოზმანაშვილები დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნანა მიჩილაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

## სულთათანა

# დავით გოცაძე

ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ევროპის უროლოგთა ასოციაციის წევრი, პროფესორი დავით გოცაძე.

დაიბადა 1953 წლის 16 ოქტომბერს ქ. ქუთაისში, ცნობილი ექიმის ტოგო გოცაძის ოჯახში. 1969 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისში საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა ქ.მოსკოვში. 1970-76 წლებში წარჩინებით დაამთავრა მოსკოვის პიროგოვის სახელობის II სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1976-78 წლებში გაიარა კლინიკური ორდინატურა მოსკოვის საკავშირო ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში სპეციალობით ქირურგია-ონკოლოგია. 1978-81 წ.წ. დაამთავრა ასპირანტურა მოსკოვის საკავშირო ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში სპეციალობით – ქირურგია-ონკოლოგია (უროლოგია). 1981 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მუშაობდა საკავშირო ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის ონკოუროლოგიური განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლად. 1986 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გადმოყვანილ იქნა საქართველოს ჯანდაცვის ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის უროლოგიური განყოფილების სამეცნიერო ხელმძღვანელად. მისი ხელმძღვანელობით განყოფილებაში კლინიკური საქმიანობის პარალელურად ფართოდ გაიშალა ინტენსიური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. დროის სულ მცირე მონაკვეთში ონკოუროლოგიური განყოფილება გახდა რესპუბლიკაში ერთ-ერთი მძლავრი სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის კერა. კლინიკაში დამუშავდა წვრილნაწლავოვანი რეზერუარის ფორმირების ორიგინალური მეთოდიკა, რომელიც ცნობილია „გოცაძე-ფაუჩის" სახელწოდებით და რომელმაც ფართო აღიარება მოიპოვა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. 1982 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ცისტექტომია შარდის ბუშტის კომბინირებულ და კომპლექსურ მკურნალობაში". ონკოუროლოგიური განყოფილება გახდა ეგზენტერაციების წარმოების პიონერი საქართველოში; მისი ხელმძღვანელობით დამუშავებული იქნა მცირე მენჯის ორგანოების ევისცერაცია და აღდგენით-რეკონსტრუქციული ოპერაციების ქირურგიული და მეთოდოლოგიური ასპექტები, და ადრე არაოპერაბელურად მიჩნეულ ავადმყოფებს გადარჩენის და კომფორტულად ცხოვრების გზა დაუსახა. ამ ტიპის ოპერაციები ხორციელდება მსოფლიოს მხოლოდ ერთეულ კლინიკებში და მიუთითებს კლინიკის მაღალკვალიფიციურობაზე. მის სახელს უკავშირდება ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის უროლოგიური და მცირე მენჯის რეციდიული და ადგილობრივად გავრცელებული სიმსივნეების განყოფილების ჩამოყალიბება და საერთაშორისო მასშტაბებზე გასვლა. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 6 სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციები, ავტორია 100-მდე სამეცნიერო ნაშრომის. 1993 წელს ნაშრომისთვის „შარდის დერივაციის მეთოდების სრულყოფა ცისტექტომის შემდეგ" მიენიჭა პროფ.ლვამიჩავას სახელობის I ხარისხის პრემია. 2004 წელს მიენიჭა სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება, ხოლო 2007 წელს ნაშრომთა ციკლისათვის „მოდიფიცირებული ცისტექტომიების ადგილი და როლი შარდის ბუშტის კიბოს მკურნალობაში" მიენიჭა პროფ. ლ. შარაშიძის სახელობის პრემია. მეცნიერებაში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოებულია ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილისა და გრ. მუხაძის სახელობის მედლებით.



ბატონი დავითი იყო ალ. წულუკიძის სახელობის თბილისის უროლოგთა და პროფ. კ. ვეფხვაძის სახელობის საქართველოსა და თბილისის ონკოლოგთა სამეცნიერო საზოგადოებათა წევრი და ჟურნალ „ონკოუროლოგიის" (მოსკოვი) მთავარი რედაქტორის მოადგილე.

სამწუხაროა, რომ ასე მალე წავიდა ჩვენგან ბ-ნი დავითი, ხელმადლიანი ქირურგი, ნოვატორი, მეცნიერი, საერთაშორისო აღიარების პროფესიონალი. ვაი, რომ არ დასცალდა, არადა კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო, როგორც მეცნიერს, ექიმს და პედაგოგს.

მისი წასვლა უდავოდ დიდი დანაკლისია როგორც ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის კოლექტივისა და სამედიცინო საზოგადოებისათვის, ასევე თითოეული ადამიანისთვის, ვისთანაც ბატონ დავითს ჰქონია შეხება. თავისი დაუშრეტელი ენერგიით ბ-ნი დავითი იყო ყველა წამოწყების ლიდერი, ყველა ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, უბოროტო, უღალატო და საუკეთესო მეგობარი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი დავითის სპეტაკი სული.

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; ა.ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი; საქართველოს ონკოლოგთა სამეცნიერო საზოგადოება და ასოციაცია, საქართველოს უროლოგთა და ქირურგთა ასოციაცია.**

---

მამა ტოგო, შვილი ილია, რძალი ირინა გაგუა, და ქეთინო, სიძე ირაკლი მაღლაკელიძე, დისწულები ალექსანდრე, სალომე, მძახლები რევაზ, რუსუდან გაგუები, ბიძა პეტრე გოცაძე, დეიდა თინა ქარაბაკი, ბიცოლები მანეგინა და ნარიკო ოჯახებით, უახლოეს ნათესავებთან ერთად იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დავით გოცაძე**

პანაშვიდი 16, 17 XI, 16 სთ. მისამართი: ნუცუბიძის ქ. №11ა, II სადარბაზო, V სართული, დაკრძალვა 18 XI, 14 სთ. საბურთალოს სასაფლაოს პანთეონში (გამოსვენება საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების ეკლესიიდან).

---

ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი, საქართველოს ონკოლოგთა საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყებიან ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ონკოუროლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ონკოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის წევრის, პროფესორ

**დავით გოცაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

რეზო და რუსუდან გაგუები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მძახლის, პროფესორ

**დავით გოცაძის**

გარდაცვალებას.

---

მარინა და გურამ მენთეშაშვილები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ონკოცენტრის დირექტორის მოადგილე პროფესორი

**დავით გოცაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის უროლოგიის განყოფილების თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, უროლოგიური განყოფილების ხელმძღვანელის, პროფესორ

**დავით გოცაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

ლიკა და აკაკი ნადარეიშვილები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ ოჯახის მეგობარი

**დავით გოცაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

---

ბიჭიკო აბდუშელიშვილი, ალეკო ბუკია, ლადო გიორგაძე, ვილი ელიგულაშვილი, ალიკა კვარაცხელია, გურამ მენთეშაშვილი, ბადურ მოსიძე, კოტე მარდალეიშვილი, კოკა ნადარეიშვილი, გია ნიშნიანიძე, ბიძინა სონღულაშვილი, ომარ ღიბრაძე, მურმან შელია, ტარიელ შავერდაშვილი, დათო შიმშილაშვილი, თენგიზ წერეთელი, თამაზ ჩიხრაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის

**დათო გოცაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

---

ლადო და ლია კუჭავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ონკოცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ

**დავით გოცაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კვირა დღეს — ვერაზე...



# განუმეორებელი...

„განუმეორებელი“, „შეუდარებელი“... — ისმოდა იმ დღეს ვერაზე, ქიაჩელის ქუჩაზე, სადაც ერთ-ერთი სახლის ფასადზე მემორიალური დაფა გახსნეს წარწერით: „ამ სახლში ცხოვრობდა კოტე მახარაძე“...

იგონებდნენ კოლეგები — სახელოვანი მსახიობები და რეჟისორები, ფეხბურთელები, დღეს უკვე შებერებული „ოქროს ბიჭები“, მეგობრები, რომელთაც მთელი ცხოვრება გაეტარებინათ მართლაც განუმეორებელ მსახიობთან, სპორტულ კომენტატორთან, პუბლიცისტთან, საერთოდ, მამულიშვილთან, რომელმაც თავისთავადი კვალი დააჩნია მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ კულტურას, ხელოვნებას, სპორტს...

მემორიალური დაფის გახსნა, რა გასაკვირია, ქალიშვილს — მაკა მახარაძეს უთავია, რომელმაც, გამოსვლისას, დიდი მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მის იდეას ფრთები შეასხა. უპირველესად კი ცნობილ მოქანდაკეს გია ჯაფარიძეს, ნიჭიერმა ხელოვანმა, შეიძლება ითქვას, ცოცხლად გამოსახა მემორიალზე კოტე მახარაძის სახე.

**ანანო მაღლაკელიძე**

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.



## ამბობენ, მართალია?

# უმრავლესობის დეპუტატი „პოდდელნიკებს“ აჭერინებს

(მეთხუთმეტე გვერდიდან)

მიუხედავად მრავალი მოწმის ჩვენებისა, სასამართლო უკვე 2 წელზე მეტია საქმეს არ იხილავს. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სიღნაღელი მოსამართლეების საქმის გაცნობის უფლებას არც დაზარალებულებს აძლევენ (?!).

პარლამენტარის ყოვლის შემძლეობას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მან მოახერხა თავისი ძმის, 19 წლის ზვიად ბალაშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ნოდარ აბულაშვილის შსს-ს გენერალურ ინსპექციაში მოწყობა. — ამტკიცებენ კახელი უფლებების დამცველები“.

### პარლამენტარის უკანონო წილები

არასამთავრობოების განცხადებით, არსებობს ვიდეოჩანაწერი, სადაც ნათლად ჩანს, თუ როგორ აძლევს აბულაშვილი მითითებებს ჯართის ბიზნესში ჩართულებს და გაწეული დახმარებისთვის რამდენს ითხოვს წილს. სამხარეო პროკურატურაში ვიდეოფირის წარდგენას შედეგი არ მოჰყოლია.

მტკიცდება ისიც, რომ სიღნაღში მიწის უკანონოდ გაყიდვის სიტყვიერ მითითებებს სწორედ აბულაშვილი იძლეოდა. მისი ზეპირი განკარგულებით რაიონში ასობით ჰექტარი მიწა კანონის დარღვევით გაიყიდა. როგორც ჩანს, ბოლო მომენტში, პარლამენტარი და სიღნაღის ყოფილი გამგებელი ბერდო ასანიშვილი რალაცაზე ვერ შეთანხმდნენ. მაჟორიტარმა მთელი თავისი გავლენა გამოიყენა და გამგებელი მიწების უკანონოდ გასხვისების (აბულაშვილისეული ვერსია) ბრალდებით დააპატიმრებინა. პატიმრობაშია გამგებლის თანაშემწე მამუკა მანგოშვილი.

განსასჯელად ყოფნის მომენტში, გამოძიებასა და სასამართლოს ასანიშვილმა მისცა ჩვენებები, თუ როგორ ზეწოლას განიცდიდა იგი დეპუტატისგან. კონკრეტულად გვარებიც დაასახელა თუ ვის მიმართ აიძულებდნენ მიწის ნაკვეთების უკანონოდ გაცემას. სასამართლომ გამგებლის ჩვენება არასაკმარისი მტკიცებულებად ჩათვალა და ასანიშვილს განსასჯელის სტატუსი მსჯავრდებულით შეუცვალა.

კახეთის ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობოები განცხადებით მიმართავენ გენპროკურატურას, რათა მაჟორიტარი პარლამენტარის ნუგზარ აბულაშვილის მიმართ დაუყოვნებლივ დაიწყოს სისხლის სამართლის დევნის პროცესი.

კერძო საუბარში ადგილობრივი მცხოვრებლები იმასაც ლაპარაკობენ, რომ კახეთის პროკურატურაში აბულაშვილთან დაკავშირებით რაიმეს მიღწევა შეუძლებელია, რადგანაც საოლქო პროკურორი თამაზ ცაბუტაშვილი, მაჟორიტარი პარლამენტარის უახლოესი მეგობარი და დანიშნულ თანამდებობაზე უშუალოდ მისი პროტეჟეა.

**ზაზა ბილიხოძე**

## გილოცავთ!

ლ ა ტ ვ ი ე ლ გმირ ხალხს ვულოცავთ 2008 წლის 18 ნოემბერს, ლატვიის დამოუკიდებლობის 90 წლისთავს.

დიდი მადლობა იმ თანადგომისათვის, რასაც ამჟღავნებენ საქართველოს უმძიეს პერიოდში ქართველი ხალხის მიმართ.

ექიმი
**იზოლდა ჩინჩალაძე**
საქართველოში ლატვიელთა საზოგადოების „ამომავალი მზის“ საპატიო წევრი.

## ინფორმაცია

### ორი პოლიტპატიმარი უკვე გაათავისუფლეს

**ანტიკრიზისული** საბჭოს მიერ წარმოდგენილ პოლიტპატიმართა 16-კაციანი სიიდან ორი პატიმარი უკვე გათავისუფლებულია.

გათავისუფლებულია ფოთის ყოფილი მერი დავით ქანთარია და თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის უფროსის ძმა გივი მახარაშვილი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
**98-65-87; 899 32-85-76.**

## მომავალ აბიტურიენტთა და მათ მშობელთა საყურადღებოდ!

ალექსანდრე კუჭუხიძის საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ უნივერსიტეტში მიმდინარეობს

იმ მეთორმეტე კლასის მოსწავლეთა საკვირაო სკოლაში მიღება, რომელთაც სურთ 2009-2010 სასწავლო წლისათვის მისაღები გამოცდებისა და საგნობრივი გასაუბრების გარეშე ჩაირიცხონ

ამ უნივერსიტეტის
საფინანსო-საბანკო და დაზღვევის, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების, ბიზნესის მართვისა და ორგანიზაციის, სამართალმცოდნეობის, ტურიზმისა და ჯანდაცვის ეკონომიკის, პოლიტოლოგიის, ჟურნალისტიკის, ინგლისური ენისა და ლიტერატურის და ინფორმატიკის სპეციალობების სტუდენტებად.

საკვირაო (წინასწარ მოსამზადებელ) სკოლაში (რომელსაც ექნება თავისი განყოფილებები, გარდა თბილისისა, ქალაქებში: რუსთავში, სენაკში, მცხეთაში, საგარეჯოში და სხვა ქალაქებში მოთხოვნის შესაბამისად) სწავლება დაიწყება 2009 წლის 1 მარტს და დამთავრდება 2009 წლის 1 ივლისს. ამ სკოლის ის კურსდამთავრებულები, რომელთაც ექნებათ ქართულ ენასა და ლიტერატურაში, საქართველოს ისტორიასა და საქართველოს გეოგრაფიაში დამაკმაყოფილებელი და მეტი შეფასებანი, საშუალო განათლების ატესტატისა და I კურსზე სწავლის საფასურის (1500 ლარის) 25 პროცენტის (375 ლარის) წინასწარ გადახდის ქვითარი წარმოდგენილი, გამოცდებისა და საგნობრივი გასაუბრების გარეშე ჩაირიცხებიან მათთვის სასურველ სპეციალობის სტუდენტებად.

საკვირაო სკოლაში ჩარიცხვის სურვილის მქონემ რექტორატის სამდივნოს უნდა წარუდგინოს: განცხადება რექტორის სახელზე, ცნობა მეთორმეტე კლასში სწავლის თაობაზე, პირადობის მოწმობის ასლი, 4 ფოტოსურათი (3X4-ზე), 375 ლარის გადახდის ქვითარი (ეს თანხა ავანსია I კურსზე სწავლის საფასურის წინასწარ გადახდისა), იგი აბიტურიენტს (სტუდენტს) ამ უნივერსიტეტში სწავლების გადაწყვეტილების შეცვლის შემთხვევაში არ დაუბრუნდება (არ მიეცემა).

უნივერსიტეტში, იმათთვის, ვისაც ბაკალავრიატის დიპლომის მიღება სურთ, სწავლება ოთხწლიანია, ხოლო ვისაც მაგისტრანტისა ექვსწლიანი.

უფრო დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება უნივერსიტეტის რექტორატში. საკონტაქტო მისამართია: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, №45, VI სართული, რექტორატის სამდივნო.

**უნივერსიტეტის რექტორატი**

## იუბილე

# გალაკტიონი ჭყვიში

**გალაკტიონ** ტაბიძის დაბადების დღე მის მშობლიურ სოფელ ჭყვიშში აღნიშნეს.

გალაკტიონობის სახალხო დღესასწაული ვანის რაიონში რამდენიმე ათეული წელია, ყოველ 17 ნოემბერს, პოეტის დაბადების დღეს იმართება.

გალაკტიონის სახლ-მუზეუმში ათასობით ადამიანი შეიკრიბა. საზეიმო ღონისძიებებში, სხვა სტუმართან ერთად, ქართველი მწერლებიც მონაწილეობდნენ.

გალაკტიონობის დღესასწაული ვანის რაიონის გამგეობის ორგანიზებით გაიმართა.

**ინტერპრესნიუსი**

## ანეკდოტები

**რეპროდუქტორიდან** ისმის დირექტორის ხმა: „ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ სამუდამოდ გაათავისუფლა ხალხი კაპიტალიზმის ჯაჭვისგან“.



— ზუსტად მასე იყო, შვილო, — ეუბნება ბებია შვილიშვილს! — მაშინ ჩვენს სახლში შეიარაღებული მეზღვაურები შემოვიდნენ, იქაურობა გადააქოთეს და კისრიდან ოქროს ჯაჭვი ჩამომგლიჯეს...

* * *

**იმ** ქალისთვის ერთი შეხედვაც კი საკმარისი იყო, რომ მიმხდარიყავი, რა არის იმპოტენცია...

* * *

**გერმანიაში** ქალი აირჩიეს კანცლერად.

საფრანგეთში უნგრული წარმოშობის ებრაელი აირჩიეს პრეზიდენტად.

— რით ვუპასუხოთ? — ჩაფიქრდნენ ამერიკაში. და მოიფიქრეს...

* * *

**სოციოლოგიურმა** გამოკვლევამ ცხადყო, რომ რუსეთელ დეპუტატთა 90 პროცენტს კრიმინალური წარსული აქვთ, დანარჩენ 10 პროცენტს კი — კრიმინალური აწმყო.

* * *

**პატარა ეშმაკობანი:** თუ კბილის ტკივილი გაწუხებთ, საკმარისია, კბილის ექიმთან მიღებაზე ჩაეწეროთ და მისაღებში ცოტა ხნით დაჯდეთ, რომ ტკივილი უცებ გაგიქრებათ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.